

ISSN 0868—4537

საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მეცნიერებების  
აკადემია

1781  
1994/3

# სამართალი

პრაქტიკა • მეცნიერება • აზროვნებისტიკა

1-2  
1994

IUS  
TBILISI GEORGIA

# სამართალი

საზოგადოებრივ-პრაქტიკული ჟურნალი

№ 1-2  
1994

ბათუმის 1926 წლიდან

იანვარი — თებერვალი

## პრაქტიკა ● მეცნიერება ● აუზლიცისტიკა

მთავარი რედაქტორი  
ზურაბ რატიანი

სარედაქციო კოლეჯია:

- ჯამლეთ ბაბილაშვილი
- ბელა ბერაქიანიშვილი  
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
- ვლადიმერ ბარათაშვილი
- ოთარ ბაგრატიანი
- ჯემალ ბახოკიძე
- გივი ინჟიერაშვილი
- ზინა ლაქვიანიშვილი
- თენგიზ ლილაშვილი
- ჯემალ შიქელაძე
- შალვა ნათურაშვილი
- თეიმურაზ ნინია
- ნოდარ ნებიერიძე
- იური ტაბუცაძე
- გიორგი ტყეშელაშვილი
- იაკობ ფუტყარაძე
- ვიქტორია უგრაძე
- ჯონი ჯალაღანი

ჩვენი ჟურნალის დამფუძნებლები არიან: ჟურნალ „სამართლის“ რედაქცია, საქართველოს რესპუბლიკის იურისტთა კავშირი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო.

გამომცემელი საპუბლიკაციო:

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. მასალები, რომელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 12 გვერდს, მოგვანდეთ მისამართით: 380046, თბილისი, გრიბოედოვის 19.

ტელ: 99-02\_45, 93\_41\_50, 99-51-01.

ჟურნალი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0830. ინდექსი 76185

ფასი 1200 კპპ.

**ხ ა ძ ი მ ბ ე ლ ი**

**მოწინავე**

ძვირფას მკითხველთ, პატივცემულ კოლეგებს, ჟურნალის ბედათ დაინტერესებულთ! . . . 3

**თვალსაზრისი**

ალექსანდრე რონდელი — პოლიტიკა: მითები და რეალობა . . . . . 7

**✓ კონტაქტები უცხოეთთან**

იურისტთა კონფერენცია მანილაში . . . . . 15

**სახელმწიფო ორგანოები**

ალბერტ აბესაძე — საქართველოს მინისტრთა კაბინეტი — კოლეგიური მმართველობის ორგანო . . . . . 21

**საქართველოს რესპუბლიკის ახალი კანონები**

საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ . . . . . 28

**უწინაეს სსსპართლოში**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება საცხოვ- კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ . . . . . 28

**გეოგრაფიული კარკები**

გიორგი ნადარეიშვილი — ლენინი — პოლიტიკური უუფლებობის სახელმწიფოს სისტემის ორგანიზატორი . . . . . 35

**აქტუალური ინტერვიუ**

როცა ხაზინა ცარიელია . . . . . 42

**პრაქტიკა, წინადადებაები, შენიშვნები**

**✓** ლალი თადიაშვილი — საკუთრების უფლება პრივატიზებულ ბინაზე . . . . . 48

ვარლენ სიმონიშვილი — გამოძიება დღეს და ზვალ . . . . . 52

ვახტანგ კაჭანიძე — პროცესუალური სიახლე . . . . . 57

**იურიდიული რუკა**

აპოლონ ფალიაშვილი — ამერიკის შეერთებული შტატების სისხლისსამართლებრივი იუსტიცია: ორგანიზაცია, სტრუქტურა, ფუნქციები . . . . . 61

**ინფორმაცია**

გაეროს ლტოლვილთა დახმარების უმაღლესი კომისარიატის სემინარი . . . . . 71

უმაღლესი ხარისხი იურიდიულ მეცნიერებაში . . . . . 73

**ბახსენება**

ალიოზა ჭიჭინაძე . . . . . 76

ბიბლიოგრაფია . . . . . 79

დადგენა წარმოებას 1.02.94 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.05.94 წ.,  
ფორმატი 70X100 I, ფაილური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7,  
სააღრიცხვო-სავაგომცემლო თაბახი 6,5. შეკვ. 186. ტირაჟი 1300

საქართველოს შურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საგზოაღმოს“ სტამბა,  
830009 თბილისი, მერაბ კოსტავას 14



# ქურნას მიმდევრობა, კომუნისტურ კოლეგებს, ქურნის გვით დაინტერესებულ!

ქურნა „სამართლის“ რედაქციას წესად აქვს მიჩნეული ყოველი მომდევ-  
ნო წლის დამდევს მიმოიხილოს წინარე პერიოდში მის მიერ გაწეული მოღვა-  
წეობა, გაანალიზოს გამოქვეყნებულ პუბლიკაციათა ხარისხი, პასუხობდა თუ არა  
ქურნალი მისი პირდაპირი დანიშნულებიდან გამომდინარე მოთხოვნებს, რამდენად  
შეძლო მან ადრე დათქმული პირობის და განაცხადის შესრულება; პირუთ-  
ვნელად წარმოაჩინოს რედაქციის საქმიანობის როგორც დადებითი მხარე, ასევე  
ნაკლოვანებები, ამასთან დასახოს გზები ქურნალის სამომავლო მუშაობის დონის  
ასაძლეობად.

1993 წლის დამდევს ქურნალის პირველი ნომრის მოწინავეში, ვფიქრობთ,  
რედაქციამ საკმაოდ ობიექტურად და სრულად ჩამოაყალიბა ქურნალის პოზიცია  
და მიზნები ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. მთავარი, რისი დასკ-  
ვნაც შეიძლება გამოიტანოს მკითხველმა ამ მიმოხილვიდან ისაა, რომ ქურნალს  
ნამდვილად გააჩნია არა მარტო არსებობის უფლება, არამედ თავისი უშუალო  
მოწოდებით უფლებაუნარიანია თავად იყოს უფლებრივ ურთიერთობათა პრაქტი-  
კის, ქვეყნის სამართლებრივი ცხოვრების განმაზოგადებელი, ორიენტირი.

მკითხველს მოეხსენება, რომ ქურნალი სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათი-  
სა და დანიშნულებისაა. ამდენად იგი თანაზომიერად უნდა უთმობდეს ადგილს  
აქედან გამომდინარე პრობლემატიკის გაშუქებას. არსებითად გასული წლის გა-  
მოცემათა შინაარსი სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ იგი ამ გზას ადგა, თუმცა  
გამოქვეყნებულ პუბლიკაციათა შორის თეორიული თემატიკა ჭარბობდა.

ქურნალმა დასტავა სტატიები საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშე-  
ნებლობის, კონსტიტუციონალიზმის საკითხებზე, სასამართლო თუ სხვა მიმარ-  
თულებებით მიმდინარე რეფორმების შესახებ, შესაბამისი კომენტარებით გამო-  
აქვეყნა სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მიღებული სხვადასხვა კანონები;  
რუბრიკით – „პარლამენტარის ტრიბუნა“ დაიბეჭდა რიგი სტატიებისა. ადგილი  
დაეთმო ჩვენი თუ უცხოელი იურისტების მიერ საქართველოს იურიდიული  
პრაქტიკის თეორიულ გაშუქებას, საზღვარგარეთის თუ დამოუკიდებელ სახელმ-  
წიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების იურიდიულ საზოგადოებებთან საქართვე-  
ლოს იურისტთა საზოგადოებრიობის კავშირების ჩვენებას. მიუხედავად იმისა,  
რომ ქურნალი არაა პოლიტიკური გამოცემა, იგი არაერთხელ გამოეხმაურა  
ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და გამოხატა მათ მიმართ იურის-  
ტთა საზოგადოების დამოკიდებულება. ქურნალმა ზოგიერთ ახალგაზრდას მათი  
სტატიების გამოქვეყნებით მეცნიერებასაკენ გზა დაულოცა, აგრეთვე პერსონა-  
ლიები მიუძღვნა გამოჩენილ ქართველ იურისტთა ხსოვნას, სახელდობრ მათ,  
რომლებიც ამ პერიოდში სამწუხაროდ აღესრულენ.

ამჯერად მკითხველის ყურადღებას არ შევაჩერებთ დასახელებული თემა-  
ტიკის და მასალების აქტუალობაზე, ხარისხსა და დონეზე. საამისოდ უახლოეს  
დროში რედაქცია მკითხველთა კონფერენციას გამართავს ამ მიმართებით აზრის  
გამოსათქმელად.



ზემოაღნიშნული ჟურნალის საქმიანობის თუ მოღვაწეობის პოზიტიური მხარეა. ამასთან, რედაქციას მიაჩნია, რომ უფრო დაბეჯითებით, იმ ნაკლოვანებებზე უნდა გაკეთდეს აქცენტი, რაც სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ჟურნალს გააჩნდა სამიმოხილვეო პერიოდში.


უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ იკვირებოდა ვერ შეიქმნა სამართლებრივი პრაქტიკის სრულყოფილად წარმოქმნე გამოცემა, რათა თვალნათლივი გახდეს ის ნეგატიური მომენტები, რაც სამართალშემფარდებელ სტრუქტურებს გააჩნიათ თავიანთ საქმიანობაში. აქ მხედველობაშია როგორც სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირების სფერო, ისე კრიმინოგენური სიტუაციის მართვალობა, არადა, საზოგადოება მწვავედ განიცდის მის ზეწოლას.

წლების მანძილზე სამართალწარმოებაში არ ხერხდება ბიუროკრატიზმის დაძლევა. ასეთი გამოვლინებები თავის მხრივ გარკვეულწილად განაპირობებენ მოსახლეობის ნიჰილისტურ დამოკიდებულებას საერთოდ როგორც სამართლის მიმართ, აგრეთვე მის უნდობლობას აღნიშნული სტრუქტურებისადმი. რაც შეეხება ზღვარგადასულ დამნაშავეობას მის დინამიკას, სახეობას, უნდა ითქვას, რომ ამის გამო მოსახლეობა ტერორიზებულია. უეჭველია ბრძოლა ამ მიმართებით მიმდინარეობს, მაგრამ არა მეთოდურად, არა სისტემურად, ხშირად არაპროფესიულად. ადგილი აქვს შეუწყნარებელ მიმხედვლობას. დღემდე ვერ შემუშავდა დანაშაულთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამა, რომლის ავტორობა ერთობლივად უნდა ეკისრათ რესპუბლიკის სამართალდამცავ დაწესებულებებს. ყოვლად დიდი გაუხსნელ დანაშაულთა რიცხვი, ამათგან, რაც განსაკუთრებით შემამოფოთებელია, ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფის ფაქტები. ამის კვალობაზე აუცილებელია მოსახლეობის ინფორმირება, სტატისტიკურ მონაცემებზე ტაბუს მოხსნა, რომ საზოგადოება ამისდა მიხედვით გათვითცნობიერდეს თუ რა სოციალურ საშიშროებასთან აქვს საქმე. ეს აუცილებელი პირობაა იმისა, რომ საზოგადოებამ თავისი წილი გამოიღოს დამნაშავეობასთან ბრძოლაში. რედაქცია შეეცადა გამოსაქვეყნებლად მოეპოვებინა საამისო ინფორმაცია, მაგრამ ბოლომდე ვერ გამოიჩინა მასალის მომწოდებელთა მიმართ სათანადო სიმტკიცე. ამის გამო, ეს მნიშვნელოვანი ჩანაფიქრი შეუსრულებელი დარჩა.

ჟურნალმა ვერ განაგრძო ადრე დაფუძნებული ტრადიცია — სამართალდამცავი დაწესებულებების ხელმძღვანელი ინსტანციების გადაწყვეტილებათა სისტემატურად გამოქვეყნდება, მიუხედავად მიმართვისა მასალის მოპოვების თაობაზე. მით უფრო გაუგებარია ასეთი რამ, როცა ამ უწყებათა მეთაურები ჟურნალის რედაქციის წევრები ბრძანდებიან და თვით უნდა იყვნენ ამაში დაინტერესებულნი.

რედაქცია შორსაა იმ აზრისგან, რომ ამ ჩვენი მოუწყობელი, აფორიაქებული ცხოვრების პირობებში იდეალურად უნდა სრულდებოდეს კანონი, მაგრამ ისიც რეალობაა, რომ მოქალაქეთა მიმართ კანონიერების არათუ დარღვევებს აქვს ადგილი, არამედ ხშირად უხეშ, დანაშაულებრივ ხელყოფასაც კი. ამ ფონზე ჟურნალი ვერ გვევლინება მეოთხე ხელისუფლებად, რამდენადაც გასულ წელს ერთი პუბლიკაციაც კი ვერ მოათავსა ცალკეულ მოქალაქეთა უფლებების შელახვასთან დაკავშირებით, მით უმეტეს თუ ასეთი რამ თვით სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს ეხება, მათ უსაფუძვლოდ გადაადგილების, სამუშაოდან, დათხოვნის თუ სხვა შემთხვევებს.

ჟურნალის საქმიანობის მნიშვნელოვან ნაკლად უნდა იქნას მიჩნეული ის, რომ მას თითქმის არცერთი კრიტიკული პუბლიკაცია არ გამოუქვეყნებია სამართალწარმოების, იუსტიციის პრაქტიკის შესახებ. ერთობ მწირია სარედაქციო პორტფელი. იურისტ მეცნიერ-პრაქტიკოსთა კადრების სიუხვისას გასა-



ოცარია მათი ინერტულობა, პრესაში გამოსვლის ნაკლები სურვილი. ამის გამო, რედაქციას მასალათა შერჩევის მცირე შესაძლებლობა ეძლევა, რაც ჟურნალის ხარისხზე, მის აკადემიურობაზე გავლენას ახდენს. თუმცა ჟურნალის საპრონორა-რო ფონდი მეტად ღარიბია, თითქმის სრულებით არ არსებობს, მაგრამ ეს გარე-ძობა არ უნდა აპირობებდეს ავტორთა ინერტულობას. ამ შემთხვევაში საკითხი ეხება პროფესიულ თავმოყვარეობას. დიახ, სიღუბჭირე სუფევს ქვეყანაში, მაგ-რამ ეს არ უნდა მოასწავებდეს ჩვენი საერთო პრობლემებისაგან განდგომას.

ჟურნალმა, მიუხედავად ცდისა, ვერ ითავა საბაზრო ეკონომიკის დაფუძნების პირობებში სპეციალისტთა შემოკრება და ამასთან დაკავშირებით წარმოშობილ იურიდიულ პრობლემებზე პუბლიკაციების მოთავსება, რაც ეგზომ გადაუდებ-ლად საჭიროა. ასევე აღსანიშნავია ჟურნალის ტირაჟის, გამოცემის პერიოდუ-ლობის, მისი გავრცელების სავალალო მდგომარეობა.

თუ უახლოეს წარსულში ჟურნალის ტირაჟი რამდენიმე ათეულ ათასს შეად-გენდა, გასულ წელს იგი ოთხათასამდე შემცირდა, ხოლო მიმდინარე წელს მას-ზე ხელისმომწერთა რიცხვი მიუხედავად თითოეული ნომრის მეტად მცირე ღი-რებულებისა (600 კუპონი), სამ ათასს არ აღემატა. აღნიშნული მით უმეტეს წარმოდგენილია, როცა საქართველოში სპეციალისტ იურისტთა რაოდენობა ათი-ათასამდე აღწევს, რომ არაფერი ითქვას ჭარბად არსებულ სახელმწიფო თუ კერძო უმაღლესი იურიდიული სასწავლებლების მსმენელებზე.

ჟურნალის საგამომცემლო ღირებულება განუზომლად დიდია, მას ვერ ფა-რავს ის უმცირესი შემოსავალი, რომელიც მისი გასაღების ფასადაა დაწესე-ბული.

რედაქციამ არაერთ სახელმწიფო თუ კომერციულ სტრუქტურას მიმართა ხელისგამართვის თხოვნით, პირობით რომ ჟურნალი მათ მოემსახურებოდა იუ-რიდიული საკითხების გადაწყვეტაში, მაგრამ ბევრმა ყურად არ იღო. განსაკუთ-რებით ეროვნულმა ბანკმა გამოიჩინა უარყოფითი დამოკიდებულება ასეთი თხოვ-ნისადმი (სულ რაღაც ორი მილიონი კუპონის ფარგლებში), იმ დროს, როდეს-საც ამ ბანკიდან გაიცა ათეული მილიარდობით თანხა. ასეთ პირობებში ადვილი წარმოსადგენია როგორი ფინანსური ბაზა შეიძლება გააჩნდეს ჟურნალს.

აქამდე, რომ იტყვიან ღვთის წყალობით, რედაქციის ძალისხმევით, გამომ-ცემლობა „სამშობლოს“ ხელმძღვანელობის ხელშეწყობით, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვაახლებთ მათ, თითქმის შეუფერხებლად მოხერხდა თორმეტივე ნომ-რის დასტამბვა — მხოლოდ დაწყვილებულად, რამაც ასევე უარყოფითი გავლენა იქონია ჟურნალის გავრცელებაზე. ამასთან, სრულიად საფუძვლიანი იქნება თუ რედაქცია მოკრძალებით, მაგრამ ერთგვარ ეკმაყოფილებას და სამართლიან პრეტენზიას გამოთქვამს „საქპრესის“ მისამართით. ეს დაწესებულება კატალოგ-ში შეტანილი გამოცემების გავრცელებაზე, ხელმძღვანელებამდე ჟურნალის მიწო-ლებისათვის, სავაჭრო ქსელში განაწილებაზე შესაბამის სამსახურებთან კავშირ-ში და კორდინაციით, თავად უნდა ზრუნავდეს — რეკლამის გაწევის თვალსაზრი-სით თუ სხვა საშუალებათა გამოყენებით. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართუ-ლებით მის მხრივ სრულიად არაფერი კეთდება. ამიტომ ამ სამუშაოს ჟურნალის რედაქცია ასრულებს, „საქპრესი“ კი საამისო საქმიანობისათვის თითოეულ ნო-მერზე საკმაო თანხას კრეფს.

ყოველივე ზემოთქმული, ათეულწლოვანი, სიმწრით მოპოვებული, გარ-კვეულ წილად ეროვნული კულტურის, აზროვნებისა და ინტერესების გა-მომხატველი ჟურნალის დახურვის რეალურ საფრთხეს ქმნის, ხოლო მისი შემდგომში გაცოცხლება უიმედო იქნება. ვფიქრობთ, ეს საფრთხე ყველამ ერთად — საქართველოს იურისტებმა, ჟურნალის დამფუძნებელმა უწყებებმა,

რედკოლეგიის წევრებმა უნდა გაიცნობიერონ. სხვა თუ არაფრისთვის, პროფესიული პრესტიჟისათვის მაინც უნდა მიიტანონ გულთან ეს სატკივარი, ყველაფერი იღონონ მის გადასარჩენად, აღნიშნულ ნაკლოვანებათა დასაძლევად.

არასრულად, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ზოგადად მაინც მიმოვიხილეთ ჟურნალთან დაკავშირებული საჭირობოროტო საკითხები.

რედაქცია იმედით მოსილი კვლავაც იღვაწებს ჟურნალის საკეთილდღეოდ, მისი სიცოცხლის უნარიანობისთვის. ამასთან იგი დიდი ინტერესით და მაღლიერების გრძნობით მოელის მკითხველთა პირუთვნელ შენიშვნებს ჟურნალის ავკარგიანობაზე, რასაც შეუზღუდავად და დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებს მის ფურცლებზე.

რედაქცია ასევე მოუხმობს ყველას, ვისაც ეს ხელეწიფება, მორალურად ევალება და მოელის მათგან ყველაფერში სრულ და გულწრფელ მხარდაჭერას.

ჟურნალის გულშემატკივრებს და მასზე ხელმომწერლებს ვატყობინებთ, რომ თითოეული ნომრის ღირებულება მიმდინარე წლის მეორე ნახევარში განისაზღვრება 25 000 კუპონის ოდენობით და რომ მისი საბანკო ანგარიშის ნომერია: მთაწმინდის ბინსოცბანკი, № 100609097, მფო 52 1620, ჟურნალ „სამართლის“ რედაქცია.

---

ჟურნალ „სამართლის“ რედაქცია მაღლობას უხდის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბ-ნ ასლან აბაშიძეს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და ფირმა „კოკა-კოლას“ ხელმძღვანელობას დაუმაღლებლად გაწეული ფინანსური დახმარებისათვის; თბილისის ქალაქისა და რაიონების პროკურატურის თანამშრომლებს ჟურნალის გავრცელებაში აქტიურობისათვის. შემდგომში ჟურნალისათვის გაწეული ღვაწლის გამო გამოქვეყნდება სპეციალური პუბლიკაცია პიროვნებათა დასახელებით.

ალექსანდრე რონდელი

## პოლიტიკა: შიშები და ჩალოვა

რევოლუციური ძვრების, ახალი სუვერენული სახელმწიფოების წარმოქმნის, დეკოლონიზაციისა და იმპერიების დაშლის ეპოქებში საზოგადოება უკიდურესი პოლიტიზაციით და ხშირად ასევე უკიდურესი პოპულიზმით ხასიათდება. საბჭოთა კავშირის, უკანასკნელი იმპერიის დაშლა ამ მხრივ გამონაკლისი როლია. უფრო მეტიც, პოლიტიკური მითოლოგია, ზღვარს გადასული ნაციონალიზმი და პოპულიზმი, პათოლოგიური ოპტიმიზმი და გულუბრყვილობა ჭარბად იყო და ჯერაც არის წარმოდგენილი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, ზოგში მეტის-მეტად. ამ უკანასკნელთა შორის საქართველოცაა.

პროვინციული ლიტერატურული კრიტიკისა და ფსევდოპატრიოტული ისტორიის პოზიციებიდან დანახული რთული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები და მექანიზმები მიტინგებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით რესპუბლიკის მოსახლეობის დიდი ნაწილის ცნობიერებაში აისახა პრიმიტიული სტერეოტიპებისა და ლოზუნგების სახით. ჭეშმარიტ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კულტურას, კრიტიკული აზროვნების უნარმოკლებულ საზოგადოების დიდ ნაწილში პოპულიზმმა მეტად ნოყიერი ნიადაგი პოვა.

ჩვენ ხალხის დიდი უმრავლესობის დაბალი პოლიტიკური და ეკონომიკური კულტურა ლოგიკური შედეგია ხანგრძლივი კომუნისტური ბატონობისა, როცა რამდენიმე თაობა გაიზარდა მეტად სპეციფიურ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში და რეჟიმის მიერ „გამანჭურთებული“ იყო. ჩვენ, სამწუხაროდ, არ გვყავდა პოლიტიკური ელიტა, ბირთვი, რომელიც მოულოდნელად მიღებული დამოუკიდებლობის პირობებში ბრძნულ, გამოზომილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს მიიღებდა. ესეც კომუნისტური წარსულის შედეგია — იმ პირობებში ამგვარი ელიტის მომზადება შეუძლებელი იყო. დესტრუქციული შხამით ნაჯერი ნაციონალიზმიც ამ წარსულის შედეგია — ხალხებს, რომელთა საზოგადოებრივი და კულტურული განვითარება სრულყოფილი არ იყო, ნაციონალიზმი ევლინება სპეციფიური, მეტად იდეოლოგიზირებული სახით. საქართველო ამ მხრივ გამონაკლისი არაა, მაგრამ ბალტიის რესპუბლიკებში საზოგადოებას ბევრად მეტი პოლიტიკური და ეკონომიკური კულტურა გამოაჩნდა და შედეგებმაც (დასავლეთის ყოველმხრივი დახმარების წყალობითაც!) არ დააყოვნა.

სახელმწიფოების წარმოშობა ახალი მოვლენა არაა. მიმდინარე საუკუნეშია ასზე მეტი ახალი სახელმწიფო შეიქმნა და ახალი საუკუნის დამდეგამდე შესაძლოა მათ კიდევ რამდენიმე შეემატოს. ყოველი ახალი სუვერენული ქვეყნის გაჩენა სპეციფიური პირობებისა და ფაქტორების მოქმედების შედეგია. მისი დამოუკიდებლად არსებობა კი, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, ჩვეულებრივ უადრესად რთული, დრამატული პროცესია. სახელმწიფოებრიობა ერთ დღეში არ ყალიბდება, სახელმწიფო მშენებლობა უადრესად რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესია, რომელიც გარკვეული გარეშე და შიდა ფაქტორების ზეგავლენ-



ნით ზორციელდება. განსაკუთრებით გამწვანებულია ახალგაზრდა პატარა სახელმწიფოების სუვერენული არსებობის დაწყებითი ფაზა, როცა ამგვარ სახელმწიფოს უხდება დინამიურ და დაუნდობელ საერთაშორისო საზოგადოებაში საკუთარი ადგილის მოძებნა, მისი ცალმხრივად განვითარებული, ახალი ეროვნული ამოცანებისათვის ხშირად გამოუსადეგარი მეურნეობის დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურების ტრანსფორმაცია და ყველაფერი ეს — უმწვავესი სოციალური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში. თუ ამგვარ ვითარებაში მყოფი ახალგაზრდა, ეკონომიკურად და პოლიტიკურად უსუსური ქვეყანა სამოქალაქო ომისა და ეთნოკონფლიქტების კერა გახდება, მისი გადარჩენა, სუვერენული განვითარება, შესაძლოა სათუოც კი გახდეს.

## სუსტი ქვეყანა, უსუსური სახელმწიფო

არჩევენ ძლიერ და სუსტ ქვეყნებს, ძლიერ და სუსტ სახელმწიფოებს. ქვეყანა შეიძლება ძლიერი იყოს სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით, მაგრამ როგორც სახელმწიფო იყოს საკმაოდ სუსტი (მაგ. ნიგერია, ბრაზილია). შეიძლება იყოს სუსტი, პატარა ქვეყანა, მაგრამ ამავე დროს ძლიერი სახელმწიფო ჰქონდეს (მაგ. ნიდერლანდები, ნორვეგია, ავსტრია). ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით სუსტი სახელმწიფოებრიობის მქონე თუნდაც გიგანტ ქვეყანას არანაკლები, თუ მეტი არა, პრობლემები ექნება ძლიერი სახელმწიფოებრიობის მქონე სუსტ, პატარა ქვეყანასთან შედარებით. შიდა სისუსტე, სოციალური და ეთნიკური გათიშულობა, სუსტი ეკონომიკა, ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების უქონლობა, ეროვნულ უმცირესობათა მიმართ არატოლერანტული დამოკიდებულება ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას უაზრობად აქცევს.

ადრე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების შექმნამდე, როცა ქვეყნები ლიბერალურ-დემოკრატიული რეჟიმებით არც ისე ბევრი იყო, სუსტი სახელმწიფოები იშლებოდა და ძლიერი მეზობლების ნადავლი ხდებოდა. განსაკუთრებით წაგებული ომის შემდეგ. თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებაში კი მომრავლდნენ ქვეყნები, რომლებსაც არ გააჩნიათ ერთიანი სამოქალაქო საზოგადოება რომელთა მთავრობებს ხშირად არ ძალუძთ დაიცვან თავიანთი მოქალაქეების ფუნდამენტური უფლებები და უზრუნველყონ მათი მინიმალური მოთხოვნილებები. ამის შედეგად დღეს არსებობენ ქვეყნები, რომლებსაც არც პოლიტიკური და არც ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა არ გააჩნიათ, მაგრამ მათი სუვერენულობა გარანტირებულია საერთაშორისო თანამეგობრობის, გაეროს მიერ. ვინაიდან ამ ქვეყნების მთავრობები ხშირად ვერ ახორციელებენ სამოქალაქო ხელისუფლების ელემენტარულ მოვალეობებსაც კი (მოსახლეობის განიარაღება, გადასახადებიდან საკმარისი შემოსავლის უზრუნველყოფა, ელემენტარული წესრიგის დამყარება და სხვ.), ამ მოვალეობების აღსრულება შეიძლება დაეკისროს გარეშე ძალებს, კოლექტიურად — საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე, ან გავლენის საკუთარი სფეროების დამყარებაში მეტოქეობის შედეგად. ინგლისელი ექსპერტი ჯეიმს მეიელი უკმაყოფილოდ შენიშნავს, რომ სუსტი სახელმწიფოებისათვის უდიდესი შელავათია ის, რომ „ამგვარ ქვეყანას საერთაშორისო აღიარება გააჩნია, იგი უნდა განაგრძობდეს არსებობას, მისი მთავრობის პოლიტიკური თუ ეკონომიკური უუნარობის მიუხედავად“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Games Mayall. Nationalism and International Society. Cambridge University Press. 1990, p. 123.

## პოლიტიკური ნარკოზინა

როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ, საქართველომ, საკუთარი არსებობა დაიწყო თვითიზოლაციით, ნაციონალიზმის პროპაგანდით, სამოქალაქო და ეთნიკური კონფლიქტებით, მძიმე სოციალური და ეკონომიკური კრიზისით. იგივე დაემართა ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას. მეტნაკლებად ეს მოვლენები ახასიათებს თითქმის ყველა ხსენებულ რესპუბლიკას, მაგრამ საქართველოში, ზოგიერთი რესპუბლიკის მსგავსად, ყველა აღნიშნულმა მოვლენამ და პროცესმა უკიდურესად მწვავე ხასიათი მიიღო.

საქართველოში შექმნილ დრამატულ ვითარებას საფუძვლად ედო ბევრი ობიექტური მიზეზი და ეს დასტურდება ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში და პრაქტიკულად ყველა ყოფილ სოციალისტურ ქვეყანაში მომხდარი ანალოგიური ან ძალიან მსგავსი მოვლენებით. მაგრამ იყო ბევრი სუბიექტური მიზეზი და ფაქტორი — უკიდურესი პოპულიზმი, პატრიოტიზმად გასაღებული იაფფასიანი ნაციონალიზმი, ხელისუფლებაში მოსულთა დიდი ნაწილის დილეთანტიზმი და სრული უმეცრება. საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ადრე მოკალათებული ვოგოლისა და სალტიკოვ-შჩედრინის ცნობილი ტიპები შეცვალა ილია ჭავჭავაძის, გიორგი ერისთავის, დავით კლდიაშვილისა და პოლიკარპე კაკაბაძის უკვდავმა გროტესკულმა პერსონაჟებმა.

საქართველოს ეროვნული ინტერესების განსაზღვრა, საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების შემუშავება და შედეგიანი პოლიტიკის განხორციელება მმართველი ელიტის საკმაოდ მაღალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კულტურას მოითხოვს. საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფი ცდილობს ეროვნული ინტერესების, საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიზნებისა და სტრატეგიის თავისებურად განსაზღვრას. ყველა ცდილობს საკუთარი კერძო ინტერესებისა თუ წარმოდგენების ეროვნულ ინტერესებად გასაღებას. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ოპოზიციის საქმიანობას — მისი კონსტრუქციული კრიტიკა და პოლიტიკური ტაქტი უზარმაზარი მნიშვნელობისაა ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოს დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბებასა და გატარებაში. განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში ეროვნული ინტერესების განსაზღვრა და მათ საფუძველზე საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემუშავება პოლიტიკური პარტიების, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, სპეციალური დაწესებულებებისა და ექსპერტთა ჯგუფების მიერ ხორციელდება გარკვეული პროცედურებისა და ტრადიციების დაცვით. ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოები კი, როგორც წესი, რევოლუციური ძვრების, პოლიტიკური კატაკლიზმების შედეგად არიან წარმოშობილნი და მათ, უმეტესწილად, გამოუცდელი, პოპულიზმისა და ნაციონალიზმის „საფუარზე“ მომძლავრებული ძალები განაგებენ. რევოლუციურ მთავრობებს ხშირად ახასიათებს მეტისმეტი იდეოლოგიზაციითა და უკიდურესი ნაციონალიზმით გამოწვეული იდეოლოგიური პათოლოგია, საზოგადოების რეალური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების უგულებელყოფა და საკუთარი ქვეყნისა და განსაკუთრებით გარე სამყაროს რამდენადმე სპეციფიკური, არარეალისტური, დამახინჯებული ხედვა. აქედან — სტრატეგიული ხასიათის შეცდომები, ზოგჯერ საბედისწერო.

ეკონომიკური ასპექტები თანამედროვე პოლიტიკის საფუძველია. ეროვნული ინტერესების მნიშვნელოვანი ნაწილი ეკონომიკური ხასიათისაა. გავიხსენოთ საქართველოს 80-იანი წლების მიწურულისა და 90-იანის დამდეგის ჩვენს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და პერმანენტულ მიტინგებზე გაბატონებული მიაბიტი და კატეგორიული ეკონომიკური „შეხედულებები“ საქართველოს ეკო-

ნომიკური პოტენციალისა და შესაძლებლობების შესახებ, რომელთა მიხედვით იგი უკვე 3-5 წელიწადში ავსტრიასა და შვეიცარიას უნდა დასწვოდა (ნატო-ში შესვლაზე აღარაფერს ვამბობთ!). ეკონომიკური მითოლოგია ზოგჯერ პოლიტიკურსაც კი აჭარბებდა. ყველაფერი ეს ხდებოდა მსოფლიო მეურნეობაში და ჩვენს რეგიონში არსებული ვითარების, გაბატონებული ტენდენციების, მოსალოდნელი ძვრების შესახებ რეალური წარმოდგენების გარეშე. უფრო მეტიც, საკუთარი სამშობლოს ეკონომიკური რეალების სამარცხვინო არცოდნით. განვითარების პროცესი წარმოდგენილი იყო აბსტრაქტულად, იდეალისტურად, გეოპოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი და კულტურული ასპექტების თითქმის სრული უგულებელყოფით. ის ექსპერტები, რომლებმაც ოდნავი ეჭვიც კი შეიტანეს არარეალურ შეფასებებსა და პერსპექტივებში და რეალისტური პროგნოზის გაკეთებას შეეცადნენ, ანტიპატრიოტებად და „ხალხის მტრებად“ მონათლეს. სერიოზული ეკონომიკური ანალიზის მაგიერ პოპულიზტური, იაფფასიანი შეფასებები და ლოზუნგები გაბატონდა. ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორც იყო ენერგოშემცველებითა და სურსათით ქვეყნის უზრუნველყოფა, საქართველოს მატერიალური წარმოების დარგებისათვის ნორმალური სამუშაო პირობების შექმნა და ერის ინტელექტუალური პოტენციალის შენარჩუნება მეტად ზედაპირულად, არარეალისტურად იყო განხილული და „გადაწყვეტილი“. რად დაუჯდა ეს ჩვენს ქვეყანას, ყველანი კარგად ვხედავთ.

### ინტეგრაცია თუ ტყვეობა?

საქართველო, ისევე როგორც სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, (ყველაზე ნაკლებად ბალტიის ქვეყნები) ჯერჯერობით სოციალურად, ეკონომიკურად, ტექნოლოგიურად და კულტურულად „შეთავსებადი“ დანარჩენ სამყაროსთან, სადაც საბაზრო ეკონომიკაა გაბატონებული. ამავე დროს თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში საქართველოს მეურნეობის დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურები ვითარდებოდა გამომდინარე ჯერ შიდასაიმპერიო, ხოლო შემდგომში „შიდასაკავშირო“ შრომის დანაწილების ინტერესებიდან. საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილიც იგივე პრინციპებზე შეიქმნა და განვითარდა. ბუნებრივია, რომ ისეთი ინერციული სისტემის, როგორიცაა ქვეყნის მეურნეობა, ორიენტაციის, დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურების, ნედლეულის წყაროებისა და გასაღების ბაზრების შეცვლა არც ერთ და არც ათ წელიწადში მოხერხდებოდა, ისიც ძირეული სოციალურ-ეკონომიკური ძვრების პირობებში, როცა სოციალური და ეკონომიკური კრიზისი არა ახალი კაპიტალდაბანდების მოზღვავებას (საიდან? ვისგან?), არამედ წარმოების „დამბლასა“ და ჰიპერინფლაციას იწვევს. „სნგ“-ს შექმნა მხოლოდ რუსეთის იმპერიული ძალების სურვილის შედეგი არ არის. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები სნგ-ში მხოლოდ პოლიტიკური დაწოლის შედეგად არ შესულან. პირველ ყოვლისა, მათ ამ ნაბიჯის გადადგმისადმი უბიძგა უკიდურესმა ეკონომიკურმა აუცილებლობამ, ნორმალური ეკონომიკური ინტეგრაციისაგან განსხვავებით, როცა საერთო ბაზარი ან ინტეგრაციის სხვა რომელიმე ფორმა იქმნება ინტეგრაციის მონაწილეთა კიდევ უფრო ეფექტიანი განვითარების, სხვა რეგიონულ ინტეგრაციებთან ეფექტიანი კონკურენციის მიზნით. ყოფილი სსრკ 15 რესპუბლიკის ინტეგრაცია კი არა, ერთიანი სამეურნეო ორგანიზმი იყო, რომელიც ერთი ათწლეულის მანძილზე არ შექმნილა. ამიტომ სნგ-სეული ინტეგრაცია ეკონომიკური თვალსაზრისით წარმოადგენს მისი მონაწილეების (რუსეთის ჩათვლით) ცდას გადარჩეს სრულ ეკონომიკურ და სოციალურ კატასტროფას. ეს ახალი ინტეგ-

რაცია ვედარ იქნება ისეთი „ზისტი“ როგორც სსრკ-ს ე. წ. „ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსი“ იყო. უკვე იმიტომაც, რომ საბაზრო ეკონომიკის გაბატონება, პირველ ყოვლისა რუსეთში, ინტეგრაციის უფრო მიღებულ, გავრცელებულ ფორმებს მოგვცემს, შექმნის „გეოგრაფიული“ და ტექნოლოგიური არჩევანის მეტ შესაძლებლობებს. თუმცა რუსეთი, რა თქმა უნდა, ეცდება, რომ თავისი უპირატესობა სრულად გამოიყენოს. საქართველოს, ისევე როგორც სსრკ-ს სხვა წევრებს, მოუწევს აქტიური ბრძოლა მისთვის მისაღები პირობების, საკუთარი უფლებების დაცვის, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, ტექნოლოგიური პროგრესისა და, რაც მთავარია, მაქსიმალური პოლიტიკური სუვერენიტეტისათვის. ასე ხდება დედამიწაზე ყველა არსებულ ინტეგრაციაში. ამიტომ ბევრი რამ სწორედ ჩვენ საკუთარ უნარზე იქნება დამოკიდებული. გასაგები მიზეზების გამო საქართველოს დედამიწის ზურგზე არსებულ სხვა რომელიმე ინტეგრაციაში არც და ვერც მიიღებდნენ. დღეს კი ეულად დარჩენილ საქართველოს ეკონომიკური გადარჩენის შანსი არ ექნებოდა.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მეტად მტკივნეული საკითხიც. ჩვენი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ეგონა და ჯერაც ჰქონია, რომ საქართველო ძალიან მდიდარი ქვეყანაა და ყველა პირობა აქვს ერთბაშად სამოთხე გახდეს. ეს მითია, თუნდაც იმიტომ, რომ ჯერ არავის გამოუკვლევია ეს საკითხი სათანადო სიღრმით და საერთაშორისო დონის ეკონომიკური არგუმენტაციის მოშველიებით. ეს პოპულისტური მითია, რომელმაც დიდი ზიანი მოგვაყენა. საქართველოს შეუძლია გახდეს განვითარებული ქვეყანა, მაგრამ ამას თაობების დაუღალავი შრომა, ხელსაყრელი პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები და ფაქტორები, მოსახლეობის კანონმორჩილება და ჭეშმარიტი დემოკრატიის გზით სწრაფი სვლა დასჭირდება. ნუთუ XXI საუკუნეში ისევ ლუარსაბ თათქარაძის ცნობილი შეხედულებებით ვაპირებთ შებიჯებას? დღეს განვითარებისა და კეთილდღეობის საწინდარი ქვეყნის მოსახლეობის „ხარისხი“, მისი შრომითი კულტურა, კვალიფიკაცია და ჩვევებია.

## ევროპულობის კომპლექსი

ჩვენში არანაკლებად პოპულარულია „ევროპული“ თემა. ხშირად ვისმენთ კატეგორიულ განცხადებებს საქართველოს ევროპისაგან დროებით მოწყვეტასა და მასში აუცილებელ გარდუვალ დაბრუნებაზე. ვინ მოიგონა ეს მორიგი მითი? როდის ყოფილა საქართველო ევროპული? ნუთუ ქრისტიანობა ევროპულობის ტოლფასია? დღეს, როცა ევროპა კვლავ მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია „ცივი ომის“ დამთავრების შედეგად გამოწვეული ცვლილებებისა და მასში მიმდინარე მძლავრი ინტეგრაციული პროცესების გამო, უამრავი ნაშრომი იწერება იმის თაობაზე თუ რას ნიშნავს „ევროპულობა“, „დასავლურობა“ და ვინ არის ჭეშმარიტი ევროპელი. პასუხი ერთი და მარტივია — ის, რასაც თანამედროვე მსოფლიო უწოდებს დასავლურს და ევროპულს, არის ის საზოგადოება, რომელმაც გაიარა რენესანსი, რეფორმაცია, განმანათლებლობისა და რევოლუციების ეპოქები. ამ კრიტერიუმების მოშველიებით საკმაოდ ადვილად შეგვიძლია მოვახდინოთ ევროპის „კულტურული“ დელიმიტაცია და დავინახოთ, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპიდან (ფიზიკურ-გეოგრაფიული გაგებით) იმ, „ნამდვილ“ ევროპაში დარჩება მხოლოდ პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთის ნაწილი, სლოვენია, ხორვატია, უკრაინის დასავლეთი ნაწილი, ბალტიის ქვეყნები, იაპონია, ტაივანი. სინგაპური და სამხრეთ კორეა ევროპულობაზე თავს არ დებენ, მაგრამ ევროპული დასავლური ეფექტიანად შეუხამეს საკუთარს, ეროვნულს და ძალიან მაღალ შედეგებს მიაღწიეს. ამერიკულიც ზომ

ძირში ევროპულია. ის, რასაც თანამედროვე დასავლური ცივილიზაცია ჰქვია, დასავლეთ ევროპის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული გამოცდილებიდან გამომდინარეობს. ამის ათვისება ყველას შეუძლია და ბევრმა შესანიშნავად შეძლო კიდეც. ევროპულობის ქვაკუთხედი კანონმორჩილება და დაუღალავი შრომაა. ევროპულობა რომ დაეიბრალოთ, ამით ჭეშმარიტი ევროპელები გავხდებით?

## ორიენტაცია კლიერ მანეიტურ ველში

სიტყვა „ორიენტაცია“ მეტად პოპულარული გახდა ჩვენს პოლიტიზირებულ საზოგადოებაში. განსაკუთრებით ხშირად გაისმის გამოთქმა „დასავლური ორიენტაცია“. თუ დასავლური ორიენტაცია არა გაქვს ესე იგი მოღალატე ან ძალიან ჩამორჩენილი აზროვნების პოლიტიკოსი ბრძანდები.

პოლიტიკაში ორიენტაცია ჰორიზონტის რომელიმე მხარის მიმართულებით მხოლოდ მზერა არ არის. პოლიტიკაში ორიენტაცია არის გამოკვეთილი პოლიტიკის გატარება. დასავლური ორიენტაცია ნიშნავს დასავლეთთან აქტიურ დაახლოებას, მისი გავლენის სფეროში მოხვედრას, მასთან კავშირის შექმნას და ა. შ. ძალუძს კი დღევანდელ საქართველოს დასავლური ორიენტაციის განხორციელება? თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში მკაცრი, დაუნდობელი რეალიზმი ბატონობს. რომანტიზმით, ზნეობრივი აბსტრაქციებით ნაკარნახევი საგარეო პოლიტიკით, პოლიტიკური პროვინციალიზმით ეროვნული ინტერესების დაცვა შეუძლებელია. საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში არსებობს „ძალის პოლიტიკის“, „ძალთა თანაფარდობის“, „გავლენის სფეროების“ და სხვა კონცეფციები, რომლებიც თეორიაში წარსულისა და აწმყოს საერთაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკიდან არის მოსული. დღეს იმდენს ლაპარაკობენ გეოპოლიტიკის შესახებ, რომ ეს ცნებაც ლამის განყენებულად, სტერილურად აქციონ. სწორედ ახლანდელი გეოპოლიტიკური ვითარება უკარნახებს და აიძულებს საქართველოს პოლიტიკური და გეოპოლიტიკური რეალიზმის გზით იაროს, საკუთარი ეროვნული ინტერესები რეალურ საერთაშორისო ვითარებას შეუხამოს. პოლიტიკა ხომ შესაძლებელის ხელოვნებაა. პატარა, გაპარტახებული, უსუსური ქვეყნისათვის, რომელიც მხოლოდ ახლა აპირებს თანამედროვე ცივილიზებული გზით განვითარდეს, ვანა ბევრი არჩევანი არსებობს?

გავლენიანი ამერიკელი ექსპერტი უილიამ ჰვაფი განიხილავს აღმოსავლეთ ევროპაში შექმნილ ვითარებას და აღნიშნავს, რომ დასავლეთის ინტერესებს აღმოსავლეთით გარკვეული ზღვარი აქვს: „...ეს ეხება სსრკ-ის მემკვიდრე სახელმწიფოებს, რადგან პოლიტიკური რეალიზმი ასე გვეკარნახობს. ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე მიმდინარე ეთნიკური კონფლიქტები დასავლეთის ქვეყნების კომპეტენციის ჩარჩოებს სცდება. დასავლეთს არ ძალუძს კონსტრუქციული გავლენა იქონიოს ამ რეგიონში და ეს კონფლიქტები უმეტესწილად დასავლეთის პრაქტიკული შესაძლებლობების მიღმაა. დასავლეთმა არსებითად უკვე გადაწყვიტა, რათა არავითარ შემთხვევაში არ ჩაერიოს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული თანამეგობრობის კონფლიქტებში, შესაძლოა ერთი შემთხვევის გარდა – თუ რუსეთი შეეცდება კვლავ მიიერთოს ბალტიის ქვეყნები. დასავლეთს ძალიან ცოტა რამ შეუძლია გააკეთოს, რათა გავლენა იქონიოს აზერბაიჯანელებისა და სომხების, ტაჯიკი მუსლიმანებისა და ნაციონალ-კომუნისტების, ინგუშებისა და ოსების, სამხრეთ ოსებისა და ქართველების ბრძოლაზე. დასავლეთისათვის ამ კონფლიქტებს, საღად, თუნდაც დაუნდობლად რომ ვიაზროვნოთ, ოდნავი მნიშვნელობაც კი არა აქვს, თუ კი ისინი რუსეთის გამოჯანმრთელების

პროცესის დესტაბილიზაციას არ მოახდენენ. ბალკანეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ვითარება კი სულ სხვაა...“<sup>2</sup> ნუთუ ამას კიდევ კომენტარი სჭირდება? ჩვენდა სამწუხაროდ, ეს შეხედულება დასავლეთის მთავრობათა სამუშაო ფორმულად, პრაქტიკულ დოქტრინად იქცა. მიუხედავად ამისა, საქართველო დღე-ნიადაგ უნდა ცდილობდეს დასავლეთთან ყოველგვარი კავშირების გაღრმავება-გაფართოებას. იქნებ როდესმე ორიენტაციაც გამოგვივიდეს?

## დავაპი და იბატონა

საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიასა და პრაქტიკაში გაბატონებულია შეხედულება, რომ მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნები თავიანთ ძლიერებას დემიწის სხვადასხვა რაიონებში ან ქვეყნების გარკვეულ ჯგუფებში ცალმხრივად, საკუთარი ინტერესებისათვის იყენებენ. ამავე დროს უძლიერესი ქვეყნები ერთმანეთში თანხმდებიან საკუთარი გავლენის, ინტერესების თუ პასუხისმგებლობის სფეროების დამყარების თაობაზე. ადრე გავლენის სფეროების დაწესების შესახებ შეთანხმებები იდებოდა (გავიხსენოთ თუნდაც რომის პაპების ბულები XV—XVI სს.). დღესდღეობით გავლენის სფეროთა შესახებ ფორმალური შეთანხმებები არ იდება და მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნები ამჯობინებენ უფრო მიღებულ და მოქნილ პრაქტიკას — დანტერესებული მხარეები ერთმანეთთან ურთიერთობებში და გავლენის სფეროების დადგენისას გარკვეულ „თამაშის წესებს“ აყალიბებენ და შემდგომში ცდილობენ ყოველგვარი ფორმალური შეთანხმებების გარეშე, დაიცვან ხსენებული წესები. ამ წესების მთავარი პირობაა, რომ ორი ძლიერი ქვეყანა ცნობს ურთიერთის დომინირებას გარკვეულ რეგიონებში ან სფეროებში, მაგრამ ორივე ცნობს ურთიერთის უფლებებს გავლენის სფეროზე უფლებების მხოლოდ იმ გავებით, რომელიც გამომდინარეობს „თამაშის წესებიდან“. გავიხსენოთ სსრკ-ის მიერ 1956 წელს უნგრეთის და 1968 წელს ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია. აშშ-მა არაფრით არ უპასუხეს, მაგრამ, როცა 1961 წელს ხრუსჩოვის ბრძანებით კუბაზე საბჭოთა ბირთვული რაკეტები იქნა განლაგებული, აშშ-ის რეაგირება მეტად ძლიერი იყო და სსრკ-მ გამოიტანა კუბიდან ხსენებული რაკეტები. ორი სუპერძალის დომინირება თავიანთი გავლენის სფეროებში კვლავ გარკვეულ თამაშის წესებს დაექვემდებარა.

სოციალისტური ბანაკისა და სსრკ-ის დაშლის შედეგად რუსეთი აშშ-თან ურთიერთობებში და საკუთარი გავლენის სფეროს განსაზღვრაში, ახალი გეოპოლიტიკური რეალიებიდან გამომდინარე, გარკვეული თამაშის წესების ჩამოყალიბებას შეეცადა. ეს ხდებოდა დიპლომატიური არხების, მეზობელ ქვეყნებში (ტაჯიკეთი, მოლდავეთი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და სხვ.) ეთნოკონფლიქტებისა და სხვადასხვა პოლიტიკური აქციების მოწყობისა და გამოყენების საშუალებით. ბუნებრივია, რომ ორივე მხარე ამ პოლიტიკურ „ვაჭრობაში“ ქსაკუთარი მიზნების მაქსიმიზაციას შეეცადა. შესუსტებული რუსეთის ოსტატურმა დიპლომატიამ და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებულმა მძიმე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია დასავლეთის (პირველ ყოვლისა, აშშ-ის) პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ინტერესებმა განაპირობა აშშ-ისა და რუსეთის მიერ თავიანთი გავლენის სფეროების განსაზღვრა და თამაშის წესების „ახალი რედაქცია“. საქართველო ყველაფერ ზემოხსენებულისა და საკუთარი უსუსურობის გამო რუსეთის გავლენის სფეროში დარჩა. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან რუსეთის პოლიტიკური გავლენის სფეროდან „გამოყვანილ“ იქნა მხოლოდ ბალტიის ქვეყნები, მაგრამ ჟახლოვს

<sup>2</sup> William Pfaff. Invitation to War. „Foreign Affairs“, Vol. 72, № 3, 1993, p. 108.

მომავალში მათ მაინც მოუწევთ რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა. ბევრი რამ დამოკიდებულია საკუთრივ რუსეთზე. რუსეთის შემდგომი განვითარების ხასიათი გადაწყვეტს არა მხოლოდ თვით რუსეთის, არამედ მისი გავლენის სფეროში მყოფი ქვეყნების განვითარების ბევრ ასპექტს.

დასავლეთი ცდილობს რუსეთის განვითარება ცივილიზებული, დემოკრატიული გზით წარიმართოს. ძლიერი, მაგრამ დემოკრატიული რუსეთი დასავლეთისათვის ევრაზიის კონტინენტის დიდ ნაწილზე გარკვეული წესრიგის, სტაბილური განვითარების გარანტი შეიძლება გახდეს. არსებულ მდგომარეობაში მყოფი ამიერკავკასია და მთლიანად კავკასიის რეგიონი დასავლეთს მაინცდამაინც არ აინტერესებს. დასავლეთი აგრეთვე ცდილობს რუსეთს არ განუვითაროს „ვერსალის კომპლექსი“ და ახალი რუსეთის (რომელსაც ბირთვული იარაღის 40 ათასზე მეტი ერთეული აქვს) გარკვეულ პოლიტიკურ ინტერესებს ანგარიში გაუწიოს. ესეც თამაშის წესებში შედის. ცნობილი ამერიკელი ექსპერტი პოლ გობლი შენიშნავს: „ისინი (ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები) უნდა შეურიგდნენ იმას, რომ რუსეთს საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესები აქვს და საკუთარი სიდიდისა და ისტორიის წყალობით იგი კიდევ დიდხანს დაიკავებს ცენტრალურ ადგილს ამ ახალი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში“<sup>3</sup>.

ასეთია პოლიტიკური და ეკონომიკური სინამდვილე. საქართველომ უკანასკნელი წლების განმავლობაში წინ გადადგა უზარმაზარი ნაბიჯი, გახდა სუვერენული სახელმწიფო. ურთულეს პირობებში იქმნება ახალი საქართველო, მაგრამ ვითარება 1921 წლისაგან თვისებრივად განსხვავდება. ამჟამად ყველაფერი საქართველოზეა დამოკიდებული. შეეძლება ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების, თანამედროვე ეკონომიკის აშენებას, მოვაზერხებთ შიდა წინააღმდეგობების დაძლევას — სათანადო ადგილს დაიკავებთ საერთაშორისო საზოგადოებაში. ვოლტერის „კანდიდის“ ერთ-ერთი გმირის თქმით „ყველამ საკუთარი ბაღი უნდა დაამუშავოს“.

<sup>3</sup> Paul A. Goble. Russia and Its Neighbors. „Foreign Policy“, № 90, Spring 1993, p. 85.

## იურისტთა კონფერენცია მანილაში

დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოს იურისტთა კავშირის თხუთმეტი წარმომადგენელი მიიღეს „მსოფლიო იურისტთა ასოციაციის“ წევრებად. ამ ასოციაციის მორიგი, მეთექვსმეტე კონფერენცია გაიმართა ფილიპინების დედაქალაქ მანილაში 1993 წლის 24-29 ოქტომბერს, სადაც ქართველი იურისტებიც იყვნენ მიწვეულნი. კონფერენცია, რომლის თემა იყო „სამართალი ცვალებად მსოფლიოში“, მიემდენა სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობის პრობლემებს, საერთაშორისო ეკონომიკურ სტრუქტურასა და ეკონომიკურ სამართალს, მსოფლიოში ბავშვთა მდგომარეობასა და მსოფლიოს დემოკრატიზაციის პროცესებს. ქართველი იურისტები აქტიურად ჩაებნენ ადამიანის უფლებათა დაცვის სექციის მუშაობაში. სხდომებზე სიტყვით გამოვიდა ბატონი გივი ინწკირველი. სექცია გაეცნო დოკუმენტურ მასალას და ფირებს, რომლებიც აფხაზეთში ეთნიკურ წმენდას, ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევებს ეხებოდა. აღსანიშნავია, რომ კონფერენციის რეზოლუციაში, მსოფლიოს სხვა ცხელ წერტილებთან ერთად, დაფიქსირდა კავკასიის რეგიონი, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებრიობის მეტ ყურადღებას საჭიროებს.

დღევანდელ მსოფლიოს უადრესად დამაბულ და ხშირად ტრაგიკული მოვლენებით აღსავსე დროში უზღებდა ცხოვრება. ეს არის მსოფლიო წესრიგში დიდი ვარდაქმნების ეპოქა, ცვლილებებისა, რომელიც მომავალში ადამიანებს შორის მშვიდობიანი თანარსებობის, ჰარმონიული ურთიერთ დამოკიდებულების დამკვიდრებისკენა მიმართული. აღნიშნული პროცესების დრმა ანალიზი მოცემულია კონფერენციის მუშაობაში მონაწილე იტალიელი იურისტის, მისი აღმატებულების მონსინიორ ერენესტო გალინას (ვატიკანი) მოხსენებაში, რომელსაც ვთავაზობთ ქართულ მკითხველებს.

რედაქცია ფიქრობს, რომ შემოთავაზებული პუბლიკაცია სათანადო ინტერესს აღძრავს ამ პრობლემით დაინტერესებულ მკითხველებში. ამასთან, იგი მზადაა წარმოჩენილ საკითხთან დაკავშირებით დისკუსიის სახით გამოაქვეყნოს ნებისმიერი გამოხმაურება.

\* \* \*

## ადამიანის უფლებები და ახალი მსოფლიოს ფასრიბი

ინტეგრაციის რეგიონალური და მსოფლიო მასშტაბის პროცესები დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ე. წ. ცივი ომის დასრულების შემდეგ, განსაკუთრებული სიმძაფრით აწყდება ნაციონალისტური და ხშირად, ულტრანაციონალისტური ძალების წინააღმდეგობას. ნაციონალიზმს, რომელიც დაკავშირებულია პიროვნებების ღირსებასთან და საზოგადოების სხვა კომპონენტებთან, „განსხვავებულობის უფლებით“ ხსნიან. მაგრამ, ლეგიტიმური განსხვავებულობის ეგზალტაციასთან ერთად, ბევრ ქვეყანაში ფეხს იკიდებს მეზობლებს შორის აღმოჩენილი განსხვავებების ძალისმიერად მოსპობის ტენდენცია. ამდენად, წარმოიშობა კონფლიქტი ერთი და იმავე რეგიონის ან ერთი და იმავე ქვეყნის სხვადასხვა ხალხებს შორის, რაც, წარსულის ომების მსგავსად, სისასტიკით ხასიათდება.

დღევანდელი მსოფლიო საზოგადოება ამ მოუგვარებელი დრამების წინაშე დგას და მას არა აქვს უფლება, დარჩეს პასიური მყურებლის როლში, რაც გარკვეულწილად, დანაშაულში თანამონაწილობის ტოლფასია.

## მსოფლიო ფასრიბი იცვლება

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიო წესრიგის რღვევა აშკარად გამოიკვეთა თუნდაც ამ დრამატულ მოვლენათა ფონზე, რომელმაც დედამიწის ხალხების უდიდესი ნაწილი მოიცვა. ეს მოვლენები კი ომის შემდგომ წლებში





მიძინებული კონტრასტებისა და განსხვავებული ტენდენციების გაღრმავების საშიშროებას ქმნიან.

იცვლება საერთაშორისო პოლიტიკა და მასთან ერთად, ის იურიდიული ნორმები, რომლებიც არეგულირებენ საერთაშორისო ურთიერთობის სუბიექტების მოქმედებას. ამ ცვლილებებმა უნდა უპასუხოთ ცალკეული ინდივიდებისა და ხალხების სამართლიან მოთხოვნას, რათა საკუთარი თავი იხილონ საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართალში პროტაგონისტი, როლში.

ამასთან დაკავშირებით, ისმება კითხვა ცვალებად მსოფლიოში სამართლის ფუნქციის შესახებ. საკითხი, მართალია, უნდა მოიცავდეს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის კონტექსტის ანალიზს და პირდაპირ ეხებოდეს თანამედროვე წესრიგის საფუძვლებს, მაგრამ მსჯელობას უნდა ჰქონდეს მკაცრი თეორიული ხასიათი, არანაკლებ მკაცრი პოლიტიკური და პრაგმატული ასპექტებით. საკითხის განხილვა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ პრობლემათა შესწავლით, არამედ ის უნდა შეიცავდეს, აგრეთვე, არსებული სისტემის პუნქტუალურ კრიტიკას.

**აღამიანის უფლებების ახლებური წარმოჩენა ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში**

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტებისა და წესების ხელახალი გააზრება — მსოფლიო სიტუაციასთან მისი შესაბამისობის შეფასება — პირველ ყოვლისა, უნდა მოხდეს იმ ნორმათა განსაზღვრული ნაწილის ფარგლებში, რომლებიც პიროვნების დაცვას ეხება.

ის, რამაც შესაძლებელია ძირი გამოუთხაროს საერთაშორისო თანაცხოვრებას და, მასთან ერთად, იმ ცდებს, რომლებიც მიმართულია ახალი მსოფლიო წესრიგის საფუძვლის შექმნისაკენ, პიროვნებებისა და ხალხების ძირითადი უფლებების უპატივცემულობაა. ანდა — მათი აშკარა შელახვა. ასეთი ქმედებები კი ნაკარნახევია იმ კეთილი განზრახვების გაქარწყლების სურვილით, რომელთა მიზანია, ახალი შინაარსი მისცენ საერთაშორისო სამართალს, როგორც სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობის საშუალებას.

საკითხისადმი ასეთი მიდგომა ორ მიმართულებას წარმოაჩენს:

**პირველი.** საერთაშორისო სამართლის ცენტრში დგას აღამიანი: ეს არის სამართლის ზოგადი თეორიის ამოსავალი წერტილი, მაგრამ ოფიციალურ დოქტრინაში არ ჩანს, რომ პიროვნება საერთაშორისო ურთიერთობის სუბიექტია. ამის საპასუხოდ, პიროვნების საერთაშორისო იურიდიული დაცვის მექანიზმი მიიჩნევა და მიიჩნევა, რომ „პასიური“ სუბიექტურობა ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს. „გადანაცვლების“ მიმდინარე პერიოდში ამ საკითხის ქვაკუთხედია ახალი კორიზონტები, თუმცა მათი გააზრება ხდება მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობების საერთო კონდექსტის განხილვის ფარგლებში.

**მეორე.** თავს იჩენს მტკიცე კორელაცია ძირითად უფლებების სხვადასხვა ინტერპრეტაციას და „ძველი“ მსოფლიო წესრიგის დასასრულს შორის. წესრიგია, რომელიც ჩამოყალიბებული იყო ზესახელმწიფოებსა და მათივე გავლენის სფეროებს შორის პოლარულობის, დასავლეთ-აღმოსავლეთის ცივი ომისა და ბირთვულ საფრთხეზე დაფუძნებული უშიშროების სისტემის პირობებში.

ყველაფერს შუქი მოეფინება თუ, ანალიზის პროცესში დავინახეთ ინდივიდებისა და ხალხების მისწრაფება იხილონ თავიანთი უფლებები დაცული,



ახალი უფლებები და ახალი სუბიექტები აღიარებული, დაგმობილი იქნას ქალაქობა, რისთვისაც აუცილებელია საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ზეწოლა და ჩარევა. მიუხედავად ამისა, „პოლიტიკური“ მიზეზებით ადამიანის უფლებების საკითხის საერთაშორისო დონეზე გადაწყვეტის პროცესის პარალიზების რისკი მაინც არ არის გამართლებული.

119  
206

პირველი ნაბიჯები მიმართული უნდა იყოს ადამიანის უფლებების დასაცემ ლურ კონცეფციებსა და განსხვავებული ისტორიისა და კულტურული ტრადიციების მქონე ქვეყნების შეხედულებებს შორის კონსენსუსის მისაღწევად. მსოფლიოს სამხრეთის ქვეყნები განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევენ ზოგიერთ ძირითად უფლებას და ეჭვი შეაქვთ მათ ეფექტიანობასა და ჯაჯის შესამძლებლობებში. მათი აზრით, ის ინდივიდები და ხალხები, რომელთაც საკუთარ თავზე არ გადაუტანიათ **რასობრივი დისკრიმინაცია**. მართალია, არ იზღუდებიან იმ ქვეყნებთან შედარებით, რომლებიც ტრადიციულად ადამიანების „თეთრებად“ და „შავებად“ დაყოფის პრაქტიკით ხასიათდებიან, მაგრამ აქვთ შესაძლებლობა კონტროლი გაუწიონ მიგრაციის პროცესებს და ამდენად, შეზღუდონ აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის წარმომადგენლების გადანაცვლება დასავლეთის განვითარებულ სამყაროში. **თვითგამორკვევის უფლება**, რომელიც დეკოლონიზაციის პერიოდში დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის გზაზე დამდგარ ქვეყნებს მიენიჭა, დღესაც უნდა მიეცეს ყველა ხალხს, რომელიც მისწრაფვის, რათა ჰქონდეს მმართველობისა და რესურსებზე კონტროლის საკუთარი ფორმა. ჰარმონიული დამოკიდებულება **დემოკრატია**სა და **ადამიანის უფლებებს** შორის დასავლეთის მხრიდან აღმოსავლეთის ქვეყნებთან დიალექტიკაში ნამდვილად „დისკრიმინაციულია“. ის ხელახლა უნდა იქნეს გააზრებული ყველა უფლების (არამარტო პოლიტიკური და ცივილური, არამედ, აგრეთვე, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული) ეფექტიანად ფლობის კავშირში.


არც ძირითადი უფლებების კულტურული პროფილის პრობლემები უნდა დარჩეს გვერდზე. ამ ჭრილში მსოფლიოს სამხრეთი ქვეყნები ითხოვენ ადამიანის უფლებების დაცვის „რეგიონალური“ გეგმის აღიარებას, გეგმისა, რომელიც წარმოდგენილია „განსხვავებულობებით“ და რაც ხელს შეუწყობს საყოველთაო დონეზე განხილული უფლებების სტანდარტების „განკულტურებას“. უნივერსალურობასა და კერძობას შორის ურთიერთდამოკიდებულება მომავალში არსებითად იქნება განსახილველი, ეს ეხება არამარტო ადამიანის უფლებებს, არამედ საერთაშორისო წესრიგის უფრო ფართო სპექტრს.

წინააღმდეგობებითა და ამბიციურობებით მდიდარი ჩვენი საუკუნე არაერთი დიფინიციითაა წარმოდგენილი. ერთ-ერთია „ადამიანის უფლებების საუკუნე“. მაგრამ რაოდენ სამწუხაროა, რომ ხშირად არ ხდება ამ საყოველთაოდ აღიარებული უფლებების ცხოვრებაში გატარება. მომავალი კულტურებს შორის ჭეშმარიტად მსოფლიო მასშტაბის დიალოგსა და ადამიანის უფლებების ახლებურ გააზრებას მოითხოვს, იქნებ კულტურამ შეძლოს იმის შეკავშირება, რაც პოლიტიკამ გაყო.

აუცილებელია ისეთი მსოფლიო მორალის დამკვიდრება, სადაც ყველა რელიგიასა და კულტურას შეეძლება თანამშრომლობა, რის შედეგადაც ხვალინდელი მსოფლიო მშვიდობიანი თანაარსებობის გზებს მოძებნის.

**განსხვავებულობის უფლება**

ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მეტიც, მათ აქვთ ამის უფლება და ეს ნორმალურია. მაგრამ არა იმ შემთხვევაში, როცა ადამიანები იურიდიულ სტატუსში ამკვიდრებენ განსხვავებას.



ღმერთის მიერ შექმნილი ყოველი ადამიანი ინდივიდუალურია: ღმერთს თითოეულ მათგანს ეპყრობა, როგორც უნიკალურ არსებას. თითოეულ ადამიანში ბუღებს ღვთაებრივი საწყისი და ვინაიდან იგი (ადამიანი) სათავეს ღმერთიდან იღებს. მისი დანიშნულებაა, დაუბრუნდეს მას.

თუ განვაზოგადებთ ამ ტრანსცენდენტურ და რელიგიურ წარმოდგენას და საკუთარი თავის შეფასებაში იმანენტური და წმინდა ადამიანური თვლსაზრასით შემოვისაზღვრებით, ცხადია, მხოლოდ ადამიანს შესწევს საკუთარი თავის შეფასების უნარი. ის ყველა სხვა განზომილებად რეალობაზე მაღლა დგას და ყველაფერი მის კონტროლს ექვემდებარება.

„უფლებების“ ცნების არსს მხოლოდ ადამიანი სწვდება. ამდენად, უფლებებიც მის კონტროლს ექვემდებარება.

თითოეული ადამიანი არის საკუთარი „მე“ და იგი ყოველთვის დარჩება ამ „მედ“, მაშინაც კი, როცა სხვადასხვა საზოგადოებასთან (ოჯახი იქნება ეს, სოციალური გარემო თუ ერი) -კავშირში აღმოჩნდება. მაგრამ აქ ადგილი უნდა ჰქონდეს ადამიანის თვითშეზღუდვას სხვა ანალოგიური რეალობების პატივისცემის გარანტიისათვის.

შეზღუდვები შეიძლება და უნდა დამკვიდრდეს იერარქიული საზომით, უმაღლესი რეალობების შესაბამისად. მაგრამ ხელუხლებლად და წმიდათაწმიდად უნდა დარჩეს საკუთარი თავის განსხვავებულობის უფლება.

## ბანსხვავებას შორის კარპონიული და არაანტაგონისტური დამოკიდებულება

„სეპარატიზმს არა: ჩვენ არ გვსურს რაიმე გაიყოს ადამიანთა ოჯახში“..

(პაპი პიუს XI, 1938 წლის 28 ივლისი, მიმართვა სტუდენტებისადმი)

სიყვარული დაიბადა არა ერთგვაროვნობას, არამედ განსხვავებულობას შორის. განსხვავებულობიდან მოდის სიყვარული, სიყვარულიდან მოდის სიცოცხლე. ეს არის ოჯახის კანონი. კაცი და ქალი განსხვავებული არსებანი არიან და ამ სხვადასხვაობაში (და არა მიუხედავად ამ სხვადასხვაობისა) მათ უყვართ ერთმანეთი (არა ტოლერანტობა, არამედ სიყვარული) და უყვართ რა ერთმანეთი ისინი ქმნიან სიცოცხლეს.

ეს კანონი უნდა გადაიქცეს ხალხებისა და ადამიანთა ერთიანი ოჯახის ნორმად.

განსხვავებულობის პრობლემა უნდა გადაიჭრას სოლიდარობის მიზიდულობის ძალით, რომელიც აერთიანებს ადამიანებს და მომავალში არა არარსებობის, არამედ არსებობის საფუძველს ჰქმნის.

რა თქმა უნდა, რეალობა ძალზედ განსხვავებულია: ადგილი აქვს სხვადასხვა ჯგუფს შორის გამართულ ნამდვილ მუშტი-კრივს — რასებს შორის წინააღმდეგობას ანუ რასიზმს — ბრძოლას სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის, ანუ ეთნოციზმს.

ეთნოციზმს საკუთარი ისტორიული, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძველები აქვს.

ეთნოციზმი გულისხმობს რომელიმე ეთნიკური ჯგუფის წევრებისთვის კოლექტიურად ან ინდივიდუალურად ენისა და კულტურის გამოყენების, გან-

ვითარებისა და გადაცემის უფლების წართმევას და ძალზე ხშირად, მასობრივ რეპრესიების, განდევნის ან განადგურების გზით. ეს არის ადამიანის უფლებების შელახვის ექსტრემალური ფორმა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკითხი ეხება ეთნიკური ჯგუფის უფლებას, პატივი სცენ მის კულტურულ სახეს. ამ დროს ხდება საზოგადოების ადამიანური სახის დაკარგვა: იმისათვის, რათა გადარჩეს, დაიცვას საკუთარი თავი და ქონება და, შესაძლებლობის შემთხვევაში, მითთვისოს სხვისიც (უძრავ-მოძრავი ქონება, საჭმელი, წიაღისეული, ტერიტორიები, მატერიალური და სულიერი ღირებულებები, კულტურა, რელიგიაც თუ სიმბოლიკაც). ადამიანი იქცევა დამორგუნველ და დათრგუნულ არსებად.

ეთნოციზმი არის აგრესიული ზიზღი სხვებისადმი. ის სიმბიოზურად უკავშირდება რასიზმს.

რასიზმთან დაკავშირებით ერთ უცნაურობას ვაწყდებით: ყველა (საერთაშორისო ორგანიზაციები, რელიგიები, მთავრობები, მეცნიერები და ინდივიდებსა და ხალხების სინდისიც კი) გმობს რასიზმს, მაგრამ ეს უკანასკნელი გავრცელებულია ყველგან, თვით მათშიც კი, ვინც სიტყვით გმობს მას. ისმის კითხვა: თუ დაგმობა, რომელიც ამხელს სხვის, და არა საკუთარი თავის რასიზმს ფორმალურ ხასიათს არ ატარებს, სად არის ალიბი, რომელსაც ყოველი ხალხი და ინდივიდი ჰქმნის საკუთარი თავის გასამართლებლად?

ისტორია გვასწავლის, რომ რასისტული მიკერძოება თითქმის უნივერსალურად უცვლელია: ხალხები, რომელნიც ერთ დროს რასიზმის უდიდესი მსხვერპლნი გახდნენ, ახლა თავად იქცნენ რასისტებად და სხვა ეთნიკურ ჯგუფებს დაუპირსპირდნენ, ბუნებრივია, არის რასიზმი და რასიზმიც: ის, რომელიც უბრალოდ უსიმიავნო დამოკიდებულებაში გამოიხატება და ის, რომელიც წარმოიჩინდება ჩაგვრისა და განადგურების სახით. თუმცა ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ რასიზმის ნებისმიერი ფორმა სათავეშივე დასაგმობია. რა ჰქმნის რასისტული დამოკიდებულების მიზეზებს? ეს არის რაღაც შექმნილი ფენომენი, გარკვეული განათლების პროდუქტი თუ სპონტანური რეაქცია? ადამიანები იბადებიან თუ შემდგომში იქცევიან რასისტებად? რა მოდის ბუნებიდან და რა კულტურის გავლენიდან?

აქ აზრი ორად იყოფა:

პირველი და ფართოდ გავრცელებული, ამტკიცებს, რომ რასიზმი უსამართლო ეკონომიკური და პოლიტიკური წყობის დამკვიდრებისა და მასთან სოლიდარობის სურვილითაა ნაკარნახევი: რასისტი არის ეგოისტი არსება (ეკონომიკურ-სოციალური სკოლა);

მეორე თვალსაზრისი აპელირებს კულტურული, ფსიქოლოგიური ან აშკარად პათოლოგიური მოტივებით: რასისტი გონებრივად დაავადებული არსებაა (ფსიქო-პათოლოგიური სკოლა).

რასიზმი კულტურის (და არა ბუნების) ნაყოფია. რასობრივ მიკერძოებას არ გააჩნია თაობიდან თაობაზე გარდამავალი ან სპონტანური ხასითი. ის კულტურულ საწყისზე აღმოცენებული განსჯაა — ეგოისტური პროპაგანდის წყალობით შექმნილი მითი, რომელსაც საერთო არაფერი აქვს ადამიანის ბუნებასთან და საუკუნეზე ოდნავ მეტი ხნის ისტორია გააჩნია.

არ არსებობს უმაღლესი და უმდაბლესი კულტურა: ყველანაირი კულტურა ერთნაირადაა მისასაღმებელი. რასიზმი ღმერთს არ შეუქმნია, ის პირველი ცოდვიდან წამომდგარი ერთ-ერთი ცოდვაა!

რასიზმი განიხილება, როგორც „ჩვენი დროის სოციალური კიბო“. მისგან განკურნების იმედი მსოფლიო მასშტაბით ახალგაზრდა ადამიანების ძმურ ურთიერთობაში უნდა გამოიხატოს: ურთიერთგაცნობიერება, საერთაშორისო დე-

ნეზე ეკონომიკური და პოლიტიკური კონტრასტების უკეთ დარეგულირება ხალხებს იმის შესაძლებლობას მისცემს, რომ თავი ძმებად იგრძნონ და ასეთი გზით გააგრძელონ ცხოვრება.

ეთნიკური ჯგუფების დაცვა არ უნდა აკვერიოს „სეპარატიზმში“. ეს უკანასკნელი ფასეულობათა აღქმის კრიზისის ნაყოფია. სეპარატიზმი წყვეტს იმ დამაკავშირებელ ძაფებს, რომელიც საფუძველს ჰქმნიდა სხვადასხვა ხალხის თანაარსებობისთვის.

## ჰუმანიტარული ინტერვენციის უფლება და მივალეობა

რაოდენ მართებულია ლაპარაკი „სახელმწიფოთა საქმეებში ჩაურევლობაზე“, როცა მსოფლიოს არაერთი რეგიონი ცეცხლშია გახვეული. აქვს თუ არა ამგვარ ვითარებაში საერთაშორისო საზოგადოებას „ჰუმანიტარული ინტერვენციის“ უფლება და მოვალეობა?

ამასთან დაკავშირებით თავს იჩენს შემდეგი პრობლემა: დღემდე ადამიანის უფლებების აღიარება და დაცვა, თითქმის გამონაკლისის გარდა, სახელმწიფოების მოვალეობა იყო. თუმცა, ამ მხრივ, საერთაშორისო სამართლი მათთვის გარკვეულ შეზღუდვებს აწესებდა. მაგრამ ეს შეზღუდვები ფრთხილ და სრბიტრალურ ხასიათს ატარებდა. ასეთი მოთხოვნები დღევანდელ მსოფლიოს ინტერესებს აღარ შეესაბამება. ამიტომ ადგილი აქვს საერთაშორისო დონეზე კონტროლის მექანიზმის მოქმედებას და საერთაშორისო საზოგადოების უშუალო ჩარევას — ე. წ. **ჰუმანიტარულ ინტერვენციას** — იმ ქვეყნების საქმეებში სადაც სახეზეა ადამიანის ძირითადი უფლებების აშკარა შელახვა. საერთაშორისო საზოგადოების მსგავსი მისწრაფება კი აწყდება იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგობას, რომლებიც ცდილობენ თავისი „მამული“ გარეგან კონტროლს აარიდონ, მაშინ, როცა საერთაშორისო დონეზე აღიარებულია პრინციპი, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტია აღარ განეკუთვნება მარტოოდენ სახელმწიფოთა საშინაო კომპეტენციას. ამ საკითხთან დაკავშირებით უახლოესი ისტორია გვაწვდის მაგალითებს: ყოფილ იუგოსლავიაში, სომალისა თუ სხვა ცხელ წერტილებში მოსახლეობის გადასარჩენად, მათი ძირითადი უფლებების დასაცავად გაეროს მიერ „ციხფერი ჩაფხუტების“ წარგზავნა სწორედ ჰუმანიტარული ინტერვენციის ეგიდით მოხერხდა.

ასეთი ინტერვენცია გულისხმობს ძირითადი უფლებების დაცვას და ამატომაც იგი შეფასებულია, როგორც ეთიკური ვალდებულება და არა, როგორც უფრო ძლიერის სამართალი<sup>1</sup>.

ჰუმანიტარული ინტერვენციის პრობლემა დაკავშირებულია ძირითადი უფლებების დაცვისთვის საერთაშორისო ურთიერთობებში იმ ახალი მიმართულებების წარმოჩენასთან, რომელიც შესაძლო ვარიანტებიდან ყველაზე მჭიდროდ უკავშირდება ახალ მსოფლიო წესრიგის პერსპექტივებს.

ამიტომაც, ეს საკითხი განსაკუთრებით სერიოზულ განხილვას მოითხოვს, ვინაიდან, შესაძლოა, რომ იგი მომავალი მსოფლიო პოლიტიკის ქვაკუთხედად იქცეს.

მოხსენების ტექსტი თარგმნა და პუბლიკაცია მოამზადა გიორგი პაჩოშვილმა.

<sup>1</sup> პაპი იოანე პაულე II, რომი, 1992 წლის 5 დეკემბერი.

**რედაქციისათვის:** საპარტოვლოს დამოკრძალებული რესპუბლიკის კონსტიტუციური მშენებლობის პრობლემების მოწესრიგება ორგანულ აუცილებლობით ნიუთონის ძველის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს — მინისტრთა კაბინეტის სამართლებრივი სტატუსის იურიდიულ განაწილებას. ეს პრობლემა სახელმწიფო ორგანოების თეორიის ერთ-ერთი ყველაზე რთული და ნაკლებად შესწავლილი საკითხია. საპარტოვლოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრის დოც. ალბერტ აბასაძის სტატია, რომელსაც აქვს არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობა, რამდენადმე ავსებს ამ ხარვეზს.

## საპარტოვლოს მინისტრთა კაბინეტი — კოლექტიური საპარტოვლოს ორგანო

საქართველოს მინისტრთა კაბინეტი საერთო კომპეტენციის უმაღლესი აღმასრულებელ-განმკარგებელი ორგანოა, რომელიც სათავეში უდგას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედ სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სისტემას.

რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კანონის საფუძველზე უმაღლესი კოლექტიური მმართველობის ორგანოა, რომელიც პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მთავრობის ყველა წევრს აერთიანებს. მის შემადგენლობაში შედიან პრემიერ-მინისტრი, მისი მოადგილეები და სამინისტროებისა და კომიტეტების მხოლოდ პირველი ხელმძღვანელო პირები. ამით გარდა, კაბინეტის წევრებად, თანამდებობის მიხედვით, ითვლებიან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები. კანონით გამორიცხული არ არის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში სხვა წევრების შეყვანაც, რომლებსაც პრემიერ-მინისტრის წარდგინებით ნიშნავს სახელმწიფოს მეთაური და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

მინისტრთა კაბინეტის წევრებად არ ითვლებიან არა მარტო მინისტრებისა და კომიტეტების თავმჯდომარეთა მოადგილეები, არამედ მინისტრთა კაბინეტის საქვეუწყებო ორგანოების დეპარტამენტების, სახელმწიფო ინსპექციების, კომისიებისა და მთავარი სამმართველოების ხელმძღვანელები.

რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის შესახებ კანონის მე-5 მუხლის თანახმად იგი არ შედის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში. თუმცა, როგორც რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემის მეთაური, მას უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში უშუალოდ უხელმძღვანელოს მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე.

პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის შერჩევის ინიციატივა არა რესპუბლიკის პარლამენტის, არამედ სახელმწიფოს მეთაურის პრეროგატივაა, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს როგორც პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა უმაღლეს

წარმომადგენლობით ორგანოში, ისე ქვეყნის სოციალური სინამდვილის ხოვნები. მინისტრთა კაბინეტის შესახებ კანონის მე-5 მუხლის თანახმად პრემიერ-მინისტრს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის – სახელმწიფოს მეთაურის წარდგინებით ნიშნავს პარლამენტი. პარლამენტის ნდობა მინისტრთა კაბინეტის ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა.

მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურისა და პერსონალური შემადგენლობის განსაზღვრაზე კანონი პრემიერ-მინისტრს უთმობს ინიციატივას. მას ევალება ყველა ამ საკითხზე წინასწარი მოლაპარაკება და შეთანხმება სახელმწიფოს მეთაურთან. ისინი აუცილებელია განსაკუთრებით მმართველობის იმ სტრუქტურების ხელმძღვანელებით დაკომპლექტებისათვის, რაც პარლამენტის თავმჯდომარის – სახელმწიფოს მეთაურის პრეროგატივაა და მის კომპეტენციაში შედის. ეს არის, პირველ რიგში, თავდაცვის საგარეო პოლიტიკის, ქვეყნის უშიშროებისა თუ კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საკითხები. მინისტრთა კაბინეტი იურიდიულად სრულყოფილი კოლეგიური მმართველობის ორგანო ხდება პარლამენტის მიერ მის წევრთა პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების მომენტიდან.

მინისტრთა კაბინეტი თავისი იურიდიული სტატუსით უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების ერთიანობის სიმბოლოა, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს სახელმწიფო მმართველობის ყველა ის საკითხი, რომლებიც არ ექვემდებარება პარლამენტისა და სახელმწიფოს მეთაურის კომპეტენციას. საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელების პროცესში აღნიშნულ ორგანოს ევალება როგორც ქვეყნის სოციალური განვითარების, ისე ეკონომიკის, კანონიერების უზრუნველყოფის, სახელმწიფო უშიშროების, თავდაცვის უზრუნველყოფისა და საგარეო პოლიტიკის ყოველდღიური პრაქტიკული ორგანიზაცია.

კოლეგიური წესით მმართველობითი საქმიანობის წარმართვა მინისტრთა კაბინეტის მუშაობის ორგანიზაციის სპეციფიკური ფორმაა. ის გარემოება, რომ მინისტრთა კაბინეტთან ერთად რესპუბლიკის მმართველობის ორგანოების სისტემას სათავეში უდგას სახელმწიფოს მეთაური, იმაზე მიგვანიშნებს, რომ მინისტრთა კაბინეტის ცნება სრულად არ მოიცავს სახელმწიფო მმართველობის ცნებას. რესპუბლიკაში სახელმწიფო მმართველობის მთელი სისტემის ხელმძღვანელად გვევლინება სახელმწიფოს მეთაური, მაშინ, როცა მინისტრთა კაბინეტი სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტის გაერთიანებას უდგას სათავეში. საფრანგეთის მსგავსად, აქ საქმე გვაქვს უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების დუალიზმთან, ანუ ხელისუფლების სათავეში ორ უმაღლეს თანამდებობის პირთან, რაც საქართველოს კონსტიტუციური მშენებლობის პრაქტიკაში მნიშვნელოვანი სიახლეა.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის კოლეგიურობა იმაში ვლინდება, რომ ამ ორგანოს სათავეში უდგას კანონით წინასწარ განსაზღვრული ფიზიკური პირთა ჯგუფი, რომლებსაც ევალებათ აღნიშნული ორგანოს კომპეტენციაში შემავალი საკითხების გადაწყვეტა. მათ ერთდროულად ეკისრებათ პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე საკანონმდებლო ხელისუფლების პოლიტიკური ნების პრაქტიკული რეალიზაციისათვის.

დემოკრატიის ინტერესებიდან გამომდინარე მინისტრთა კაბინეტის პოლიტიკური ნაბიჯები უნდა მიმდინარეობდეს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ დასახული გზით. ამის გარეშე შეუძლებელი იქნება როგორც სწრაფი და ჯანსაღი ეროვნული პოლიტიკის შემუშავება, ისე მისი პრაქტიკული განხორციელება. აღნიშნული იმაზეც მიგვანიშნებს, რომ თუ მინისტრთა კაბინეტი გადაუხვევს პარლამენტის მიერ დასახულ გზას, ან მის მიერ მიღებული პოლიტიკურა

კურსი დაუპირისპირდება ხალხის ინტერესებს, დღის წესრიგში დადგება მისი გადადგომის საკითხი.

აღმასრულებელი ხელისუფლების ამ უმაღლესი ორგანოს კონკრეტული ნება, პირველ რიგში ჩანს მინისტრთა კაბინეტის აქტებში, რომელთა საშუალებითაც სახელმწიფო ხელისუფლება თავის პოლიტიკურ ძალასა და სურვილებს ავლენს. ამიტომ ატარებს მინისტრთა კაბინეტის მმართველობითი საქმიანობა ერთდროულად პოლიტიკურ ხასიათსაც. ერთმმართველობისაგან განსხვავებით, რომელიც პოტენციურად თავისში ყოველთვის შეიცავს ერთი პირის ხელში მთელი აღმასრულებელი ხელისუფლების კონცენტრაციის საფრთხეს. დემოკრატიული სახელმწიფო მმართველობისას კოლევეურობა ეფექტიანი ორგანიზაციული ფორმაა, ნეგატიური გამოვლინებების თავიდან ასაცილებლად.

მოუხედავად აღმასრულებელი ხელისუფლების ოპერატიულობისა და სირთულისა, დემოკრატიის დამკვიდრების პროცესში ცხოვრებამ დაადასტურა, რომ კოლევეური ორგანოს ნება სახელმწიფო მმართველობის კომპლექსური საკითხების გადაწყვეტისას ყოველთვის მაღალია მის წევრთა ინდივიდუალურ ნებასთან შედარებით „ამ კოლევეის ნება, — აღნიშნავს იროდიონ სურგულაძე, — განსაზღვრული იურიდიული პროცესის მეშვეობით და კონსტიტუციით გათვალისწინებული წესით გამოიყვანება კოლევეის სხვადასხვა შემადგენელი ინდივიდების ნებისყოფითი აქტებისაგან“<sup>1</sup>. სწორედ ეს ავალდებულებს რესპუბლიკის სამინისტროებსა და სახელმწიფო მმართველობის სხვა უწყებებს არა მარტო გაატარონ ცხოვრებაში მინისტრთა კაბინეტის პოლიტიკა, არამედ თავიანთი აქტები შეუსაბამონ როგორც რესპუბლიკის კანონებს ისე მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებს.

მოქმედი კანონმდებლობა მინისტრთა კაბინეტის საქმიანობის პროცესში სახელმწიფო მმართველობის ცალკეულ ოპერატიულ საკითხებზე დასაშვებად მიიჩნევს ერთმმართველური ხასიათის გადაწყვეტილებების მიღებასაც. ეს განპირობებულია იმით, რომ „კოლევეურობა და ერთმმართველობა არის არა მარტო სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მოწყობის ფორმა, არამედ ამ ორგანოების საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა“<sup>2</sup>.

მინისტრთა კაბინეტისა და პრემიერ-მინისტრის განსხვავებული კომპეტენციიდან გამომდინარე კაბინეტის კოლევეური გზით მიღებული ნორმატიული აქტი გაცილებით მეტი იურიდიული ძალისაა პრემიერის ერთმმართველური ხასიათის აქტებთან შედარებით. ეს ჩანს იქიდანაც, რომ პრემიერ-მინისტრმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აუცილებლად უნდა მოახსენოს მინისტრთა კაბინეტის მორიგ სხდომას.

ცნობილია, რომ სახელმწიფო მმართველობის სირთულისა და მობილურობიდან გამომდინარე კოლევეური მუშაობის პრინციპებს კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში იყენებენ სამინისტროები და სხვა მათი მსგავსი ერთმმართველური ტიპის სახელმწიფო მმართველობის ორგანოები. განსხვავება მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ მინისტრთა კაბინეტისათვის საკითხების კოლევეური განხილვა-გადაწყვეტა არის მისი სახელმწიფო ხელისუფლებრივი საქმიანობის ძირითადი ორგანიზაციული ფორმა, მაშინ, როცა სამინისტროს ტიპის ერთმმართველური ორგანოსათვის კოლევეურობას აქვს დამხმარე ხასიათი. ერთმმართველურ ორგანოში კონკრეტული პასუხისმგებელი პირი მიღებულ გადაწყვეტი-

<sup>1</sup> ეურნ. „სამართალი“, 1991, № 9—10, გვ. 32.

<sup>2</sup> Н. Давитнидзе, коллегии министерств, М., 1972, стр. 9.



ლებზე არის არა სამინისტროს კოლეგია, არამედ პერსონალურად მინისტრი. სამინისტროს კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმალურ იურიდიულ ძალას იძენს მაშინ, როცა მას ეთანხმება მინისტრი და რაც მისი ბრძანებით დაიყვანება ადგილებზე შესასრულებლად. ერთმმართველურ ორგანოში კოლეგია ეხმარება მინისტრს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში, მაშინ, როცა კოლეგიური ორგანოს გადაწყვეტილებები იურიდიულ ძალას იძენენ მათი მიღების მომენტიდანვე. ასეთ აქტებზე კოლეგიური ორგანოს ხელმძღვანელის ხელმოწერას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ამ აქტების განსახლვრულ ვადაში ამოქმედებისათვის.

მინისტრთა კაბინეტის კოლეგიური წესით მუშაობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დემოკრატიის დამკვიდრების პროცესში, როცა საქართველომ საბოლოოდ უარი თქვა ავტორიტარულ სახელმწიფო რეჟიმზე და თავის რეფორმისტულ საქმიანობაში ფართოდ ჩააბა არა მარტო ქვეყნის ფართო პოლიტიკურა ძალები, არამედ საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები. ამასთან, პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის მისაღწევად კოლეგიური განსჯის გზით მიღებულ აქტებს მეტი ძალა და ავტორტეტი გააჩნიათ მმართველობის განსხვავებული ფორმების განსახორციელებლად, რასაც იყენებს მინისტრთა კაბინეტი თავის აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობაში.

მინისტრთა კაბინეტის ორგანიზაციული მუშაობის ფორმაა მისი სხდომების ორგანიზაცია. კანონით ისინი მოიწვევა საჭიროების მიხედვით, მაგრამ სამ თვეში ერთხელ მაინც.

ჩვენი აზრით, ორგანიზაციულ-სამართლებრივი საქმიანობის ასეთი წესა მინისტრთა კაბინეტს საშუალებას უსპობს ოპერატიულად გააანალიზოს რესპუბლიკაში შექმნილი სინამდვილე, გაიაზროს ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და ორგანიზება გაუწიოს მასებს დასახული ამოცანების შესასრულებლად. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მინისტრთა კაბინეტი თავის სისტემაში შემაჯალ 16 სამინისტროსა და 10 კომიტეტის დაახლოებით 40-მდე ხელმძღვანელ პირს აერთიანებს, მისი მუშაობის ორგანიზაციული წესი უნდა შეიცვალოს. მინისტრთა კაბინეტის სხდომები უნდა ტარდებოდეს უფრო რეგულარულად. მისი სხდომების შემჭიდროებულ ვადებში ჩატარების წესი კანონმდებლობით ზუსტად უნდა იყოს განსახლვრული. ამას ისიც აადვილებს, რომ მინისტრთა კაბინეტის კანონის 26-ე მუხლის თანახმად, კაბინეტი უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა, თუ მას ესწრება მინისტრთა კაბინეტის ნახევარი მაინც. ერთი სიტყვით, ლაპარაკია მინისტრთა კაბინეტის 20—25 მუდმივი წევრის მუშაობის ოპერატიულად წარმართვაზე, რასაც მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურა აღარ უნდა საჭიროებდეს მეორე მცირე კოლეგიური ორგანოს არსებობას მისი პრეზიდენტის სახით.

კოლეგიური განხილვის გზით გადაწყვეტილების მიღება დემოკრატიული წესით — ხმების უმრავლესობით ხდება. კანონში მითითებულია, რომ ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია პრემიერ-მინისტრის ხმა, რაც სხვა მინისტრების ფონზე პრემიერ-მინისტრის პოსტის მაღალ იურიდიულ-პოლიტიკურ ავტორიტეტზე მიუთითებს. ამის დასტურია, ისიც, რომ მოქმედი კანონმდებლობა მინისტრთა კაბინეტის წევრებისაგან მხოლოდ პრემიერ-მინისტრს აძლევს უფლებას ერთდროულად იყოს პარლამენტის დეპუტატი.

მინისტრთა კაბინეტი თავის სხდომებზე იხილავს და ამტკიცებს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებსა და პრემიერ-მინისტრის განკარგულებების პროექტებს, უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებზე ნიშნავს კონკრეტულ პირებს და იხილავს სხვა პერსონალურ საკითხებს, რაც მინისტრთა კაბინეტის კომპეტენ-

ციას განეკუთვნება. გარდა აღნიშნულისა, მინისტრთა კაბინეტი ისმენს მინისტრების, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებისა და მინისტრთა კაბინეტს დაქვემდებარებული ორგანიზაციების ხელმძღვანელების ანგარიშებსა და ინფორმაციებს. მოქმედი კანონმდებლობით აკრძალულია მინისტრთა კაბინეტის კომპეტენციაში ჩარევა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რაც სამწუხაროდ არ არის დაზუსტებული და დაკონკრეტებული.

რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობა აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებისას ზუსტად ვერ განსაზღვრავს აგრეთვე მინისტრთა კაბინეტის უფლებამოსილებას საკანონმდებლო ხასიათის საქმიანობის წარმართვაში. მაგალითად, კანონში მინისტრთა კაბინეტის შესახებ არაფერია ნათქვამი თუ რა წესით უნდა ხდებოდეს კაბინეტის მონაწილეობა პარლამენტის დღის წესრიგის შედგენაში, როგორია პარლამენტში გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებზე მინისტრთა კაბინეტის რეაგირების სამართლებრივი მექანიზმი, რა იურიდიული შედეგები შეიძლება მოჰყვეს პარლამენტის მიერ მთავრობისაგან წარმოდგენილი ბიუჯეტის დაუმტკიცებლობას და სხვ. მსგავსი ორგანიზაციულ-პროცედურული საკითხების სამართლებრივი მოწესრიგების გარეშე მინისტრთა კაბინეტს გაუჭირდება თავისი ფუნქციების შესრულება. იგი მთელ თავის ინიციატივას, არც თუ იშვიათად, უთმობს მთავრობის მეთაურს ან პრემიერ-მინისტრს, რითაც ფაქტობრივად იხსნის პასუხისმგებლობას. ამიტომ, კანონში მინისტრთა კაბინეტის შესახებ, პარლამენტის მიერ ზუსტად უნდა განისაზღვროს ამ იერარქიული ორგანოს რეალური და კონკრეტული უფლება-მოვალეობანი.

მინისტრთა კაბინეტის, როგორც კოლეგიური ორგანოს სახელმწიფო სამართლებრივი უფლებამოსილების გამოვლინებაა რესპუბლიკის კანონებისა და სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებების საფუძველზე ნორმატიული ხასიათის დადგენილებების მიღება, რაც წინასწარ მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე უნდა იყოს განხილული.

მინისტრთა კაბინეტს, „სახელმწიფო ხელისუფლების კანონის“ მე-14 მუხლის თანახმად გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. ამ კოლეგიური ორგანოს ავტორიტეტზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ აღნიშნულ უფლებას დამოუკიდებლად არ ფლობს პრემიერ-მინისტრი, აღნიშნული იმაზე მიგვანიშნებს, რომ მინისტრთა კაბინეტი განუყოფელია მისი ხელმძღვანელი პრემიერ-მინისტრისაგან და წარმოიდგინება როგორც ერთიანი ორგანიზმი, რომელშიც პრემიერ-მინისტრს მინისტრებსა და კომიტეტების თავმჯდომარეებს შორის პირველი მინისტრის როლი აქვს მიკუთვნებული. ეს კარგად ჩანს ხელისუფლების შესახებ კანონის 28-ე მუხლის შინაარსიდანაც, რომლის მიხედვითაც მხოლოდ მინისტრთა კაბინეტს აქვს უფლება თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეაჩეროს ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების, აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების აქტების შესრულება. აღნიშნული კანონის თანახმად სწორედ ამ კოლეგიურ ორგანოს და არა პრემიერ-მინისტრს აქვს უფლება გააუქმოს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და თავისი სხვა საქვეუწყებლო ორგანოების აქტები. პრემიერ-მინისტრს არსებითად ევალება კონტროლისა და ხელმძღვანელობის განხორციელება იმ გადაწყვეტილებების მომზადებაზე, რაც უნდა განიხილოს და მიიღოს როგორც მინისტრთა კაბინეტმა, ისე მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმმა. გადაწყვეტილებების მომზადებაში შესაბამის სამინისტროებთან, კომიტეტებთან და სხვა დაქვემდებარებულ უწყებებთან ერთად მონაწილეობასღებულობენ მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურული განყოფილებები.

სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სისტემის მეთაურად ითვლება პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური, რომლის უფლებამოსილებანი გაცილებით მეტია მინისტრთა კაბინეტისა და მისი პრეზიდენტის უფლებამოსილებასთან შედარებით. მინისტრთა კაბინეტის შესახებ კანონის 28-ე მუხლის მიხედვით პრემიერ-მინისტრი კი არ ხელმძღვანელობს, არამედ „ორგანიზაციას უწევს“ მინისტრთა კაბინეტის საქმიანობას. მმართველობის სისტემის მეთაურის ცნების შინაარსი, მისი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, გაცილებით მეტია კაბინეტის ორგანიზაციასთან შედარებით. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მინისტრთა კაბინეტი აღმასრულებელი ხელისუფლების იერარქიაში გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე პერსონალურად პრემიერ-მინისტრი.

მთავრობის ზედა ეშელონების სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში მტკიცე წესრიგისა და პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით, მიზანშეწონილად გვეჩვენება კანონმდებლობით უფრო დეტალურად დაზუსტდეს სახელმწიფოს მეთაურისა და პრემიერ-მინისტრის ფუნქციები, რაც სასურველია გათვალისწინებული იქნეს საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავებისას.

მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურული რგოლია მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმი. ამ ორგანოს ფუნქციონირება პარლამენტსა და მის ფარგლებს გარეთ ხშირად იწვევს აზრთა დაპირისპირებას. ჩვენი აზრით, სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა საკითხის მარტოოდენ ოპერატიული გადაწყვეტისათვის ასეთი მეორე დუბლირებული უმაღლესი აღმასრულებელი რგოლის შექმნა აკნინებს მინისტრთა კაბინეტის ავტორიტეტს და ართმევს მას ოპერატიული მოქმედების შესაძლებლობას. ქვეყნის უმაღლესი აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანო მობილური და ერთიანი აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა იყოს რომელსაც დამატებით აღარ უნდა სჭირდებოდეს თავისივე სტრუქტურაში ასეთივე მეორე ორგანო, რომელიც გაცილებით ვიწრო შემადგენლობით ცვლის მინისტრთა კაბინეტს. ფაქტობრივად ეს არის მთავრობა მთავრობაში, ან უფრო ზუსტად, მცირე კოლეგიური ორგანო დიდი კოლეგიის შემადგენლობაში, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მათ მიერ მიღებული აქტების ავტორიტეტზე. ამას ემატება ისიც, რომ მოქმედი ნორმატიული აქტები არ აკონტროლებენ პრეზიდიუმის უფლებამოსილებას. განსაზღვრული არ არის აგრეთვე მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმის შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს მმართველობით სისტემებთან კავშირის იურიდიული მექანიზმი. ეს ყველაფერი ართულებს კაბინეტის, როგორც კოლეგიური ორგანოს ქმედითობას, რის გამოც მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმის შენარჩუნება მიზანშეწონილად გვეჩვენება.

დასახვეწია აგრეთვე მინისტრთა კაბინეტის უფლებამოსილება, რასაც მინისტრთა კაბინეტის კანონის მეორე კარში ექვსი მუხლი აქვს დათმობილი. როგორც მათი იურიდიული ანალიზი ცხადყოფს, ამ ნორმებში არ ჩანს განსაზღვრული უფლებამოსილებათა რეალიზაციის ზუსტი სამართლებრივი მექანიზმი. არაფერია ნათქვამი იმ სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომებზე, რაც უნდა მოსდევდეს მინიჭებული უფლებების არაჯეროვნად შესრულებას. კაბინეტის კომპეტენციის ასეთი განსაზღვრისას არ ჩანს როგორც იმ საკითხთა ზუსტი გადაწყვეტის წესი, რისი უფლებამოსილებაც აქვს ან შეუძლია მინისტრთა კაბინეტს, აგრეთვე ისიც, რაც დაკავშირებულია ამ ორგანოს მიერ კონკრეტულ საქმეებზე გადაწყვეტილებების მიღებასთან.

კანონი ავალდებულებს მინისტრებსა და კომიტეტების თავმჯდომარეებს მინისტრთა კაბინეტის სხდომებზე გამოიმუშავონ და ცხოვრებაში გაატარონ ის

პოლიტიკური კურსი რამაც ხელი უნდა შეუწყოს სწორი ეროვნული პოლიტიკის გატარებას. მინისტრთა კაბინეტის თითოეული წევრი, ვალდებულია განმარტოს და დაიცვას როგორც მთავრობის ისე თავისი სამინისტროსა და კომიტეტის პოლიტიკა როგორც პარლამენტის, ისე საზოგადოებრივი აზრის წინაშე. პოლიტიკური ზეგავლენის გარდა მინისტრთა კაბინეტის წევრები აღჭურვილნი არიან ადმინისტრაციული ხასიათის ინდივიდუალური ფუნქციებითაც. როგორც სამინისტროებისა და კომიტეტების პირველ ხელმძღვანელ პირებს, მათ ევალება თვალყური ადევნონ თავიანთ სისტემებში მინისტრთა კაბინეტის დირექტივების შესრულებას.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ეს მოთხოვნები აისახოს მინისტრთა კაბინეტის შესახებ კანონის ტექსტში.

კოლეგიური ორგანოს არასწორი გადაწყვეტილებებისათვის პრაქტიკაში ხშირად პასუხს სთხოვენ მართო ამ ორგანოს ხელმძღვანელს, რაც არასწორია. „კოლეგიური ორგანოს წევრებს, — აღნიშნავს ი. დავითნიძე, — საკითხის გადაწყვეტისას ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც ამ ორგანოს ხელმძღვანელს და ამიტომ ისინი თანაბრად უნდა აგებდნენ პასუხს კოლეგიური წესით მიღებული გადაწყვეტილებებისათვის“<sup>3</sup>. ამასთან, მათ პასუხი უნდა მოეთხოვოთ არა მართო გადაწყვეტილების მიღების, არამედ მისი შესრულებისათვის. სამართლებრივ პასუხისმგებლობა ყოველთვის კონკრეტულია, კოლეგიურ ორგანოში იურიდიული პასუხისმგებლობის სუბიექტი უნდა იყოს არამართო ამ ორგანოს ხელმძღვანელი, არამედ მისი რომელიმე კონკრეტული წევრიც. ხელისუფლების კრიზისის პირობებში, რაც ერთდროულად მმართველობის საიმედო მექანიზმების უქონლობასაც მოასწავებს, კოლეგიური ორგანოს წევრთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამალგების გარეშე ძალზე რთულდება ქვეყანაში სწორი სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის გატარება.

მინისტრთა კაბინეტზე, როგორც სახელმწიფო მმართველობის უმაღლეს კოლეგიურ ორგანოზე, ანალიტიკური ძვალის გადავლება ამჟღავნებს მისი სტრუქტურული ელემენტების საკმაოდ რთულ ურთიერთდამოკიდებულებას სხვადასხვა დონეზე. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დღევანდელ დაპირისპირებაში, რაც კონტროლისა და წონასწორობის პრინციპზეა აგებული, სახელმწიფო მმართველობის სისტემა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ უზრო ეფექტიანად უზრუნველყოს პიროვნებისა და საზოგადოების ცივილიზებული განვითარება.

<sup>3</sup> იხ. ი. დავითნიძის დასახელებული ნაშრომი, გვ. 20.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

„საგადახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ და „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიღებასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები შემდეგ საკანონმდებლო აქტებში:

1. 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1984 წ. № 12 მუხ. 421);

1. დამატოს 164, 164<sup>1</sup>-ე, 164<sup>2</sup>, 164<sup>3</sup> და 164<sup>4</sup> მუხლები და ისინი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 164. სამეწარმეო საქმიანობის წესის დარღვევა**

სამეწარმეო საქმიანობის წესის დარღვევა, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე, აგრეთვე, აკრძალული სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება ან უნებართვოდ ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას) საჭიროებს, —

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოცმაგი მინიმალური ოდენობით, ასეთი საქმიანობიდან მიღებული პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციიდან მიღებული მთელი ამონაგების კონფისკაციით.

**მუხლი 164<sup>1</sup>. გადასახადების გადამხდელებად აღრიცხვაზე აყვანის წესის დარღვევა**

სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებში გადასახადების გადამხდელებად აღრიცხვაზე აყვანის დადგენილი წესის დარღვევა, —

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათმაგი მინიმალური ოდენობით.

**მუხლი 164<sup>2</sup>. შემოსავლისა და გადასახადებით დასაბეგრი სხვა ობიექტების აღრიცხვის უქონლობა და შემოსავლისა და გადასახადების შესახებ დოკუმენტების წარუდგენლობა**

ინდივიდუალური მეწარმის ან მოქალაქის მიერ შემოსავლისა და გადასახადებით დასაბეგრი ობიექტების აღრიცხვის უქონლობა, დადგენილი წესის დარღვევით მისი წარმოება, შემოსავლის შესახებ დეკლარაციის საგადასახადო ორგანოებში წარუდგენლობა, დაგვიანებით წარდგენა ან მასში შეტანილი მონაცემების დამახინჯება, —

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთმაგი მინიმალური ოდენობით.

იგივე მოქმედება, ჩადენილი ადმინისტრაციული სახელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, —

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათმაგი მინიმალური ოდენობით.

**მუხლი 164<sup>3</sup>.** მოგების (შემოსავლის) ან გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების დამალვა ან შემცირება, გადასახადის არასწორი გაანგარიშება ან გადასახადების გაანგარიშებასთან და გადასახადებთან დაკავშირებული დოკუმენტების საგადასახადო ორგანოებში წარუდგენლობა

მოგების (შემოსავლის) ან გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების დამალვა ან შემცირება, გადასახადებისა და სხვა საეკონომიკური გადასახადების არასწორი გაანგარიშება, მოქალაქეთა შემოსავლიდან გადასახადების არასწორად დაკავება ან დაკავებული თანხების ბიუჯეტში არასრულად და დაგვიანებით გადარიცხვა, საბუღალტრო აღრიცხვის უქონლობა ან დადგენილი წესის დარღვევით მისი წარმოება, საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების, საგადასახადო გაანგარიშებების, დეკლარაციების, გადასახადებისა და სხვა გადასახადების გაანგარიშებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების საგადასახადო ორგანოებში წარუდგენლობა დაგვიანებით ან დაუდგენელი ფორმით წარდგენა, გადასახადის გადასახდელად საბანკო და საკრედიტო დაწესებულებებში აუცილებელი დოკუმენტების წარუდგენლობა ან დაგვიანებით წარდგენა, —

გამოიწვევს თანამდებობის პირების დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათმაგი მინიმალური ოდენობით.

იგივე მოქმედება, ჩადენილი ადმინისტრაციული ჯარიმის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, —

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოცმაგი მინიმალური ოდენობით.

**მუხლი 164<sup>4</sup>.** სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირთა მოთხოვნებისა და მითითებების შეუსრულებლობა

სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციების და მათი თანამდებობის პირთა მოთხოვნების შეუსრულებლობა გადასახადებისა და სხვა გადასახადების გაანგარიშებისა და ბიუჯეტში გადახდის საკითხებზე, აგრეთვე გამოვლენილ დარღვევების აღმოფხვრაზე, —

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათმაგი მინიმალური ოდენობით.

ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულების მიერ გადამხდელთა საანგარიშსწორებო და ანგარიშებზე (მათ შორის, სავალუტო ანგარიშზე) შესრულებული (შესასრულებელი) ოპერაციებისა და არსებული ფულადი სახსრების შესამოწმებლად სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მუშაკთა დაუშვებლობა, —

გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთმაგი მინიმალური ოდენობით.

ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულების მიერ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მოთხოვნის შესაბამისად, გადამხდელთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე (მათ შორის სავალუტო ანგარიშზე) გასულ საანგარიშო პერიოდში შესრულებული ოპერაციებისა და ამ ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების შესახებ მონაცემების წარუდგენლობა, —

გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების სამმაგი მინიმალური ოდენობით.

ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულების მიერ გადამ-

ხდელთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებიდან (მათ შორის სავალდებულო ანგარიშებიდან) ფულადი სახსრების გაცემის, გადარიცხვისა და ჩამოწერის ოპერაციების შეჩერების შესახებ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მითითებების შეუსრულებლობა, —

გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოცმაგი მინიმალური ოდენობით.

იგივე მოქმედება: ჩაღწეული ადმინისტრაციული ჯარიმის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, —

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოცმაგი მინიმალური ოდენობით“.

**2. 165-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 165. საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშების გახსნის წესის დარღვევა და ბიუჯეტში თანხების გადარიცხვაზე დავალებების შეუსრულებლობა**

ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების მიერ სავადასახადო ორგანოებში აღრიცხვაზე აყვანის დამადასტურებელი დოკუმენტების წარუდგენლად გადამხდელთათვის საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშების გახსნა და ანგარიშების გახსნის შესახებ საგადასახადო ორგანოებში ინფორმაციის წარუდგენლობა, აგრეთვე ბიუჯეტში თანხების გადარიცხვაზე საგადასახადო დავალებების (განკარგულებების) მიუღებლობა და მიღებული საგადასახადო დავალებების (განკარგულებების) უწინარესად შეუსრულებლობა, —

გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთმაგი მინიმალური ოდენობით“.

**3. კოდექსს დაემატოს 10 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 165<sup>1</sup>. გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების არასწორად გადახდევინება**

სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მიერ გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების არასწორად გადახდევინება და გადამხდელთათვის ზარალის მიყენება, —

გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთმაგი მინიმალური ოდენობით“.

**4. 208-ე მუხლში ციფრი „165“-ე შეიცვალოს ციფრებით „164-ე, 164<sup>1</sup>, 165<sup>1</sup>“.**

**5. კოდექსს დაემატოს 209<sup>1</sup> მუხლი და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 209<sup>1</sup>. სახელმწიფო საგადასახადო ორგანოები**

სახელმწიფო საგადასახადო ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 164<sup>1</sup>, 164<sup>2</sup>, 164<sup>3</sup>, 165-ე მუხლებით.

სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვთ:

1) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის უფროსს და მის მოადგილეებს;

2) სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციების უფროსებსა და მათ მოადგილეებს“.

**6. 239-ე მუხლის მე-10 ნაწილიდან ამოღებულ იქნეს ციფრი: „165-ე“ და**

სიტყვები „საგადახადო ინსპექციის თანამდებობის პირები“, ხოლო სიტყვა „მუხლებით“ შეიცვალოს სიტყვა „მუხლით“.

ამავე მუხლს მეათე ნაწილის შემდეგ დაემატოს ახალი ნაწილი და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამ კოდექსის 164-ე, 164<sup>1</sup>, 164<sup>2</sup>, 164<sup>3</sup>, 164<sup>4</sup>, 165, 165<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის ოქმს ადგენს სახელმწიფო საგადასახადო ორგანოები“.

7. 252-ე მუხლის მეორე ნაწილში ციფრის „156“-ე შემდეგ დაემატოს ციფრები 164-ე, 164<sup>1</sup>, 164<sup>2</sup>, 164<sup>3</sup>, 164<sup>4</sup>, 165, 165<sup>1</sup>.

II. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსს (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10).

დაემატოს 160, 160<sup>1</sup> მუხლები და ისინი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 160. მოგების (შემოსავლის) ან გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების დამალვა (შემცირება)**

მოგების (შემოსავლის) ან გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების დიდი ოდენობით დამალვა ან შემცირება, —

ისჯება ჯარიმით შრომის ანაზღაურების ასმაგი მინიმალური ოდენობით.

იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით ხუთ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ან ჯარიმით, შრომის ანაზღაურების სამასჯერადი მინიმალური ოდენობით.

**შენიშვნა:** მოგების (შემოსავლის) ან გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დამალვად (შემცირებად) ჩაითვლება მოგების (შემოსავლის) ან გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტის დამალვა (შემცირება), რომელთა მიხედვით გადასახადი აღემატება შრომის ანაზღაურების ხუთას მინიმალურ ოდენობას, ხოლო თუ გადასახადი აღემატება შრომის ანაზღაურების ხუთას მინიმალურ ოდენობას მაშინ, მოგების (შემოსავლის) ან გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების დამალვა (შემცირება) ითვლება დიდი ოდენობით დამალვად (შემცირებად).

**„მუხლი 160<sup>1</sup>. სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მოთხოვნების შეუსრებლობა ან მათთვის წინააღმდეგობის გაწევა გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით**

სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მოთხოვნების შესაბამისად, საგადასახადო ორგანოებში შემოსავლის (მოგების) მიღების წყაროებისა და მათი ფაქტობრივი მოცულობის შესახებ განმარტებების მისაცემად გამოცხადებისაგან თავის არიდება ან განმარტებების მიცემაზე უარის თქმა, ასევე სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის შესახებ დოკუმენტებისა და სხვა ინფორმაციის წარუდგენლობა, —

ისჯება ჯარიმით კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ორასმაგი ოდენობით“.

III. საქართველოს რესპუბლიკის 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 11)



126-ე მუხლის მეოთხე ნაწილში ციფრის „158-ე“ შემდეგ დაემატოს ციფრები „160“, „160“<sup>1</sup>.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფოს მეთაური  
ედუარდ შევარდნაძე.**

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გომეზაძე.**

თბილისი, 1994 წლის 15 თებერვალი.



## უზენაეს სასამართლოში

### **საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება საცხოვრებელ სახლზე (ბინაზე) საკუთრების უფლების შესახებ**

1993 წლის 22 დეკემბერი

პლენუმი აღნიშნავს, რომ საცხოვრებელ სახლზე (ბინაზე) საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული დავები სასამართლოებში ძირითადად სწორად წყდება. ამასთან გვხვდება კანონის დარღვევით საქმეთა გადაწყვეტის შემთხვევები. ეს დარღვევები შეეხება თანამშენებლად ცნობას, საერთო წილადი საკუთრების სახლიდან წილის გამოყოფის და სარგებლობის წესის განსაზღვრას, წილის იძულებით კომპენსაციას, წილის შესყიდვის უპირატეს უფლებას და სხვ. ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, პლენუმი

#### **ა დ გ ე ნ ს:**

1. სასამართლოს ექვემდებარება საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული დავები საცხოვრებელ სახლზე, გარდა უნებართვოდ აშენებული ნაგებობისა. სასამართლო განიხილავს უნებართვო სახლების სარგებლობასთან დაკავშირებულ დავებს.

2. სახლის სამართლებრივი რეგისტრაცია მოხდება და სახლი აღირიცხება პირზე, რომელსაც დადგენილი წესით გამოეყო მიწის ნაკვეთი მშენებლობისათვის. ოჯახის წევრების, ნათესავების ან გარეშე პირების მშენებლობაში მონაწილეობა არ ქმნის სახლის ნაწილზე მათი საკუთრების უფლების ცნობის საფუძ-

ველს. ამ პირების საკუთრების უფლება სახლის ნაწილზე (და არა მთლიან სახლზე) სასამართლოს შეუძლია იცნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობდა შეთანხმება ამშენებელთან საერთო საკუთრების თაობაზე და ამ მიზნით შრომით ან სახსრებით მონაწილეობდნენ სახლის მშენებლობაში.

შეთანხმების არსებობა შეიძლება დადასტურდეს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი მტკიცებულებით (საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე მუხლი).

3. თანამშენებლის წილის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, საკუთრების რა წილზე შეთანხმდნენ მხარეები მშენებარე სახლში. თანამშენებლის მიერ გაღებული ხარჯების ოდენობა თავისთავად ვერ მოახდენს გავლენას წილის დადგენაზე. თუ ხარჯები არ შეესაბამება შეთანხმებულ წილს, სასამართლო უფლებამოსილია შესაბამის მხარეს დააკისროს მშენებლობის დროს გაწეული ხარჯების კომპენსაცია.

4. საცხოვრებელი სახლის თანამშენებლად ცნობა დაიშვება მხოლოდ სახლის მშენებლობაში მონაწილეობის გამო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის საქორწინო და საოჯახო კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, თითოეული მეუღლის საცხოვრებელი სახლი შეიძლება ცნობილ იქნას მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუ დადგენილი იქნება, რომ ქორწინების პერიოდში გაწეული ხარჯის შედეგად ამ საცხოვრებელი სახლის ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდა (კაპიტალური რემონტი, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება და სხვ).

5. საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის შესაბამისად, საერთო წილად საკუთრებაში არსებული სახლის ნატურით გაყოფა, თუ გამოყოფილი წილი შეადგენს სახლის იზოლირებულ ნაწილს. ცალკე შესასვლელით, საერთო წილადი საკუთრების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია, რის შემდეგაც სახლის გამოყოფილი ნაწილი საკუთრების დამოუკიდებელი ობიექტი ხდება.

თუ საერთო წილადი საკუთრების საცხოვრებელი სახლიდან შეუძლებელია თითოეული მესაკუთრისათვის მისი კუთვნილი წილის ზუსტ შესაბამისობაში გამოყოფა სასამართლო იმსჯელებს ფართობის სხვაობის ფულადი კომპენსაციის შესახებ. ამის შესაბამისად, სასამართლო ადგენს თითოეული მესაკუთრების კუთვნილი წილის ახალ ოდენობას.

6. თუ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით სახლის გაყოფისას წილადი საკუთრების მონაწილეებს გამოყოფა საცხოვრებელი სახლის იზოლირებული ნაწილი, იმავე კოდექსის 120-ე მუხლის შესაბამისად, სარგებლობის წესის განსაზღვრისას, მესაკუთრეების საერთო სარგებლობაში შეიძლება დატოვებულ იქნას სათავსოები ან სხვა ნაწილები. ამასთან, თუ მოსარჩელე მოითხოვს სახლის ნატურად გაყოფას, სასამართლო უფლებამოსილი არ არის გაცდეს სასარჩელო მოთხოვნას, თავისი ინიციატივით შეცვალოს სარჩელის საგანი და გაყოფის ნაცვლად დაადგინოს სახლის სარგებლობის წესი.

7. საერთო წილად საკუთრებაში მონაწილის უფლება შეიძლება მოისპოს მხოლოდ მესაკუთრის თანხმობით, მიუხედავად მისი წილის სიმცირისა და გამოყოფის შეუძლებლობისა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკუთრების იძულებით მოსპობა კანონით არის გათვალისწინებული.

8. საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის თანახმად, სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება უნდა დადასტურდეს სანოტარო წესით. გარეგნადა, რომელიც არ არის გაფორმებული სანოტარო წესით, ამავე კოდექსის 47-ე მუხლის თანახმად, შეიძლება დადებულად იქნას ცნო-

ბილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთმა მხარემ მთლიანად ან ნაწილობრივ შეასრულა გარიგება, ხოლო მეორე მხარე თავს არიდებს სანოტარო წესით მის გაფორმებას და ეს გარიგება კანონსაწინააღმდეგოს არაფერს შეიცავს. ასეთი გარიგება დადებულად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე მუხლით გათვალისწინებულ ნებისმიერ მტკიცებულებაზე დაყრდნობით (გარდა მოწმეთა ჩვენებებისა).

9. საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მიხედვით საერთო წილადი საკუთრებიდან წილის გამოყოფა დაიშვება თანამესაკუთრეთა ურთიერთშეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას იხილავს სასამართლო.

საერთო წილადი საკუთრების სახლიდან იზოლირებული ცალკე შესასვლელით წილის ნატურით გამოყოფისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს თანამესაკუთრეთა შორის სახლის სარგებლობის დადგენილი ტრადიციული წესა (ურთიერთიზოლაცია, ცალკე შესასვლელების მოწყობა და სხვ.), თუ ამით არსებითად არ ილახება წილობრივ მესაკუთრეთა ინტერესები.

10. ერთ-ერთი მეუღლის სახელზე გაფორმებული, ქორწინების პერიოდში შექმნილი საერთო თანასაკუთრების სახლის გასხვისება დაიშვება მხოლოდ მეორე მეუღლის თანხმობით. დავის შემთხვევაში მეუღლის თანხმობის დასადასტურებლად მიიღება როგორც წერილობითი, ისე ყველა სხვა მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რომ მან იცოდა და თანხმობა იყო სახლის გასხვისებაზე (ესწრებოდა გარიგების დადებას, გაათავისუფლა და ჩააბარა სახლი მყიდველს, ამოეწერა, სხვაგან დაიწყო ცხოვრება და სხვ.).

11. მესაკუთრის მოთხოვნაზე, რომელიც სარგებლობის უფლებას შეეხება, არ ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 75-ე მუხლით და საბინაო კოდექსის 69-ე მუხლით დადგენილი ვადები.

12. ბინების პრივატიზაციისას საცხოვრებელი ბინის ოჯახის რომელიმე წევრზე საკუთრებად გადაცემისათვის აუცილებელია ოჯახის იმ სრულწლოვან წევრთა სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა, რომლებიც პრივატიზაციის მომენტში ითვლებიან ამ ბინაზე უფლების მქონე პირებად. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში მათ უფლება აქვთ მოითხოვონ საკუთრება პრივატიზებული ბინის წილზე.

13. იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე დამქირაველზე სარგებლობის უფლებით გადაცემულ ძველი განაშენიანების სახლებსა და ბინებში, თანამესაკუთრების სრული იზოლირება შეუძლებელია და დამხმარე სათავსოები საერთო სარგებლობაში რჩება, ცალკეულა ოთახების პრივატიზებას საერთო წილადი საკუთრების წარმოშობა მოსდევს და მათ მიმართ გამოიყენება საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის საერთო წილადი საკუთრების მონაწილეთათვის დადგენილი წესები.

**უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. უბრაქეილიძე,**

**უზენაესი სასამართლოს წევრი პლენუმის მდივანი დ. სელაია.**

ბიოგრაფი ნაღარაიშვილი

## ლენინი—პოლიტიკური უფლებების სახელმწიფო სისტემის ორგანიზატორი

1883 წლის 17 მარტს ენგელსმა მარქსის უკანასკნელ გზაზე გაცილებისას ჰაიგეიტის სასაფლაოზე წარმოსთქვა სიტყვა, სადაც აღნიშნა: „როგორც დარვინმა აღმოაჩინა ორგანული ქვეყნის განვითარების კანონი, ისე მარქსმა კაცობრიობის ისტორიის განვითარების კანონი აღმოაჩინაო“. მარქსისა და ენგელსის აზრით, არსებობის უშუალო მატერიალური საშუალებების წარმოება და ამასთან ერთად, ამა თუ იმ ხალხის ან ისტორიული ეპოქის ეკონომიკური განვითარების შესაფერისი საფეხური შეადგენს საფუძველს, საიდანაც ვითარდებიან სახელმწიფო დაწესებულებანი, სამართლებრივი შეხედულებანი, ხელოვნება და თვით ადამიანთა რელიგიური წარმოდგენებიც კი და რომლიდანაც უნდა გამოვლიოდეთ ყველა ამ მოვლენის ახსნის საქმეში<sup>1</sup>.

რა თქმა უნდა, არსებობის უშუალო მატერიალური საშუალებების წარმოება და ამასთან ერთად, ამა თუ იმ ხალხის ან ისტორიული ეპოქის ეკონომიკური განვითარების შესაფერისი საფეხური მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სახელმწიფო დაწესებულებათა, სამართლებრივ შეხედულებათა და თვით ხელოვნებასა და რელიგიურ წარმოდგენებზეც კი, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ ერთადერთ ან თუნდაც უმთავრეს საფუძველს ე. წ. ზედნაშენური ხასიათის მოვლენებისა და სოციალური ინსტიტუტებისათვის.

მარქსისტების ცალმხრივმა, მაგრამ სოციალურ-პრაქტიკულ ჭრილში „რევოლუციურმა“ თეორიამ დიდი ზეგავლენა იქონია XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის ცხოვრებაზე. იმას, ვინც დარწმუნებული იყო, რომ მარქსმა „ისტორიის განვითარების კანონები“ აღმოაჩინა, ისღა დარჩენოდა, რომ სოციალურ პრაქტიკაში ამ „კანონებით“ ეხელმძღვანელა. თანდათან გაჩნდნენ პოლიტიკური პარტიები და რევოლუციურ-რადიკალური მოძრაობები, რომელთათვისაც სოციალიზმი და კომუნიზმი იდეათა იდეად, საკითხთა საკითხად, რწმენისა და ცოდნის ალფად და ომეგად იქცა. ასეთ პიროვნებათა რიცხვს უთუოდ მიეკუთვნებოდა ვლადიმერ ულიანოვი, რომელიც დიდი ნიჭით და ორგანიზატორული მონაცემებით დაჯილდოებული პიროვნება იყო. მისთვის სოციალიზმი და კომუნიზმი „მეოცნებეთა გამონაგონი“ კი არ იყო, არამედ მისი თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებას „საბოლოო მიზანი და აუცილებელი შედეგი“. ლენინისათვის მარქსი იყო „გამგრძელბედი და გენიალური დამამთავრებელი XIX საუკუნის სამი მთავარი იდეური მიმდინარეობისა, რომლებიც კაცობრიობის სამ ყველაზე მოწინავე ქვეყანას ეკუთვნოდა: კლასიკური გერმანული ფილოსოფიის, კლასიკური ინგ-

<sup>1</sup> ი. მარქსი და ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტომი II, თბ., 1950, გვ. 190.

ლისური პოლიტიკური ეკონომიისა და ფრანგული სოციალიზმისა, საერთოდ ფრანგულ რევოლუციურ მოძღვრებებთან დაკავშირებით<sup>2</sup>. ლენინისთვის, ისევე როგორც ენგელსისთვის, მარქსი იყო ისტორიის განვითარების კანონის აღმომჩენი... ერთი სიტყვით, ისტორიის ღმერთი. ლენინს უთუოდ გააჩნდა მეცნიერული ნიჭი, მაგრამ ის, პირველყოვლისა, პოლიტიკური მოღვაწე იყო და მარქსშიც ის, პირველყოვლისა, რევოლუციონერსა და პოლიტიკოსს აფასებდა და არა მეცნიერს. თუმცა მას მარქსი — მეცნიერი სწამდა ისე, როგორც მორწმუნეს ღმერთი. გავიხსენოთ კლიმენტ ალექსანდრიელის აფორიზმი: „არ არსებობს სარწმუნოება ცოდნის გარეშე, ისევე როგორც არ არსებობს ცოდნა რწმუნის გარეშე“. ეს ასეა, მაგრამ პოლიტიკური მითისადმი რწმენა ლენინს თვითმიზნად ექცა. მარქსისათვის არ იყო უცხო მესიანური, რელიგიური იდეები. მარქსის აზრით პროლეტარიატის ისტორიულ მისიას შეადგენდა ბურჟუაზიული წესწყობილების დამხობა და სოციალისტური საზოგადოების აშენება. თუ მარქსი მეცნიერულ მეთოდით იხელმძღვანელებდა, მესიანური იდეის ტყვეობაში არ მოექცეოდა. მისია იგივე მესიანური იდეაა. რომელსაც უზუნაესი არსება — ღმერთი გვკარნახობს. პროლეტარიატისთვის კი თავისი მისია თვითმარქვია ღმერთებს — მარქსსა და ლენინს უნდა ეკარნახათ. არ არის გასაკვირი, რომ რუსმა ბოლშევიკებმა, მოგვიანებით სკკპ წევრებმა, ყოველ შემთხვევაში მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა მაინც ირწმუნა მარქსი და ლენინი, როგორც აბსოლუტურად ყველაფრის მცოდნენი, ისტორიის განვითარების კანონების აღმომჩენები. აქედან უკვე ერთი ნაბიჯი იყო ლენინის კულტისაკენ.

და აი, პირველ მსოფლიო ომში რუსეთის დამარცხებამ ხელი გაუშარტა რუს ბოლშევიკებს და ისინი ლენინის ხელმძღვანელობით თავიანთ ძალაუფლებას უმორჩილებენ ყოფილი რუსეთის იმპერიის, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქვეყნის ხალხებს. მათ ე. წ. „პროლეტარიატის დიქტატურა“ დაამყარეს დედამიწის ერთ მეექვსედზე, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სტალინმა თავისი სახელმწიფო სტრუქტურების გამოყენებით რუსეთი, რომლის ფსევდონიმიც „აბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირი იყო, გადააქცია მსოფლიოში ყველა აქამდე არსებულ იმპერიათაგან უდიდეს იმპერიად. რუსეთი იქცა სოციალისტური რევოლუციის მზედ, რომლის ირგვლივაც სულ უფრო მზარდა ოდენობით იწყებენ ბრუნვას სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნები — ალბანეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია უნგრეთი, პოლონეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა და ა. შ. მოგვიანებით „სოციალიზმის აშენებას“ შეუდგებიან სამხრეთ ამერიკის და აფრიკის რიგი ქვეყნები. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ლენინისა და სტალინის პრაქტიკული გენია მართავდა სამყაროს. თითქმის მართლდებოდა მარქსისტების თეზისი, რომ ისტორიული მოქმედების საფუძვლიანობასთან ერთად, იზრდებოდა იმ მასების ოდენობა, რომლებიც შეგნებული ისტორიული შემოქმედების სახით გამოდიოდნენ ისტორიის დიდ შარავნაზე. და თუ მარქსს ხატოვანი თქმით რევოლუციები ისტორიის ლოკომოტივები არიან, ეს ლოკომოტივები უკვე სწრაფად მიაქანებდნენ ისტორიის მატარებლებს და თითქოს ახლოვდებოდა დრო, როდესაც „პროლეტარიატის დიქტატურის“ ლოკომოტივები ყველა კონტინენტსაც შემოუვლიდნენ. განხორციელებადი ჩანდა მარქსისტების ოცნება მსოფლიო რევოლუციის შესახებ. თითქოს მარქსისტების მიერ „აღმოჩენილი“ ისტორიის განვითარების კანონები თავის რეალურ ყოფიერებას პოულობდნენ. კომუნისტური მოძ-

2 ვ. ი. ლენინი, მარქსი, ენგელსი, მარქსიზმი, თბ., 1948, გვ. 10.

რაობის ლიდერები ხალხს არწმუნებდნენ რომ მათ მხარეზე იყო უდიდესი პოტენციის მქონე ძალა — ისტორიული აუცილებლობა. თავად დიდმა ფილოსოფოსმა ბერტრან რასსელმა მარქსი „სამწუხაროდ“, მაგრამ მაინც აღიარა XIX საუკუნის უდიდეს ფილოსოფოსად.

და, ცხადია, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ასეთ ვითარებაში მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ დადგნენ მილიონები არა ეკონომიკური მოსაზრებებით, არამედ იმის რწმენით, რომ ისინი ისტორიული პროგრესის, ისტორიული აუცილებლობის საქმეს ემსახურებოდნენ. რომანტიკოსი ახალგაზრდების თვალწინ კაპიტალისტური სამყაროს სივრცე ბალზაკის შავრენის ტყავივით ვიწროვდებოდა... ძალიან ბევრი პატიოსანი და კეთილი ნების ადამიანი შედის ლენინურ კომკავშირსა და კომუნისტურ პარტიაში. ცხადია, მოაზროვნე ადამიანები ამჩნევდნენ დაიდ მიზანსა და მისი მიღწევის საშუალებებს შორის გარკვეულ შეუთავსებლობას, მაგრამ „რევოლუციის“ დროს გამოჩენილი სისასტიკე და ადამიანობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობანი ახალი საზოგადოების დაბადებისთვის აუცილებელ მშობიარობის ტკივილად აღიქმებოდა. მარქსის აზრითაც ზომ რევოლუცია, ძალმომრეობა, ბებია ქალია ძველი საზოგადოებისა, როდესაც ის ახლის მშობიარეა. ძალმომრეობა თვით ეკონომიკური პოტენციაა. აკი მარქსს უყვარდა ხოლმე გერმანელი პოეტის ერთი ლექსის გამეორება:

„იმ წამებამ რად გვაწუხოს  
თუ ამრავლებს სიტკბოს ისა,  
განა კაცთ მილიარდები  
თემურ ლენგმა არ გასრისა?“

დიახ, პარიზის კომუნაც, პარიზის აჯანყებაც მარქსს „ჩვენი პარტიის“, „უსახელოვანეს გმირობად“ მიაჩნდა, მერე რა, რომ „ზეცაზე იერიშის მიმტან“ „გიჟებრ მამაც“ პარიზელების სისხლი ტყუილუბრალოდ იღვრებოდა განუხორციელებელი უტოპიის — მარქსისტული სოციალური იდეალის „სინამდვილედ“ გადასაქცევად. და პარიზის კომუნა, რომელმაც სულ ორ თვეზე ცოტა მეტი გასძლო გამოცხადდა „პროლეტარიატის დიქტატურად“. იგულისხმებოდა რომ მუშათა მოძრაობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახით მომავალში უფრო გამძლე და იღბლიან „პროლეტარიატის დიქტატურას“ განახორციელებდა.

პირველი მსოფლიო ომის დროს ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა ლენინისა და ლენინელების იდეის დასაჯერებლად, რომ „თანამედროვე ეპოქა“ არის კაპიტალისტური სისტემის გახრწნისა და დაღუპვის ახალი სოციალისტური სისტემის ქმნადობის და სწრაფი აყვავების ეპოქა. ლენინმა და ლენინელებმა მართებულად ჩათვალეს მასებისათვის ერჩიათ „იმპერიალისტური ომის“ სამოქალაქო ომად გადაქცევა და საკუთარი მთავრობების წინააღმდეგ ბრძოლა. ლენინური მორალით სამოქალაქო ომი უფრო პროგრესული და მისაღები ჩანდა, ვიდრე ე. წ. „იმპერიალისტური ომი“. მასების ფსიქოლოგიის ცოდნამ და დემოკოვიურმა ოსტატობამ ლენინს არმიასა და მოსახლეობის დაბალ ფენებში მომხრეები შესძინა.

უინსტონ ჩერჩილის წიგნში „მსოფლიო კრიზისი“, რომელიც, სხვათა შორის, რუსულადაც ითარგმნა და 1932 წელს დაისტამბა კიდეც, ერთ-ერთ თავს წამძღვარებული აქვს ლენინის სიტყვები: ის არ არის სოციალისტი, ვისაც არ სურს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას შესწიროს თავისი სამშობლო. აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ ისტორიაში ლენინის როლის სრული შეფასებისათვის ჯერ კიდევ არ არსებობს ყველასთვის მისაწვდომი გამოქვეყნებული მა-

სალები. მართალია, უკვე გამოქვეყნებულია ლენინის თხზულებათა სრული კრებული რუსულ ენაზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის სრულებითაც არ არის სრული და რომ მის ნაწერების ნაწილი, რომელთა მოცულობამაც შეიძლება შეადგინოს რამდენიმე ტომი, არ არის შესული კრებულში. გასაგებია, რომ სწორედ ამ გადამალულმა ნაწერებმა უნდა წარმოგვიჩინოს ლენინის, როგორც სახელმწიფო მოღვაწის, მოაზროვნის და პიროვნების ნამდვილი და, თუ გნებავთ, წინააღმდეგობრივი სახე. ცხადია, ლენინის როლი ევროპისა და რუსეთის ისტორიაში მის ბიოგრაფიაზე უფრო ფართე ცნებაა, მაგრამ მისი, როგორც ისტორიული პროცესის მონაწილის, სივრცე და საყრდენი მაინც მისი ბიოგრაფიის საზღვრებშია მოქცეული.

გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტის“ 1992 წლის მესამე ნომერში გამოქვეყნდა ა. ციგანოვის სტატია „რეიხსმარკები პროლეტარიატის დიქტატურისათვის“, სადაც მოტანილია, ჩვენი აზრით, სახლო მასალები იმის დასამტკიცებლად, რომ ე. წ. ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუცია ბინძური ხელებით კეთდებოდა. ავტორს მოაქვს მასალები გერმანიაში დაბეჭდილი ელიზაბეტ ზერემის წიგნიდან „მეფის იმპერია. ბრწყინვალეობა და დაცემა“. ეს არის უმთავრესად აქამდე გასაიდუმლოებული საარქივო მასალების კრებული მათ შორის გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსი.

გერმანიის მთავრობა დარწმუნდა, რომ ელვისებური ომის და რუსეთის სწრაფი დამარცხების გეგმა ჩაიშალა. ამიტომ, 1914 წლის დამლევისათვის დაიწყო ომიდან გამოსვლის გზების ძიება. ერთ-ერთ გზად მიჩნეულ იქნა გერმანელების წინააღმდეგ მეომარ სახელმწიფოთა შორის შუღლის ჩამოგდება და შემდეგ ერთ-ერთ მათგანთან სეპარატული ზავის დადება.

გერმანელმა სოციალისტმა ალექსანდრე პარუსმა, რომელიც ერთ ხანს უშუალოდ მონაწილეობდა კიდევ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში და პლენარისა და ლენინის თანამებრძოლად ითვლებოდა, გერმანიის მთავრობას შესთავაზა გეგმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერების გამოყენებისა გერმანიის ინტერესებისათვის. 1915 წლის მარტიდან დაიწყო ამ იდეის განხორციელება. პარუსმა შესთავაზა გერმანიის სათანადო ორგანოებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადები მოექმნათ შვეიცარიაში... და მოქმენეს კიდევ. იგორ სტადნიკის მონაცემებით, 1917 წლის 2 მარტს გერმანიის საიმპერიო ბანკის განკარგულებით (№ 7433) ანგარიში გაუხსნეს ლენინს, სუმენსონს, კოზლოვსკის, ტროცკის და სხვა სოციალ-დემოკრატებს „მშვიდობის პროპაგანდისათვის“. ი. სტადნიკის მონაცემებით 1917 წლის 1 აპრილს გერმანიის საიმპერიო ხაზინის მეშვეობით რუსეთში პოლიტიკური პროპაგანდის საწარმოებლად გამოიყო ხუთი მილიონი მარკა „საგანგებო ბიუჯეტის მეორე განყოფილების მექვესე თავიდან“... გენერალი ლიუდენდორფი, როგორც ჩანს, მაღლობელი იყო დაზვერვის საქმიანობით, რადგან მან აღმოსავლეთის ფრონტზე „გააძლიერა დამანგრეველი ელემენტები“...

გერმანიის ელჩი რუსეთში გრაფი მირბახი, აღნიშნავს ერთი მკვლევარი ისტორიკოსი, სწორედ იმიტომ გასწირეს ბოლშევიკებმა, რომ ის იყო „ახალი რეჟიმის ფინანსიური საიდუმლოებების ყველაზე არახელსაყრელი მოწმე“.

არსებობს საბუთი იმის თაობაზე, რომ გერმანიის იმპერატორმა განკარგულება გასცა გერმანიაზე გავლით რუსეთში მიმავალ სოციალისტებისათვის გადაეცათ „თეთრი წიგნი“, რათა მათ თავიანთ სამშობლოში ემოქმედათ სათანადოდ ინფორმირებულებს.

1917-1919 წლებში და მომდევნო ხანებში ბოლშევიკი ლიდერების მოქმედებიდან ჩანს, რომ არ არსებობდა რაიმე ზღუდე, რომელიც ბოლშევიკებს ჯა

მათ თანამაზრეებს შეაჩერებდა პოლიტიკური მიზნების მიღწევის გზაზე. ისინი შორს იყვნენ იმ აზრისაგან, რომ ადამიანის სიცოცხლე საერთოდ და მით უფრო „კონტრრევოლუციონერი“ ადამიანის სიცოცხლე რაიმე დაბრკოლებას შეადგენდეს პოლიტიკური სიმაღლეების დაუფლების გზაზე. ეს კარგად წარმოჩინდა სამოქალაქო ომის წლებში. ისევე როგორც 1871 წელს პარიზის კომუნარები, 1917-1919 წლების პეტერბურგელი და მოსკოველი „კომუნარებიც“ თავიანთი მიზნების მისაღწევად იყენებდნენ მძევალთა ინსტიტუტს. საბჭოთა სახელმწიფომ ჩეკისტურ ორგანოებს მძევლების აყვანის უფლება მისცა. საბჭოთა ისტორიკოსი პროფ. ა. ს. ველიდოვი გვარწმუნებდა რომ ცდებიან ის ავტორები, რომლებიც თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას გამოთქვამდნენ მძევალთა ინსტიტუტთან დაკავშირებით. მისი აზრით, ასეთ მეცნიერებს დღევანდელი სამართლებრივი და ზნეობრივი ღირებულებანი შექანიკურად გადააქვთ მოვლენებზე, რომლებიც სამოქალაქო ომის სპეციფიკურ პირობებში ხდებოდა. მაგრამ ხომ არსებობენ ისეთი ზოგადსაკაცობრიო, ზოგადადამიანური ღირებულებებიც, რომელთაც ყოველნაირ ე. წ. სპეციფიკურ პირობებშიაც იცავდნენ?

ერთი სიტყვით, არსებობენ ისეთი „საბჭოთა“ პროფესორებიც, რომლებიც უდანაშაულო მძევლების დახვრეტას სპეციფიკური პირობებით ამართლებენ. „წითელი ტერორის“ გამართლება არა ერთ საბჭოთა ისტორიკოსს უცდია. ამტკაცებენ, რომ „თეთრი ტერორის“ პასუხი იყო „წითელი ტერორი“.

ურიცკის და ლენინს ესროლეს ტერორისტებმა, მაგრამ თვით ბოლშევიკებიც კი ხხენებულ ტერორისტულ აქტებში ესერებსა და ანარქისტებს ადანაშაულებდნენ. ესერები და ანარქისტები კი ბოლშევიკების ყოფილი თანამებრძოლები და მოკავშირეები არიან — ე. ი. „წითლები“ იყვნენ და არა „თეთრები“.

რაც შეეხება ტყვეების დახვრეტას, ეს დანაშაული „თეთრებსაც“ ბრალდება და „წითლებსაც“, მაგრამ როგორც დ. ფელდმანი აღნიშნავს, „ამ საქმეში ბოლშევიკები რჩებოდნენ ლიდერებად თვით სამოქალაქო ომის შემდეგაც“. ისტორიკოსებს ახსოვთ ე. წ. „ყირიმის სასაკლავო“, როდესაც ათეულ ათასობით ტყვედ აყვანილი ოფიცრები დახვრიტეს არა თეთრებმა, არამედ წითლებმა. დ. ფელდმანის მიერ მოძიებული მასალების მიხედვით, მაღალი რანგის ბოლშევიკი მ. ლაცისი იყო ის პიროვნება, რომელიც 1918 წლის 23 აგვისტოს გაზეთ „იზვესტიაში“ წერდა, რომ სამოქალაქო ომის კანონების თანახმად შენს წინააღმდეგ მებრძოლი ყველა დაჭრილი უნდა ამოყლიტო.

უნდა დავეთანხმობთ დ. ფელდმანს იმაში, რომ „წითელი ტერორი“ იყო „არა თავდაცვის საგანგებო ღონისძიება“, არამედ უნივერსალური საშუალება, რომელიც გნებათ პრობლემის გადაჭრისა.

არსებობს ე. ი. ლენინის 1918 წლის ათი აგვისტოთი დათარიღებული წერილი სასურსათო საქმის სახალხო კომისრის ა. დ. ციურუპასადმი, სადაც „მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი“ წინადადებას აძლევს მას, რომ ყოველ „კოლოსტში“ მძევლად აიყვანონ 25-30 სული მდიდართა წრიდან, რომლებმაც თავისი სიცოცხლით პასუხი უნდა აგონ სურსათის შეგროვებისათვის. ლენინის წერილი, როგორც ამას საქმეში ჩახედული მკითხველი თვითონაც მიხვდება, დაწერილია თითქმის ერთი თვით ადრე წითელი ტერორის გამოცხადებამდე. ცხადია, რომ მძევლების აყვანა ტერორზე დაფუძნებული სახელმწიფოს ბელადმა და „მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსმა“ საკუთარი პოლიტიკური მიზნის განსახორციელებლად შემოიღო.

ცნობილია, რომ „მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი და მასწავლებელი“ ლენინი, სამწუხაროდ, განათლებით იურისტი იყო. და ძნელი გასაგებია, როგორ შეეძლო ამ განათლებულ პიროვნებას და იურისტს ხელი მოეწერა მრ...





ვალ ისეთ დოკუმენტზე, რომელთა კანონსაწინააღმდეგო და ანტისამართლებრივი არსი სავსებით აშკარაა. მას, როგორც იურისტს, უხერხულობა არ უგრძობია, როდესაც ე. წ. „დეცომაცია“, ე. ი. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთაგან ყოველი მეათის დასჯა მართებულად მიიჩნია. 1919 წლის ივნისში დაწერილ ბროშურაში „დიადი წამოწყება“, ლენინი წერდა, რომ „ინტელიგენციის უმრავლესობა ბურჟუაზიისკენ მიიწევს“. ლენინი სასაცილოდ იგდებს გამოთქმებს „ხალხის თავისუფლება“, „თანასწორობა, თავისუფლება და ძმობა“ და დასძენს: „ჩვენი დროის შეგნებული მუშა და გლეხი ამ გაბერილ ფრაზებში ისევ ადვილად ამჩნევს ბურჟუაზიული ინტელიგენციის თაღლითობას, როგორც ზოგიერთი ცხოვრებაში გამოცდილი კაცი, „კეთილშობილი ადამიანი“ უაღრესად „დახვეწილი“ ფიზიონომიის და გარეგნობის დანახვაზე, მაშინვე შეუცდომლად არაკვევს „ალბათ გაიძვერააო“<sup>3</sup>. თუ ეს სიტყვები ინტელიგენტური ოჯახიდან გამოსულმა და განსწავლულმა, რუსეთის კომუნისტური პარტიის ბელადმა თქვა, რა უნდა ეთქვას მცირემცოდნე მატროსებს და ჯარისკაცებს... აკი კლავდნენ კიდევ რევოლუციურ პეტერბურგში „კეთილშობილი ადამიანი“ გარეგნობის და „დახვეწილი“ ფიზიონომიის მქონე „გაიძვერებს“ „რევოლუციის ჯარისკაცები“...

ლენინის ინიციატივით და აქტიური მონაწილეობით გარეკვეს დამფუძნებელი კრება და საზღვარგარეთ გააძვევს რუსული კულტურის საუკეთესო წარმომადგენლები, მოგვიანებით თვით კომუნისტური პარტიის შიგნითაც აიკრძალა ოპოზიციის უფლება, ოპოზიციურ დაჯგუფებათა შექმნის უფლება. ასე ჩამოყალიბდა პარტისახელმწიფო, ტოტალიტარული გველეშაპი, „ბოროტების იმპერია“. რამდენადაც პრესის თავისუფლება არ არსებობდა და გარდა კომუნისტური პარტიისა, ყველა სხვა პარტია აიკრძალა და თვით ამ პარტიის შიგნითაც კი თავისუფლად აზრის გამოთქმის საშუალება მოისპო, პიროვნებად ყოფნის საშუალება წაერთვა ე. წ. საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს... მართებულად აღნიშნავდა ერთი ავტორი: „სკკპ არასოდეს არ ყოფილა პარტია ჩვეულებრივი მნიშვნელობით. ეს იყო სახელმწიფო-ბიუროკრატიული, სამხედრო წესით დისციპლინირებული მექანიზმი („მახვილოსანთა ორდენი“, როგორც ზუსტად თქვა სტალინმა), რომელიც ათეულს წლების განმავლობაში ცვლიდა ხელისუფლების არჩევით ორგანოებს“... ასეთ ვითარებაში სამართალმა დაკარგა დამოუკიდებელი ღირებულება და გადაიქცა სახელმწიფოს უბრალო ინსტრუმენტად.

ჯერ კიდევ 1917 წელს რსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დეკრეტი № 1 სასამართლოს შესახებ არსებული კანონის დარღვევით. სახალხო კომისართა საბჭომ გვერდი აუარა ცაკს, რადგან იქ მომუშავე მემარცხენე ესერებისა ეშინოდა. კანონისა და კანონიერების პატივისცემა 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების პირველი დღეებიდანვე ხელყოფილი აღმოჩნდა. კანონი უნდა მიეღო საკანონმდებლო ორგანოს და არა მთავრობას. უკვე 1917 წლის ნოემბრიდან იწყება საბჭოების ხელისუფლების აბუჩად აგდება ბოლშევიკური მთავრობის მიერ.

იურიდიული ნიჰილიზმისა და სამართლებრივი პრიმიტიულობის გამოხატულება იყო ის გარემოებაც რომ როგორც საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებულ კანონს, ასევე სახკომსაბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებას ორივეს დეკრეტი ეწოდებოდა. გარდა ამისა № 1 დეკრეტმა შემოიტანა „რევოლუციური სინდისის“ ცნება. სინდისი ეთიკური კატეგორიაა და მისი შემოტანა კანონში არ არის მართებული მაგრამ კიდევ უფრო სავალალოა ის, რომ კანონმდებელს შემოჰქონდა არა უბრალოდ სინდისის ცნება, არამედ

<sup>3</sup> იქვე, გვ. 506.

„რევოლუციური სინდისის“. „რევოლუციური სინდისისა“ და „რევოლუციური მართლშეგნების“ ცნებების შემოტანამ ხელფეხი გაუხსნა ოციან-ოცდაათიანი წლების უკანონობასა და ტერორს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლენინი — იურისტი აღიარებდა ისეთი სასჯელის მართლზომიერებას, როგორც დეციმაციაა, ყოველი მეათე პირის დასჯას, ე. ი. დასჯის დროს მხედველობაში მიიღებოდა არა პირის ბრალი, არამედ მხოლოდ ის, რომ პირი „კლასობრივი მტრების“ მწკრივში მეათე აღმოჩნდა.

დღეს ცნობილია თუ როგორ ბოროტად იყენებდნენ თავიანთ, „რევოლუციურ სინდისს“ ლენინის თანამოაზრენიც — ტროცკი, სტალინი, მოლოტოვი და სხვები. ლენინისა და მისი თანამებრძოლების „რევოლუციურ სინდისზე“ მილიონობით უდანაშაულო ადამიანების მოსპობა.

იურიდიულად „მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები“ აღიარებდნენ მომავალ კომუნისტურ საზოგადოებაში სახელმწიფოს კვდომის აუცილებლობას. ამ აზრს იზიარებდნენ ლენინის მოწაფეებიც. 1930 წლის 27 ივნისს პარტიის XVI ყრილობაზე სტალინი ამბობდა: „ჩვენ სახელმწიფოს კვდომის მომხრენი ვართ და ამავე დროს მხარს ვუჭერთ, რომ გაძლიერდეს პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც წარმოადგენს ყველაზე უფრო მძლავრ და ყველაზე უფრო ღონიერ ძალაუფლებას დღემდე არსებულ ყველა სახელმწიფო ძალაუფლებასთან შედარებით. სახელმწიფო ძალაუფლების უმაღლესი განვითარება სახელმწიფო ძალაუფლების კვდომისათვის პირობების მომზადების მიზნით, — აი მარქსისტული ფორმულა“.

რა თქმა უნდა, თავისი შინაარსით ტერორისტული სახელმწიფო დროის გარკვეულ მონაკვეთზე მაინც „ყველაზე უფრო მძლავრი და ყველაზე უფრო ღონიერი ძალაუფლება იყო დღემდე არსებულ ყველა სახელმწიფო ძალაუფლებასთან შედარებით“, მაგრამ ის არც პროლეტარიატის დიქტატურა ყოფილა და არც სახელმწიფო ძალაუფლების კვდომისათვის პირობების წინასწარ მომზადებული მექანიზმი.

თავის დროზე, ერთმა რუსმა მოაზროვნემ პეტრე პირველს უწოდა „გენიოსი და ჯალათი“. ასეთივე „გენიოსები“ და ჯალათები იყვნენ ლენინი და სტალინი. მაგრამ „ბოროტი გენია“ და მისი მეშვეობით მუდამ როდი იბოგინებს.

1956 წელს, სკკპ XX ყრილობაზე მისი ერთ-ერთი დელეგატი თავმომწონედ აღნიშნავდა: „მეორე მსოფლიო ომამდე სოციალისტური სისტემის წილად მოდიოდა დედამიწის ტერიტორიის 17 პროცენტი, მოსახლეობის დაახლოებით 9 პროცენტი და მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის 7 პროცენტი. ამჟამად სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს უკავიათ დედამიწის ტერიტორიის 25 პროცენტზე მეტი, მათ წილად მოდის დედამიწის მთელი მოსახლეობის 35 პროცენტზე მეტი და მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის 30-მდე პროცენტი“.

ამ პროცენტების მიღმა იმალებოდა კოლოსალური ძალადობის, თვითმიზნად ქცეული სამხედრო სახელმწიფოს და სახელმწიფოს მიერ პიროვნების დათრგუნვის, ხალხის გაბრიყვების და გამოთავყანების რთული მანქანა — სახელმწიფო, რომელსაც „ნექტარის შესმა“ სხვაგვარად არ სურდა, თუ არა მოკლულის თავის ქალიდან.

ადამიანი, როგორც საზოგადოების წევრი და როგორც ისტორიის სუბიექტი ყოველთვის იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოქმედებდა, რაც მას გააჩნდა. ლენინმა და მისმა შექმნილმა პარტიამ ეს ინფორმაცია თავის კონტროლს დაუქვემდებარეს, გააცალმხრივეს და გააყალბეს. ობიექტური ინფორმაცია ყოველთვის დემოკრატიის მოკავშირე იყო და იქნება. ამიტომაც, ნამდვილი და არა კულტის რანგში აყვანილი ლენინის პოლიტიკური შეფასება უთუოდ საჭიროა.

# როცა საზინა ცარიელია

## ამომხდელ ახალი საგადასახადო კანონმდებლობა

ქვეყანაში საგადასახადო დისციპლინის დონე, თუ როგორია დამოკიდებულება გადასახადისადმი, რამდენად არის უზრუნველყოფილი მისი სრული აღრიცხვა და შემოსვლა, ამ ქვეყნის ეკონომიკური სიძვარის, სახელმწიფო ხელისუფლების სიმტკიცის, მისი ორგანიზებული მოწყობისა და მართვის ეფექტიანობის მაჩვენებელია. დამოუკიდებელი, უფრო სწორად, მხოლოდ კანონს დაქვემდებარებული, ყოველგვარი ადმინისტრაციული თუ პოლიტიკური ზემოქმედებისაგან თავისუფალი საგადასახადო სამსახურის შექმნას ითვალისწინებს კანონთა კაპეტი, რომელიც ახლახან მიიღო რესპუბლიკის პარლამენტმა.

სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფროსს **დავით სალარიძეს** ვთხოვეთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს გააცნოს საგადასახადო კანონმდებლობის სიახლეები.

\* \* \*

**შტრიხები პორტრეტისათვის:** დაიბადა თბილისში 1947 წელს. განათლებით იურისტი, სხვადასხვა დროს მუშაობდა რესპუბლიკის პროკურატურის, სასამართლოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, 1993 წლის სექტემბრიდან სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციას ხელმძღვანელობს, ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

— ბოლო ხანს სხვადასხვა ტრიბუნადან რამდენჯერმე ითქვა ქების სიტყვები საგადასახადო ინსპექციის ხელმძღვანელის მისამართით. რამდენადაც ვიცი, ეს უწყება თქვენთვის, ასე ვთქვათ „ყამირი“ იყო...

— ის ქების სიტყვები ინსპექციის კოლექტივს ეკუთვნის. აქ მაღალი კვალიფიკაციის კოლექტივი დამხვდა. მას პარლამენტის შესაბამის კომისიასთან ერთად დიდი შრომა ჰქონდა გაწეული ახალი კანონმდებლობის შექმნისათვის, რამაც პირველი წარმატებული ნაბიჯები განაპირობა.

მიღებულია 8 ახალი კანონი. აქამდე, პრაქტიკულად, საგადასახადო კანონები არ გვქონდა. იყო დროებითი დებულება, რითაც მუშაობა გვიხდებოდა, ახალი კანონმდებლობის ძირითადი ხერხემალი ის არის, რომ მასში შედარებით ლიბერალური საგადასახადო განაკვეთებია ჩადებული. მისი პრინციპია სტიმული მისცეს მეწარმეობის განვითარებას, ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას, აღკვეთოს შემოსავლის დამალვა.

მაგალითად, მოგებიდან გადასახადი ავიღოთ. იგი 35 პროცენტი იყო, ახლა 15 პუნქტით შემცირდა. ეს 20 პროცენტზე დიფერენცირებულია: მრეწველობისა და მშენებლობისათვის მხოლოდ 10 პროცენტს ითვალისწინებს. უფრო მეტიც: ახალშექმნილი ორგანიზაცია პირველ წელიწადს საერთოდ თავისუფლდება გადასახადისგან, ხოლო მომდევნო 2 წელიწადში დაწესებულის ნახევარს იხდის.

ახლა დამატებული ღირებულების გადასახადი ვნახოთ. დაწესდა 14-პროცენტიანი განაკვეთი. იგი ბევრად მცირეა სხვა ქვეყნებთან შედარებით. დამოუ-

კიდებულ სახელმწიფოთა თანამეგობრობის რესპუბლიკებში, მაგალითად, 20 პროცენტია.

ასეთი პირობები, ვფიქრობ, სავსებით მისაღებია ყველასათვის. ის კი არა, შეიძლება ასეთი დაბალი განაკვეთების შედეგად ბიუჯეტი გარკვეული დროის მანძილზე დაზარალდეს კიდევ, მაგრამ სახელმწიფო შეგნებულად წავიდა ამაზე. სამაგიეროდ ხვალ მოგვცემს შედეგს.

— კანონების შემუშავებისას რომელიმე კონკრეტული ქვეყნის გამოცდილებას ეყრდნობოდი?

— ერთი ცალკე ტრაფარეტი არ აგვიღია. შევისწავლეთ რამდენიმე ქვეყნის კანონმდებლობა, მათს შორის დსთ-ს წევრებისაც. კანონპროექტებზე მუშაობისას კონსულტაცია გავვიწიეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

— გადასახადები ბიუჯეტის შემოსაუღების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. როგორი იქნება ამ მხრივ წლეულს სახელმწიფო ინსპექციის წვლილი?

— შარშან სახელმწიფოს ბიუჯეტის სამშემოსავლო ნაწილი 400 მილიარდი კუპონი იყო. დეფიციტი შეძლებისდაგვარად დაიფარა საფინანსო ემისიის, კრედიტებითა და სხვადასხვა დახმარებით. უკვე მზად არის წლეუანდელი წლის პირველი კვარტალის ბიუჯეტი. შემოსავალი ითვალისწინებს 1,3 ტრილიონ კუპონს, გასავალი — 1,5 ტრილიონს. როგორც ხედავთ, დეფიციტი მხოლოდ 200 მილიარდი კუპონით არის განსაზღვრული. დიდი სხვაობაა შარშანდელთან შედარებით: 400 მილიარდი შარშან მთელ წელიწადში და 1,3 ტრილიონი წლეულს ერთ კვარტალში. მართალია, შედარებისას ინფლაციაც გასათვალისწინებელია, მაგრამ სხვაობა მაინც აშკარაა. აქ იკვეთება სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების როლი — უზრუნველყონ გადამხდელებისა და ბიუჯეტში ჩარიცხული გადასახადებისა და სხვა გადასახდელების აღრიცხვა, მონაწილეობა მიიღონ ბიუჯეტის შემოსავლის პროგნოზირებაში.

— გადასახადთა მთავარი ნაკადი მრეწველობამ უნდა მოგვცეს, ჩვენი მრეწველობა კი ისეთ მძიმე მდგომარეობაშია, ალბათ, დიდ იმედებს ვერ დავაჟივარებთ. არის სხვა რამ საშუალება?

— არის რეზერვები, რომლებიც უნდა ამოქმედდეს. მაგალითად — ნავთობპროდუქტები. შარშან რესპუბლიკაში კომერციულმა სტრუქტურებმა მიიღონ ტონამდე ნავთობპროდუქტები შემოიტანეს. მიახლოებითი გამოანგარიშებით სახელმწიფო ბიუჯეტს 500 მილიარდამდე კუპონის შემოსავალი უნდა მიეღოს, თითქმის ერთი ბიუჯეტის რეზერვი, მაგრამ... როცა კომერციის ამ უბანს ყურადღება მივაქციეთ, მხოლოდ დეკემბერში, 2,5 მილიარდი კუპონის ამოღება და მოვახერხეთ.

ყოველიწარად ვუჭერთ მხარს მეწარმეობას, ბიზნესს, ვიცით რომ საქართველოს გადარჩენა მეწარმის ხელშია, ის არის ჩვენი ბიუჯეტის, ეროვნული დოვლათის შემქმნელი. ყველამ უნდა გაიცნობიეროს: აღარ იქნება სახელმწიფო ფონდები ბენზინისა და სხვა პროდუქტებზე. კომერციული სტრუქტურები, რაც მეტ ბენზინს შემოიტანენ, მით უფრო გაიფრთხილებიან. მაგრამ შემომტანმა ისიც კარგად უნდა იცოდეს, რომ ბიუჯეტს დაწესებული თანხა გადაუხადოს. ეს სახელმწიფოსთან მისი ცივილიზებული ურთიერთობის წესია.

კიდევ ერთი მაგალითი: თბილისში 3 ათასამდე ჯიხურია აღრიცხული, არაა და შარშან მათგან გადასახადის სახით მხოლოდ 100 მილიონი კუპონი მივიღეთ. ეს ზღვაში წვეთია. ვალუტის გადამცვლელი პუნქტები ავიღოთ. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის 1993 წლის 28 დეკემბრის მონაცემებით, თბილისის რეგიონში რეგისტრირებულია 745 ასეთი პუნქტი, მათგან საგა-

დასახადო აღრიცხვაზე აყვანილია 335. მაგრამ სულ შვიდმა სავალუტო პუნქტმა გადარიცხა თანხა ბიუჯეტში გადასახადის სახით — 2,3 მილიონი კუპონი. ეს არის და ეს. სხვებს არაფერი შემოუტანიათ. არადა, სავალუტო პუნქტი თვეში 100 დოლარს უნდა იხდიდეს.

ვალუტა უნდა შემოჰქონდეთ ტურისტულ ფირმებსაც, ისინი ხომ ფაქტობრივად უცხოური ვალუტით მომსახურე ორგანიზაციებია. დედაქალაქში 200-მდე ტურისტული ფირმაა, მათგან მხოლოდ 7 ფირმას აქვს ლიცენზია. ყველას ვაფრთხილებთ: იმ ფირმის მთელი შემოსავალი, რომელიც ულიცენზიოდ, ე. ი. უკანონოდ საქმიანობს (ეს ვალუტის გადამცვლელ პუნქტებსაც ეხება) ამოღებული იქნება!

— ქალაქი წალეკა „იმპროვიზებულმა ბაზრებმა“, მეტროს სადგურებთან, საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში გაცხოველებული ადებ-მიცემობაა. რა არ იყიდება: ვინმე ინტერესდება ამით? იმის გარდა, რომ ქალაქმა თავისი განუმეორებელი სახე დაკარგა და ერთიან ბაზრს დაემსგავსა, სახელმწიფო რა სარგებელს იღებს აქედან?

— კომერციული საქმიანობის მიმდევარი ეს მოქალაქეები, ფაქტობრივად, ურეგისტრაციოდ საქმიანობენ და, შესაბამისად, მათგან ბიუჯეტში თითქმის არაფერი შემოდის. მაგალითად, ისნის რაიონის ბაზრობაზე ყოველდღიურად ვაჭრობს დაახლოებით 5 ათასი მოქალაქე, რომლებიც ბაზრობის მომწყობ ორგანიზაციას ყოველდღიურად უხდიან 20 ათას კუპონს. იმათგან საშემოსავლო გადასახადით დაბეგრილია დაახლოებით 60 პიროვნება, ვისაც ბაზრის ტერიტორიაზე ჯიხური აქვს დადგმული. ამას ხელი შეუწყო „ვაჭრობის თავისუფლების შესახებ“ რესპუბლიკის მთავრობის 1993 წლის 4 მაისის დადგენილებაჲ, რომლის მე-7 მუხლითაც მოქალაქეთა არაორგანიზებული ერთჯერადი საცალო ვაჭრობით მიღებული ამონაგები განთავისუფლებულია გადასახადისგან. მაგრამ მასში განმარტებული არ არის, თუ რა საქმიანობა ითვლება „არაორგანიზებულ საცალო ვაჭრობად“. ამის გამო თითქმის შეუძლებელი ხდება დადგენა, კაცი სისტემატურად ვაჭრობს თუ „ერთჯერად საცალო ვაჭრობას ეწევა“. ასევე პრაქტიკულად შეუძლებელია მისი შემოსავლის დადგენაც. ასეთ „თავისუფალ ბიზნესმენტა“ სრულად აღრიცხვისა და ბიუჯეტში თანხის შემოსვლის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მინისტრთა კაბინეტმა გააუქმოს 1993 წლის 4 მაისის დადგენილების მე-7 მუხლი და ბაზრებსა და ბაზრობებზე მოვაჭრეთათვის საშემოსავლო გადასახადის ნაცვლად დააწესოს ვაჭრობიდან გადასახადი, რასაც გადაიხდიან სავაჭრო ადგილებისათვის გადასახდელ თანხასთან ერთად. ამასთან, უნდა აიკრძალოს მოქალაქეთა ვაჭრობა საკოლმეურნეო ბაზრების, ბაზრობებისა და ამ მიზნებით სპეციალურად გამოყოფილი ადგილების გარეთ.

არის სხვა რეზერვებიც.

მოგეხსენებათ მეწარმეობის განვითარების, კუპონის ინფლაციისა და სხვა გარემოებათა გამო, საცხოვრებელი სახლები და სხვა შენობა-ნაგებობები ძალზე გაძვირდა. ყიდვა-გაყიდვა ძირითადად რუსული მანეთებითა და ამერიკული დოლარებით ხდება, სანოტარო კანტორებში ხელშეკრულებების დამოწმებისას კი გარიგების თანხები ძირითადად ნაჩვენებია კუპონებითა და ისიც ძალზე შემცირებულად, რამდენიმე მაგალითს დაგისახელებთ: მე-5 სანოტარო კანტორის მონაცემებით, შარშან დეკემბერში ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე სამოთახიანი (47 კვ. მ) ბინა გაიყიდა 8 მილიონ კუპონად. ფალიაშვილის ქუჩაზე ერთოთახიანი — 4 მილიონ კუპონად; პირველი სანოტარო კანტორის მონაცემებით: ვაჟა-ფშაველაზე ოროთახიანი (31 კვ. მ.) — 5 მილიონ კუპონად, გლდანის რაიონში (45 კვ. მ.) — 3 მილიონ კუპონად, ხოლო მოსკოვის გამზირზე ერთოთახიანი

ნი – 500 ათას კუბონად. ასეთი „სიიაფის“ გამო ბიუჯეტი მნიშვნელოვან თანხებს კარგავს, რადგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხიდან სახელმწიფო ბაჟის სახით გადასახდელთა თანხის 16 პროცენტი. მიზანშეწონილად მიგვაჩნია სათანადო ორგანიზაციებს დაევალოთ: რეალურად არსებული ფასების, აგრეთვე ქალაქებისა და რაიონების, მისი ცალკეული უბნების თავისებურების გათვალისწინებით შეიმუშაონ კოეფიციენტები, რომლითაც ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დამოწმებისას, სახელმწიფო ბაჟის სწორად გამოანგარიშებას მიზნით, სანოტარო კანტორები გაადიდებენ იმ შენობათა საინვენტარიზაციო შეფასებას.

იმის მრავალი ფაქტი გვაქვს, რომ მეწარმეებს საექსპორტოდ დიდძალი საქონელი გააქვთ, რესპუბლიკიდან, მიღებული შემოსავალი კი სათანადოდ არ აისახება ხოლმე ანგარიშგებაში, თავს არიდებენ ბიუჯეტის კუთვნილი თანხების გადახდას. მარტო 1993 წლის ივნისში ფოთის საბაჟოდან საექსპორტოდ გატანილია 5,1 მილიონი დოლარის ღირებულების საქონელი (მათ შორის 11 ტონამდე 2 მილიონი დოლარის სხვადასხვა ლითონი). მაგალითად, ერთი ფირმის „მერკურის“ შემოწმებამ დაგვანახა, რომ საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობაში ჩაბმული ორგანიზაციები უხეშად არღვევენ საგადასახადო დისციპლინას, „მერკურს“ ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხა 37,2 ათასი დოლარი და 5 მილიონი კუპონი. ეს მხოლოდ ერთი მაგალითია, ერთი ორგანიზაციის შემოწმების შედეგი!

იუსტიციის სამინისტროსთან ერთად უკვე შევიმუშავეთ სისხლის სამართლის კოდექსის ახალი მუხლის პროექტი დამალული შემოსავლის გამო პასუხისმგებლობის შესახებ. იგი ითვალისწინებს ხუთ წლამდე პატიმრობას თუ დამალულმა შემოსავალმა გადააჭარბა მინიმალური ხელფასის ათასჯერად ოდენობას. გათვალისწინებულია მკაცრი ფინანსური სანქციებიც.

**– მეწარმეები ჩივიან, რომ უამრავი შემოწმებელი და მაკონტროლებელი აწუხებთ, რომ რევიზიას რევიზია ცვლის, აქეთ საგადასახადო ინსპექცია, იქით კონტროლის პალატა...**

– მთლად უსაფუძვლო საჩივარი არ არის. ჩვენ ახლა მოლაპარაკება გვაქვს კონტროლის პალატის ხელმძღვანელობასთან, რათა შემოწმების კოორდინირება მოვახდინოთ. ერთმანეთში სადავო არაფერი გვაქვს. ჩვენი ფუნქციები მკაცრად არის გამოიჯნული. კონტროლის პალატა უმადლეხი მაკონტროლებელი ორგანოა. რესპუბლიკის ბიუჯეტის კონტროლიც კი მის ხელშია. მას შეუძლია ჩვენც კი შეგვაიმოწმოს, თუ როგორ, რამდენად სწორად ვმუშაობთ გადამხდელებთან, მაგრამ გადასახადი და გადამხდელი საგადასახადო ინსპექციის პრეროგატივაა, ამ სფეროში ის ერთადერთი და ძირითადია. მეწარმე მალე იგრძნობს ამ ორი ორგანიზაციის შეთანხმებულ საქმიანობას და შვებით ამოისუნთქებს. რაც შეეხება სხვა ინსტანციებს, როცა ამ საქმეს კანონმდებლობა მოაგვარებს, მეწარმე უცხოვს აღარავის შეუშვებს თავისთან.

**– ბევრი ლაპარაკი იყო საგადასახადო პოლიციის შექმნის თაობაზე. საბოლოოდ როგორ გადაწყდა საქმე?**

– საგადასახადო ინსპექციასთან ძალისმიერი სტრუქტურის შექმნის იდეა პარლამენტმა მოიწონა, მაგრამ ეს იქნება ინსპექციის ოპერატიული სამმართველო და არა პოლიცია. პოლიციას შეგნებულად ავარიდეთ თავი. ისედაც უამრავი პოლიციაა და ხალხს თავგზა აებნა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მას მიენიჭება დამალულ შემოსავალთან ბრძოლის უფლება.

**– ეს იმ ყბადაღებულ „ობეხესს“ ხომ არ ემსგავსება?**

— არავითარ შემთხვევაში. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, ჩვენი დანაშაულებები იქნება დამალულ შემოსავლებთან ბრძოლა და ბრძოლაში საკონტროლო-სარევიზიო და ძალისმიერი ფორმების შერწყმა ანუ მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაცია, რომელსაც დასჭირდება სათანადო სარევიზიო-სახელმწიფო შემოწმება, შემოწმება მოხდება ერთი უწყების ჭერქვეშ ასეთ პირობებში კი, როდესაც საგადასახადო ინსპექტორს ოპერატიული მუშაკის პროფესიული უფლებებიც ექნება, დამეთანხმებით, შედეგებიც არ დაყოვნებს და ჩვენი ბრძოლაც დამალული შემოსავლის წინააღმდეგ გაცილებით ეფექტიანი იქნება.

სხვათა შორის, საგადასახადო პოლიციის არსებობა საგადასახადო ინსპექციებთან ახალი არ არის. ასეთი სამსახურები უკვე დიდი ხანია არსებობს დასავლეთის მრავალ ქვეყანაში, ხოლო რუსეთში კი ამჟამად მოქმედებს 20-ათასკაციანი ასეთი სამსახური.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს, ანუ ე. წ. „ობეხეს“-ს, ვფიქრობ, ამ სამსახურს ქვეყნის წინაშე აქვს ძალზე მნიშვნელოვანი ამოცანები და ამ ამოცანების გაუბრალეობა არავითარ შემთხვევაში სწორი არ იქნება. მაგრამ, როცა ლაპარაკია გადასახადზე, აქ საჭიროა ფუნქციების რეალურ გამიჯვნაზე ფიქრი, რათა გადამხდელი ერთხელ და სამუდამოდ შევარჩიოთ როგორც თავის უფლებებს, ასევე მოვალეობებსაც სახელმწიფოსა და ბიუჯეტის წინაშე.

— რა სტრუქტურული ცვლილებები მოხდა თქვენს უწყებაში ახალი კანონმდებლობის შესაბამისად?

— თბილისში ჩამოყალიბდა ახალი სტრუქტურული მექანიზმები — საფინანსო-სარევიზიო აპარატები; ახლებურად ხდება აღრიცხვის სისტემის მოგვარება.

პირდაპირ უნდა ვთქვა: დღეს აღრიცხვის სისტემაში ქვის ხანაა: კომპიუტერული სისტემა უნდა დაინერგოს, დავიწყებთ ინდივიდუალური კომპიუტერებით რაც მთავარია, აღრიცხვა არა მარტო ჩვენს უწყებაში, არამედ გადამხდელთანაც მოსაგვარებელია. საკასო აპარატის უქონლად, უბრალოდ, აღარ შეიძლება მათი საქმიანობა. უკვე არსებობს მინისტრთა კაბინეტის დადგენილების პროექტი რომლის ძალითაც საკასო აპარატებზე აუცილებელი საყოველთაო გადასვლა მოხდება. ჩვენ კი კონტროლს განვახორციელებთ.

— მერედა ფიზიკურად არის კი ამდენი საკასო აპარატი?

— ამ საკითხზე ვაჭრობის სამინისტროს აქვს სათანადო წინადადება. გადამხდელებმა უნდა შეიძინონ. არ შეიძინენ და საქმიანობის უფლება არ მიეცემათ.

მომზადებულია სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების პროექტი ჩვენი სამსახურის ფუნქციური გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

— ბატონო დავით, ამჟამად რესპუბლიკაში ფაქტობრივად სამი სახის ვალუტა ტრიალებს — კუპონი, რუსული მანეთი, ამერიკული დოლარი. ეს ალბათ, თქვენც გარკვეულ სირთულეებს გიქმნით. როგორ ფიქრობთ, სამანეთო ზონაში შესვლა, თუ ეს მოხდა, გამოასწორებს მდგომარეობას?

— ერთი რამ უდავოა: ყველაფერი უნდა ვიღონოთ ეროვნული ვალუტის გადასარჩენად, კუპონი იმან დასცა რომ ვისაც როგორ უნდა ისე ვაჭრობს, რაც შეეხება სამანეთო ზონას: გააჩნია რა პირობებს შემოგვთავაზებენ. მაგრამ, ასეა თუ ისე, საკუთარი ვალუტა უნდა გვექონდეს, როგორც კი სახელმწიფოს კუპონის კონვენტირების საშუალება მიეცემა, კუპონი განმტკიცდება.

– მიეცემა კი მას ამის საშუალება უახლოეს ხანში? ჯერჯერობით, უცხოური კრედიტებით გვიდგას სული...

– დიახ, უცხოური კრედიტებით ვსულდგმულობთ (ბევრმა არც იცის, რომ ეს კრედიტები სახელმწიფოს მეთაურის პირადი ავტორიტეტით არის მოპოვებული), მაგრამ უზნეობაა, უზნეობა კი არა უბედურებაა, როცა ამ ტანჯვით მოპოვებული კრედიტებით ვილაც-ვილაცები ხელს ითბობენ, კრედიტებით მიღებული შემოსავლებით ბიუჯეტთან ანგარიშსწორებასაც არ ახდენენ. ფაქტებს ვამოწმებთ და მალე დღის სინათლეზე გამოვიტანთ.

– თითქოს თქვენ მიკარნახეთ შემდეგი კითხვა, რომელიც ამდენი ხანია აღევებს საზოგადოებრიობას. ეროვნული ბანკის გულუხვად გაცემული ყბადაღებული მილიარდიანი კრედიტები მაქვს მხედველობაში...

– ამაში ალბათ, კრიმინალიც არის, მაგრამ ყველაზე ნაკლები დამნაშავე აქ ის არის, ვინც კრედიტი აიღო. ატეხილ აუიოტაჟში ავიწყდებათ, რომ თუ ორგანიზაციამ კრედიტი მიიღო და სახელმწიფოს ნაკისრი ვალდებულება გაუსტუმრა, ის მართალია.

– მაგრამ განა ეროვნული ინტერესების ღალატი არ არის მილიარდიანი კრედიტების 40 პროცენტის განაკვეთით გაცემა?

– რატომ ვთხოვთ ამაზე პასუხს ბიზნესმენს. ეროვნულ ბანკს მოვკითხვთ. მას უნდა გაეთვალისწინებინა ინფლაციის დონე, მეწარმეს რას ერჩი! ამის შემოწმებაში თუ ჩაგვრთავენ, მხოლოდ ბიუჯეტის წინაშე ვალდებულების შესრულებას გავითვალისწინებთ. თორემ ამ ხმაურიან საქმეში, მე მეჩვენება, რომ ყველა თავის საქმეს გააკეთებს და სახელმწიფო კი მისაღებ შემოსავალს არ მიიღებს, ამიტომ კიდევ ვიმეორებ, საჭიროა ჩვენი სამსახური ჩაერთოს საქმეში.

**ძალზე ბევრი ორგანიზაცია და საზოგადოება თხოულობს გადასახადიდან განთავისუფლებას და თხოვნას სათანადოდაც ასაბუთებს. რა ზომებს იღებთ?**

– მხოლოდ პარლამენტს აქვს, ახალი კანონმდებლობით, გადასახადიდან განთავისუფლების უფლება. ეს სწორია. არ შეიძლება გადასახადიდან განთავისუფლების საქმეში ყველამ ურიოს ხელი. იცოდეს გადამხდელმა: სხვადასხვა ინსტანციაში წერილებით სიარულს აზრი არა აქვს, მხოლოდ პარლამენტს უნდა მიმართოს. ის კი, ვიმედოვნებთ, შეუვალი იქნება.

ერთი სიტყვით, ჩვენს დაცარიელებულ სახელმწიფო ხაზინას შევსება სჭირდება. საგადასახადო სამსახური ყველაფერს გააკეთებს ამისათვის. ამას საქმით დავამტკიცებთ.

**ესაუბრა ალექო ასლანიშვილი.**

(გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“).



ლალი თალიაშვილი

## საქართველოს უფლებსა პრივატიზებულ ბინაზე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1992 წლის 1 თებერვალს მიიღო დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“, რომელმაც დააკანონა ბინების პრივატიზაციის ძირითადი წესი და პრინციპები. გამომდინარე აქედან ბუნებრივია, იბადება კითხვა — ვისი საკუთრებაა პრივატიზებული ბინა?

კომუნალური ბინის დამქირავებელს ოჯახთან ერთად ეკავა სამოთახიანი ბინა 48 კვადრატული მეტრი ფართობით. მეუღლის წერილობითი თანხმობით ბინა პრივატიზებული და შემდეგ რეგისტრირებული იქნა ქმრის სახელზე. ერთი წლის შემდეგ ცოლის სურვილის საწინააღმდეგოდ ქმარმა განიზრახა ბინის გაყიდვა. სანოტარო კანტორამ დაადასტურა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, ისე, რომ არ მოითხოვა ცოლის წერილობითი თანხმობა. ამ მოტივით ცოლმა აღძრა სარჩელი სასამართლოში ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე.

ისნის რაიონის სასამართლომ მოსარჩელეს უარი უთხრა სარჩელზე იმ მოტივით, რომ მან ქმარი ჩათვალა სახლის ერთადერთ მესაკუთრედ. სასამართლო დაეყრდნო იმას, რომ ერთი წლის წინ მოსარჩელემ წერილობითი თანხმობა მისცა მოპასუხეს ბინის პრივატიზაციაზე და ამ თანხმობით მან ქმარი თავად სცნო სახლის ერთპიროვნულ მესაკუთრედ<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, წამოიჭრა პრაქტიკულად და თეორიულად მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა — არის თუ არა პრივატიზებული ბინა იმ მეუღლის ინდივიდუალური საკუთრება, ვის სახელზეცაა იგი რეგისტრირებული, ან უნდა ჩაითვალოს თუ არა ასეთი ბინა მეუღლეთა განსაკუთრებად? თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უსწორია.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის დადგენილებით ბინის პრივატიზაციისათვის საჭიროა დამქირავებელთან ერთად მცხოვრები ყველა სრულწლოვანი ოჯახის წევრის წერილობითი თანხმობა. მაგრამ ასეთი თანხმობა ოჯახის წევრებს არ ხდის ბინის თანამესაკუთრებად. გამონაკლისია მეუღლე. საქმე ის არის, რომ მეუღლე პრივატიზებული ბინის თანამესაკუთრედ ხდება არა იმიტომ, რომ თანხმობა მისცა ბინის პრივატიზაციაზე, არამედ იმიტომ, რომ საქართველოს საქორწინო და საოჯახო კოდექსის 21-ი მუხლის თანახმად, ერთი მეუღლის მიერ ქორწინებაში საერთო საოჯახო ინტერესებიდან გამომდინარე შეძენილი ქონება (მათ შორის პრივატიზებული ბინა) არის მეუღლეთა თანასაკუთრება<sup>2</sup>. ასეთი უპირატესობით ოჯახის სხვა წევრები არ სარგებლობენ.

საერთო თანასაკუთრების უფლების განმსაზღვრელი ნიშანია მისი უწილადო

<sup>1</sup> საბურთალოს რაიონის სასამართლოს არქივი, საქმე 2/143-93 წ.

<sup>2</sup> ს. ჯორბენაძე, საცხოვრებელი სახლი და მოქალაქეთა საბინაო უფლება-მოვალეობანი, 1973, გვ. 180-182.

ხასიათი. აქ მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ ვის სახელზეა ქონება შეძენილი მაგალითად, სახლის რეგისტრაცია ქმრის სახელზე სრულებითაც არ ჩიშნავს იმას, რომ სახლი მის პირად საკუთრებად ჩაითვალოს. როგორც წესი, სახლი მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებაა, ხოლო მისი რეგისტრაციის ფაქტი მხოლოდ საკუთრების წარმოშობის მომენტს აფიქსირებს.

მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის განმსაზღვრელი პრინციპია მათი თანასწორობა. ეს გამოიხატება მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონებით სარგებლობის, მისი მფლობელობისა და განკარგვის თანაბარ უფლებაში. მეუღლეთა უფლებების თანასწორობა არ ირღვევა მაშინაც, როდესაც ერთ-ერთ მეუღლეს საპატიო მიზეზების გამო (მაგალითად, ავადმყოფობა, საოჯახო მეურნეობის გაძლიერება, შვილების მოვლა და ა. შ.) არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი. უფრო მეტიც, მეუღლეთა შორის რაიმე ისეთი შეთანხმება, რაც მიმართულია ცოლის ან ქმრის ქონებრივი უფლებების შეზღუდვისაკენ, კანონსაწინააღმდეგო და ბათილია.

საერთო თანასაკუთრებას მეუღლეები ურთიერთშეთანხმებით უნდა განკარგავდნენ. არც ერთს არა აქვს უფლება საერთო ქონება მეორის ნების საწინააღმდეგოდ გაასხვოს. მეუღლე, რომელიც მესაკუთრის უფლებამოსილებას ახორციელებს საერთო თანასაკუთრების მიმართ, არ საჭიროებს თავისი მეუღლის დასტურს, რადგან იგულისხმება, რომ იგი მოქმედებს ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე. ასეთი თანხმობა იგულისხმება ცოლქმრული ურთიერთობის ძალით.

ერთ-ერთი მეუღლის მიერ დადებული გარიგების გასაჩივრება მეორე მეუღლის მიერ არ შეიძლება მხოლოდ იმ საფუძველით, რომ იგი დაიდო მისი თანხმობის გარეშე. ამ გარიგების ბათილად ცნობისათვის აუცილებელია დადგინდეს, რომ კონტრაგენტი (შემძენი) არაკეთილსინდისიერია, ე. ი. ისეთი პირია, რომელმაც იცოდა (ან უნდა სცოდნოდა), რომ მეუღლე (განმკარგველი) მოქმედებდა მეორე მეუღლის ნების საწინააღმდეგოდ.

თუ გარიგების მონაწილე კონტრაგენტი (შემძენი) კეთილსინდისიერია, ე. ი. ისეთი პირია, რომელმაც არ იცოდა, და არც იყო საჭირო სცოდნოდა, რომ მეუღლე (განმკარგველი) მოქმედებდა მეორე მეუღლის ნების საწინააღმდეგოდ, გარიგების დადების შემდეგ მეორე მეუღლის მიერ გამოთქმული უთანხმოება ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს დამდგარ შედეგზე.

მაგრამ ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული მეუღლეთა თანხმობა საერთო თანასაკუთრების განკარგვაზე. ასეთი თანხმობა უნდა გამოიხატოს გარიგების დადებამდე და განსაზღვრული ფორმით (წერილობით, სანოტარო ფორმის დაცვით). ასეთი წერილობითი თანხმობა პრივატიზებული ბინის განკარგვაზე აუცილებელია იმის მიუხედავად, მეორე მეუღლემ წერილობითი თანხმობა უკვე მისცა თუ არა ბინის პრივატიზაციის დროს. პრივატიზებული საცხოვრებელი სახლის (ბინის) განკარგვაზე დადებული ხელშეკრულება ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლის წერილობითი თანხმობის გარეშე ბათილია.

თუ ერთ-ერთი მეუღლე არ წარმოადგენს წერილობით თანხმობას საცხოვრებელი სახლის (ბინის) განკარგვაზე მეორე მეუღლეს, რომლის სახელზეც რეგისტრირებულია პრივატიზებული სახლი და გამოძახებისას არ გამოცხადდება სანოტარო კანტორაში მისი წილის განსაზღვრისათვის, ან არ განაცხადებს, რომ წინააღმდეგია სახლის გაყიდვისა სანოტარო ორგანოს მიერ დანიშნულ ვადაში, სახელმწიფო ნოტარიუსი უფლებამოსილია დაადასტუროს

ბინის განკარგვა იმ მეუღლის სახელით, რომელზედაც ირიცხება საცხოვრებელი სახლი (მისი ნაწილი) უფლების დამდგენელი საბუთის მიხედვით.

ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება მეუღლეებს ეკუთვნით თანაბრად წილის განსაზღვრის გარეშე. წილი ამ ქონებაზე განისაზღვრება საერთო თანასაკუთრების შეწყვეტის ან გაყოფის დროს. ამ ნიშნით მეუღლეთა თანასაკუთრება განსხვავდება საერთო საკუთრების მეორე სახისაგან — წილადი საკუთრებისაგან, სადაც წილი, რომელზედაც ყოველ მონაწილეს თანაბარი უფლება აქვს, ზუსტად განისაზღვრება საერთო საკუთრების წარმოშობის მომენტიდანვე<sup>3</sup>. ამ დებულების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ დადგენილების დებულება იმის შესახებ, რომ საცხოვრებელი სახლი დამქირავებლის ოჯახის წევრების სურვილისამებრ შეიძლება გადაეცეს მათ საერთო საკუთრებაში.

ამ შემთხვევაში ოჯახის თითოეულ წევრს უფლება აქვს მოითხოვოს საპრივატიზაციო ბინის ზუსტი წილი. თუ ოჯახის რომელიმე წევრი ბინის პრივატიზაციის წინააღმდეგია, მისი უარი საბოლოოა და ოჯახის დანარჩენ წევრებს არ შეუძლიათ გაასაჩივრონ არც ადმინისტრაციული და არც სასამართლო წესით.

იმის დასადასტურებლად, თუ რა დიდი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა აქვს საერთო საკუთრების ორი სახის — თანასაკუთრებისა და წილადი საკუთრების გამიჯვნას, მოვიყვანთ გლდანის რაიონის სასამართლოს მიერ განხილულ საქმეს. სიზუსტის მიზნით შევეცდებით მისი შინაარსი მოვიყვანოთ ტექსტუალურად.

ქ. თბლისში გლდანის დასახლებაში ერთ ოთახიანი ბინის ძირითადი დამქირავებელია თენგიზ ჯაოშვილი. ბინაში ჩაწერილია დეიდა — ანა ჩაღუნელი, რომელმაც სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა ბინის პრივატიზაციის ნებართვა.

გლდანის რაიონის სასამართლოს 1992 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოსარჩელეს მიეცა უფლება ბინის პრივატიზაციის შემთხვევაში ბინა აღირიცხოს მის სახელზე, ხოლო თ. ჯაოშვილი გაფორმდეს თანამესაკუთრედ. აქ შევწყვეტთ საქმის შინაარსის გამოცემას და კომენტარს გაუუკეთებთ სასამართლოს გადაწყვეტილებას.

როგორც დავინახეთ სასამართლომ დეიდა (ანა ჩაღუნელი) და მისი დისწული (თენგიზ ჯაოშვილი) სცნო პრივატიზებული ბინის თანამესაკუთრებად.

იბადება კითხვა — დასაშვებია თუ არა თანასაკუთრება ასეთ სუბიექტს შორის? თანასაკუთრება საოჯახო კანონმდებლობით დაიშვება მხოლოდ ქორწინებაში მყოფ მეუღლეთა ან საკოლმეურნეო კომლის წევრთა შორის. ყველა სხვა სუბიექტს შორის დასაშვებია მხოლოდ საერთო წილადი საკუთრება.

ასეთი ქონების მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის უფლებიდან გამომდინარე ურთირეთობანი რეგულირდება არა საოჯახო კანონმდებლობის ნორმებით, არამედ წესებით საერთო წილადი საკუთრების შესახებ (საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 112–121-ე მუხლებით)<sup>4</sup>.

ეს იმას ნიშნავს, რომ საერთო წილადი საკუთრების მონაწილეს უფლება აქვს ყველა შემთხვევაში მოითხოვოს მისი კუთვნილი წილის გამოყოფა საერთო ქონებიდან.

<sup>3</sup> ს. ჯორბენაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 164–167.

<sup>4</sup> შ. ჩიკვაშვილი, ქორწინება, ოჯახი სამართალი, თბ., 1977, გვ. 174.

უნდა ვივარაუდოთ, რომ საკითხის ამგვარი გაგების შედეგად თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ თავისი პროტესტით მოითხოვა გლდანის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა ისე, რომ სადაო ბინა პრივატიზაციისას აღირიცხოს თ. ჯაოშვილის და ა. ჩაღუნელის სახელზე თანაბარწილად. თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა პროტესტი და პრივატიზებული ბინა სცნო დეიდასა (ა. ჩაღუნელი) და დისწულის (თ. ჯაოშვილი) სახელზე თანაბარწილად. საკითხის ამგვარ გადაწყვეტასაც არ შეიძლება დავეთანხმოთ, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა არ სცნობს საერთო საკუთრების ისეთ სახეს, როგორცაა თანაბარწილობა. ჩვენი აზრით, თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმს, როგორც საქმის შინაარსიდან ირკვევა, მხედველობაში ჰქონდა საერთო საკუთრება წილთა განსაზღვრით (წილადი საკუთრება)<sup>5</sup>.

საკითხის დიდმა მნიშვნელობამ განაპირობა ისე, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ პრინციპულ მსჯელობის საგნად გახადა საკითხი იმის თაობაზე, თუ ვისი საკუთრებაა პრივატიზებული ბინა.

უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილების თავდაპირველ პროექტში გაზიარებულია გლდანის რაიონის სასამართლოს მიერ თ. ჯაოშვილისა და ა. ჩაღუნელის საქმის ირგვლივ გამოთქმული პოზიცია და მითითებულია, რომ ბინაზე „თანასაკუთრების მოთხოვნის უფლება აქვს პრივატიზაციის მომენტში ამ ფართობზე დადგენილი წესით ჩასახლებულ პირს, რომელსაც მოპოვებული აქვს სარგებლობის უფლება“.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა, ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებათა გამო არ არის სწორი და არ გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობიდან. ამიტომ, მისასალმებელია, რომ უზენაესმა სასამართლომ პლენუმზე მსჯელობის შედეგად დიამეტრალურად შეცვალა პლენუმის დადგენილების პროექტში გამოთქმული მოსაზრება და თავის 1993 წლის 22 დეკემბერს მიღებულ დადგენილებაში – „საცხოვრებელ სახლზე (ბინაზე) საკუთრების უფლების შესახებ“ – სასამართლოებს მისცა პრაქტიკულად და თეორიულად გამართლებული და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი მითითება იმის თაობაზე, რომ „ბინების პრივატიზაციისას საცხოვრებელი ბინის ოჯახის რომელიმე წევრზე საკუთრებად გადაცემისათვის აუცილებელია ოჯახის იმ სრულწლოვან წევრთა საერთო წესით დამოწმებული თანხმობა, რომლებიც პრივატიზაციის მომენტში ითვლებიან ამ ბინაზე უფლების მქონე პირებად. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში მათ უფლება აქვთ მოითხოვონ საკუთრება პრივატიზებული ბინის წილზე“.

ჩვენი საბოლოო დასკვნა ასეთია: პრივატიზებული ბინა იმის საკუთრებაა, ვისზედაც არის გაფორმებული. მეუღლე, და არა ოჯახის სხვა წევრები, რომლებმაც თანხმობა მისცეს ბინის პრივატიზაციაზე, კანონის ძალით ხდება ბინის თანამესაკუთრედ. იმ შემთხვევაში თუ ოჯახის წევრები გამოთქვამენ სურვილს, ბინა შეიძლება გადაეცეს მათ საერთოდ წილადი საკუთრების უფლებით.

<sup>5</sup> გლდანის რაიონის სასამართლოს არქივი, საქმე 2/118-92.

## გამოძიება დღეს და ხვალ

საგამოძიებო აპარატი არ არის ის სტრუქტურული ერთეული, რომლის შეცვლა შესაძლებელი იყოს მხოლოდ ბრძანებით. უნდა ითქვას, რომ იგი ცოცხალი ორგანიზმია და მის დახვეწა-ჩამოყალიბებას სჭირდება სისტემატური, ხანგრძლივი და რთული შრომა. ამ საქმის თვითდინებაზე მიშვება დაუშვებელია, უფრო მეტიც, დანაშაულია.

ამჟამად ჩვენს წინაშე დგას, ერთი შეხედვით, თითქოს უწყებრივი, მაგრამ სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანა — სამართლებრივი სახელმწიფოს აშენებისათვის მკვეთრად გარდაექმნათ საგამოძიებო საქმიანობა, დავაკომპლექტოთ დარგი მაღალკვალიფიციური, მცოდნე, კეთილსინდისიერი სპეციალისტებით. გამოძიება არ შეიძლება იყოს დამაკმაყოფილებელი თუ ერთი საქმე ძაინც იქნება გაუხსნელი. დღეს კი, საერთოდ, გამოძიების დონე არავითარ საზომით არ განიზომება. გამოძიების შემადგენელი ნაწილების, საქესპერტოტექნიკისა და მეთოდის თეორიული განვითარების საკმაო ტემპის მიუხედავად, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ გამოძიების დონე თანდათან ეცემა და თანაც აშკარად და იმაზე გაცილებით ჩქარი ტემპით, ვიდრე ეს ზოგიერთს ბიძანია. განსაკუთრებით სამწუხაროა ის გარემოება, რომ თანდათან უარესდება ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების დონე, შეიმჩნევა მათი პროფესიული შეუთავსებლობა. მატულობს საგამოძიებო კადრების დენადობაც. პრაქტიკოსი მუშაკები ზოგჯერ ამაში ბრალს დებენ უმაღლეს სასწავლებლებს. სადაც ამ კადრებს ამზადებენ, რაც, მიმაჩნია, რომ საკუთარი ბრალის სხვაგან ძებნა და არაკომპეტენტურობაა.

უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, როგორც ცნობილია ამზადებს ფართო იურიდიული პროფესიის კადრებს, და არა, მაგალითად, პროკურორს. გამოძიებელს, მოსამართლეს, ადვოკატს, რომლებსაც აქვთ საერთო იურიდიული განათლება, და არა სპეციალური, რაც მათ შემდეგ უნდა შეიძინონ სპეციალური პროფესიული მომზადების სახით, რომელიმე ორგანიზაციაში.

რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს კრიმინალისტიკურმა განყოფილებამ მიმდინარე წელს სანიმუშოდ შეისწავლა განზრახ მკვლელობის ექვსი გაუხსნელი საქმე, რომლებიც ამავე კატეგორიის სხვა საქმეებთან შედარებით უკეთესად თუ არ არის გამოძიებული, ტიპური მაინც არის და გამოხატავს გამოძიების საერთო დონეს. ანალიზისა და დასკვნების განზოგადების საიმედოობისათვის იღებენ საქმეთა რაც შეიძლება დიდ რაოდენობას, მაგრამ როგორც შესწავლილმა საქმეებმა გვიჩვენა, მათ ახასიათებთ ერთიდაიგივე ნაკლოვანებები, ამდენად თითოეული მათგანიც კი საკმარისია დაშვებულ შეცდომათა განზოგადებისათვის.

შესწავლილ საქმეებზე გამოვლინებულ შეცდომებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

1. გამოძიება ნაწარმოებია უგვემოდ; გვემის ფორმალურად არსებობის შემთხვევაშიც კი, იგი პრიმიტიულია და არ სრულდება;
2. არ ასრულებენ ზემდგომი პროკურატურების მითითებებს;
3. დაკითხვები წარმოებს უგვემოდ და არამიზნობრივად;
4. დაკითხვებს არ უკეთდება ანალიზი; არც დაკითხვის დროს და არც შემდეგ არ ხდება მათი შედარება;
5. არ ტარდება ყველა საჭირო ექსპერტიზა;
6. ექსპერტებისათვის დასმული კითხვები არასაკმარისია;
7. ბალისტიკურ ექსპერტიზას არ ეკითხებიან — გამოსაკვლევი ტყვიები და მსრები იძებნება თუ არა სხვა დანაშაულთან დაკავშირებით;
8. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმები უვარგისია;
9. არ ათვალიერებენ და არ აღწერენ ამოღებულ ნივთებს და ირღვევა მათი ამოღების საპროცესო წესი;
10. გამოძიება ნაწარმოებია უმდაბლეს დონეზე;
11. არ არის საპროკურორო ზედამხედველობა.

გარდა ამისა, გავანალიზებთ რესპუბლიკის ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის პროკურატურაში გვამების აღმოჩენის ფაქტზე შემოწმების 28 მასალა.

ამ კატეგორიის მასალები შეირჩა იმიტომ, რომ საქმის აღძვრამდე მასალების მოკრებასა და შემოწმებას თავისი საპროცესო მდგომარეობით სისხლის სამართლის საქმეზე გაცილებით უარესი პირობები აქვს, ვინაიდან არ აღძვრულ მასალებზე, ფაქტის შემოწმების დროს, პრაქტიკულად, უკეთეს შემთხვევაში, მასზე ზედამხედველობას აწარმოებს მხოლოდ ერთი პირი, რაიონის პროკურორი, ხოლო საქმის აღძვრის შემდეგ, სისხლის სამართლის საქმესთან შემხებლობა, გარდა გამოძიებლისა, აქვს გამოძიებაზე ზედამხედველ პროკურორს, ადვოკატებს, მოსამართლეებს, მსაჯულებს და სხვებს, რაც აწილობრივ იმის გარანტიას მაინც იძლევა, რომ ვინმეს მიერ გასწორდება გამოძიებლის მიერ დაშვებული ნებისითი თუ უნებლიე შეცდომები. ეს პირობები კი არ არსებობს მასალების შეკრება-შემოწმების დროს.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ვინაიდან აღნიშნულ ეტაპზე დანაშაულის ნიშნების არსებობის შემოწმება შეზღუდული საშუალებებით ხდება და თუ ესეც არ იქნება მაქსიმალურად გამოყენებული, ვერ შესრულდება გამოძიების ძირითადი მიზანი. უნდა აღინიშნოს, რომ გაანალიზებული ამოუცნობი გვატების შემოწმებული მასალებიდან არცერთზე არ ყოფილა პიროვნების დადგენის რეალური ცდაც კი. კერძოდ:

1. 28 შემთხვევიდან შემთხვევის ადგილის დათვალიერებას პროკურორი ესწრებოდა მხოლოდ 16 შემთხვევაში, მაგრამ მის მონაწილეობას შემთხვევის ადგილის დათვალიერებაზე არავითარი დადებითი გავლენა არ მოუხდენია;
2. ყველა შემთხვევის ადგილის დათვალიერება ჩატარებულია სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების დარღვევით;
3. გამოძიებლებმა გვამები დაათვალიერეს ექვს შემთხვევაში და ისიც უხარისხოდ, ხოლო დანარჩენ 22 შემთხვევაში გვამები არ დათვალიერებულან. გვამები დათვალიერებულია ყოველგვარი წესების დარღვევით;
4. ტანისამოსი დათვალიერდა მხოლოდ ოთხჯერ, ისიც უხარისხოდ;
5. კვალი იყო და არ აიღეს 10 შემთხვევაში, რაც აიღეს, ისიც არ გამოუყენებიათ;
6. არცერთ მასალაზე არ შეუდგენიათ სქემა;
7. გვამის პიროვნების დასადგენად შეტყობინებები ნაწილობრივ დაიგზავნა მხოლოდ 2 შემთხვევაში, ისიც უვარგისი ფორმით და წესის დარღვევით;

8. უცნობი გვამების კბილების მდგომარეობა აღწერეს მხოლოდ ერთ შემთხვევაში, ისიც სასამართლო-სამედიცინო ექიმ-ექსპერტმა და არაფერში არ გამოუყენებიათ;

9. გვამის კანის დეფექტი, სვირინგი აღიწერა მხოლოდ ორ შემთხვევაში. ისიც არასწორად და არც გამოუყენებიათ;

10. მიუხედავად აუცილებლობისა, არცერთხელ არ ჩატარებულა გვამის ამოცნობა;

11. ყველა საჭირო პიროვნებას ახსნა-განმარტება ჩამოერთვა მხოლოდ ერთ შემთხვევაში, ხოლო საერთოდ არავითარი ახსნა-განმარტება არ არის ჩამორჩეული სამ მასალაზე;

12. ძალადობის ამკარა ნიშნები ჰქონდა რვა გვამს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისე როგორც დანარჩენ მასალებზე, ამაზეც არ აღძრულა სისხლის სამართლის საქმე;

13. არცერთ მასალაზე არ არის საპროკურორო ზედამხედველობის კვალიც კი და ყველა დადგენილება სისხლის სამართლის საქმის არ აღძვრის შესახებ, უკანონოა.

პიროვნება თუ დადგენილი არ არის, შეიძლება აღნიშნულის უკან ამალბოდეს სხვა არანაკლები დანაშაული, მაგალითად, რომელიმე მძიმე დანაშაულისათვის ძებნილი ან თავისი პიროვნებას დამალვით დაინტერესებულ პირი, რისი არსებობის შესაძლებლობა თავისთავად საეჭვოს ხდის მასალაზე სისხლის სამართლის საქმის არ აღძვრის დადგენილების საფუძვლიანობას და ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის სსსკ მოთხოვნას. ეჭვის არსებობა აღნიშნულ შემთხვევაში მიუთითებს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არსებობაზე და იგი გამოძიებით უნდა შემოწმებულიყო.

რა შეიძლება უწოდოთ ფაქტს, როდესაც არცერთ გამოძიებელს უცნობა გვამის აღმოჩენის ფაქტზე არცერთხელ არ აუღია თითების ანაბეჭდები და არ შეუმოწმებია იგი შსს საინფორმაციო ცენტრის დაქტილოსკოპიურ რეგისტრაციაში, რისი აუცილებლობაც არასპეციალისტისათვისაც კი ცხადია.

აღნიშნული შეცდომებიდან ერთი მათგანიც კი საკმარისი იყო, რომ დანაშაული არ გახსნილიყო.

სახელმწიფო და საზოგადოება გამოძიებისაგან მოითხოვს მის იდეალურ მდგომარეობას, ნებისმიერი დანაშაულის უცილობელ გახსნას. ზოგჯერ, როდესაც წინა პერიოდთან შედარებით მომხდარი განზრახ მკვლელობის და გაუხსნელ მკვლელობის რაოდენობითი პროცენტული შეფარდება დადებითია, მას გაუმჯობესებად მიიჩნევენ, მიუხედავად დარჩენილ გაუხსნელი საქმეებისა. ასეთი საზომით მიდგომა, ჩვენი მიზნებისათვის ამკარად მუღებელია. გურამ დოჩანაშვილის ერთი ლიტერატურული გმირისა არ იყოს, ერთი ყოველთვის არ უდრის ერთს. მაგრამ, აბა, კკითხოთ გამწარებულ შეილმოკლულ დედას... აუნაზღაურებელი და უნუგეშოა მისი მწუხარება. ამაში კი, გარკვეულწილად ბრალი მიგვიძღვის ჩვენც, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლებს, ამიტომ განუსაზღვრელია ჩვენი პასუხისმგებლობა უფლისა და საზოგადოების წინაშე.

ახლა, როდესაც კანონი არ კანონობს, ჰუმანიტარული დახმარებით მიღებული პროდუქტი საკომისიო მაღაზიებში იყიდება, კაცი ღამით კი არა, დღისითაც ვერ გამოსულა გარეთ და არ იცის თუ ვისი მსხვერპლი გახდება — ფორმიანის თუ უფორმოსი, როცა არც პოლიცია გრძნობს თავს მაინცდამაინც უშიშრად, იმით დაიმედება, რომ მხოლოდ სიყვარული და სილამაზე გადაგვარჩენს, არარეალურია. ასეთ ვითარებაში, როგორც კაცობრიობის პრაქტი-

კა გვიჩვენებს, ხალხში მძლავრობს თავის გადარჩენის ინსტიქტი და თვითონვე უსწორდება დამნაშავეს. ეს ძართალია, უკანონო ქმედებაა, მაგრამ ჩვენი ბრალით იგი აუცილებელი და ლოგიკური ხდება. ის, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებას ვესწრაფვით, არ გამოირიცხავს სახელმწიფო ძალაუფლებას. ერთი სიტყვით, თუ ერი დაიღუპება, რაღად გვინდა დემოკრატია.

დღევანდელ ვითარებაში სახელმწიფო აპარატის, კერძოდ, სამართალდამცავი ორგანოების შესუსტების ყოველგვარი ცდა, ანტისახელმწიფოებრივ და ანტისახოვლოებრივ მცდელობად უნდა შეფასდეს, მითუმეტეს, როცა ეს საკანონმდებლო დონეზე ხდება.

ხანგრძლივი, სისტემატური ანალიზებისა და მეცნიერული კვლევების შედეგად, შევიმუშავეთ პროფესიული სწავლების პრაქტიკული მეთოდი და ფორმა, რაც დამყარებულია თანამედროვე პედაგოგიკის, პედაგოგიური ფსიქოლოგიის და სხვა მომიჯნავე მეცნიერებების მიღწევებზე.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, შედეგი უმნიშვნელო იყო. ერთი სიტყვით, მთელა ჩვენი მუშაობა მდინარიდან საცრით წყლის ამოღებას დაემსგავსა, ანალიზმა დაადსტურა, რომ ამ სისტემაში არ იყო პროფესიულობის მოთხოვნის ელემენტები, მხოლოდ ჩვენი ერთუზიანში კი საკმარისი არ გამოდგა ამ ძირეული საკითხის გადასაწყვეტად.

ერთი სიტყვით, პროფესიული ღონის და საერთოდ, გამოძიების ხარისხის ამღვლეების გზების პოვნა უფრო იოლი გამოდგა, ვიდრე მათი პრაქტიკულად განხორციელების შესაძლებლობა.

პროფესიონალის ძირითადი მამოძრავებელი ძალაა შესრულებული საქმით გამოწვეული თვითკმაყოფილება და მისი შრომის დაფასება — სამსახურებრივი დაწინაურება, წახალისება და სხვა. აქ კი ყველაფერი პროტექციონიზმმა დაჩრდილა, რამაც ძირი გამოუთხარა პროფესიონალიზმს.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის საგამომიებო სამმართველოს კრიმინალისტიკურმა განყოფილებამ, რაც ყოფილი გენერალური პროკურორის ბატონ თედო ნინიძის ინიციატივით შეიქმნა, ჩამოაყალიბა რესპუბლიკის პროკურატურის სისტემაში გამოძიებლების მიმართ პროფესიული მოთხოვნების ფორმა და წესი, როგორც მათი პროფესიულობის შეფასების ერთადერთი საშუალება და კრიტერიუმი. დასამტკიცებლად წარვადგინეთ გამოძიებლებისა და პროკურორების პროფესიული დახასიათების კითხვარი, სადაც, გათვალისწინებულა მათი საქმიანი მონაცემები და აუცილებელი პროფესიული თვისებები, რაც ძირითადად საფუძველი იქნება საატესტაციო კომისიის დასკვნისათვის. პროფესიულობის მკაცრი მოთხოვნა პროკურატურის სახელის გამტეხი პირებისაგან თავის დაღწევის ყველაზე უკეთესი იარაღია, რაც ხელიდან არ უნდა გაუშვათ.

მომავალში გამოძიების ერთსისტემაში მოქცევასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, დაისმება კითხვა, ვის უნდა დაევალოს გამოძიებლის პროფესიული კვალიფიკაციის ამღვლება. ერთი შეხედვით, თითქოს საამისოდ უკვე არსებობს სასწავლო დაწესებულებები, სპეციალური სკოლა, აკადემია და სხვა, მაგრამ აღნიშნული სასწავლო უწყებები, ობიექტური მიზეზების გამო, სამწუხაროდ ვერ უზრუნველყოფენ გამოძიებლების სწავლებას პრაქტიკულ საქმეებზე, ეს უკანასკნელი კი გაცილებით ეფექტიანია, ვიდრე ინფორმაციის სახით სწავლების არსებული ფორმა.

სამომავლოდ, როდესაც შეიქმნება ერთიანი საგამომიებო კომიტეტი, აუცილებლად მიგვაჩნია, გათვალისწინებულ იქნას „კრიმინალისტიკისა და ოპერატიული მუშაკების კვალიფიკაციის ამღვლების“ სამმართველო, რომელიც



დაკომპლექტებული იქნება პრაქტიკულად გამოცდილი და თეორიულად მომზადებული გამოძიებლებით. გარდა ამისა, ატესტაცია უნდა ხდებოდეს მათ დასკვნების საფუძველზე.

დღეს გამოძიების ხარისხით არაეინ არის კმაყოფილი და ერთგვარ მოდად იქცა, რომ ყველას გააჩნდეს პრეტენზია მის მიმართ, მაგრამ პირდაპირ პარადოქსია — პრაქტიკულად არაეინ ფიქრობს მის გაუმჯობესებაზე, მითუმეტეს, რომ საამისო გზა და შემსრულებელიც ცნობილია. ასეთი მდგომარეობა იქნება ვიღაცას აწყობს კიდევ, ან იქნებ მიზეზია არაკომპეტენტურობა, პირადი ინტერესი ან ორივე ერთად, ერთი კი აშკარაა — გამოძიების დღევანდელი დონე კრიტიკას ვერ უძლებს და სრული კრაზისაკენ მიექანება, ამიტომ მოგიწოდებთ ყველას, ვისაც ეს პირდაპირ თუ არაპირდაპირ ეხება, ნუ გადავდებთ დღეს გასაკეთებელს, რადგან გამოძიება არა მხოლოდ უწყებრივი საკითხი, არაძედ უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი პრობლემაა, რომელზედაც სხვასთან ერთად დამოკიდებულია ჩვენი ერის დღევანდელი თუ მომავალი ყოფა.

### **პარლან სიმონიშვილი,**

**საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს კრიმინალისტიკური განყოფილების უფროსი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი.**



ვახტანგ კაკაბიძე

## პროცესუალური სიანლა

ადოკატის პროფესიული საქმიანობა აღმოცენდა ძველ საბერძნეთის პოლისების დანაყოფებში, ფილებში. ფილები ურთიერთსაქმიანობისა და დავის დროს გამოყოფდნენ წარმომადგენელს „სინეგოროსს“ თანამოსაუბრეს, რომელსაც ევალებოდა მეორე მხარის გაცნობიერება, ფილის ინტერესების დაცვა. დროთა განმავლობაში წარმომადგენლები უფრო ქმედითნი ხდებიან, მონაწილეობენ კამათში, ყალიბდებიან მხარედ.

სამართალწარმოებაში სინეგოროსის ინსტიტუტი პროცესუალურად გავრცელებას იწყებს სოლონის კანონების შემოღების შემდეგ<sup>1</sup>.

სოლონმა არეოპაგის სასამართლო კოლეგიაში ყოფილი არქონტები შეიყვანა. არეოპაგს დაევალა კანონების შესრულების შემოწმება, დამნაშავე თანამდებობის პირთა დასჯა, სახალხო საბჭოს დადგენილების გადასინჯვა. არეოპაგი კოლეგიური განსჯის, სამართალწარმოების ორგანოდ ჩამოყალიბდა.

ამ დროიდან არეოპაგის კოლეგიური სასამართლო საჯაროდ ახორციელებდა სამართალს. პროცესის მონაწილე მხარეები ბრალდებასა და დაცვას აწარმოებდნენ პირადად მოპოვებული მტკიცებულებების მეოხებით. საქმის განხილვის პროცესში მხარეს შეეძლო დაცვიდან ბრალდებაზე გადასულიყო. ცრუ ბრალდების შემთხვევაში ბრალმდებელს პოლისიდან აძევებდნენ განსაზღვრული დროით ან სამუდამოდ<sup>2</sup>.

დანაშაულში ურთიერთმხილების, მტკიცებულებათა წარმოდგენის და კამათის დროს მხარეები სამართლის თანასწორუფლებიანი სუბიექტები იყვნენ.

ძ. წ. 462 წელს ათენის დემოსის ქომავმა ეფიალტემ სახელმწიფოში რეფორმა განახორციელა. არისტოკრატთა არეოპაგს შეუკვეცა უფლებები — აუკრძალა სახალხო კრების კანონების გადამოწმება, თანამდებობის პირთა საქმეების განხილვა. კანონების დაცვა დაევალა ხუთასთა საბჭოს, სახალხო კრებასა და სახალხო სასამართლოს. არეოპაგს მხოლოდ განზრახ მკვლელობისა და მკრეხელურ საქმეთა განხილვის უფლება დაუტოვა.

ძვ. წ. 123 წელს რომში გაიუს გრაკქუსის მიერ გატარებული კანონით შეიქმნა მუდმივმოქმედი სასამართლო, სადაც ბრალდება და დაცვა თანასწორუფლებიან მხარეებად გამოდიან. ათენის სასამართლოს მსგავსად, მხარეს უფლება ჰქონდა დაცვიდან ბრალდებაზე გადასულიყო. ემხილა მოწინააღმდეგე დანაშაულში, მოეთხოვა დასჯა და ქონებრივი ზიანის ანაზღაურება. დაცვის პოზიციიდან ბრალდებაზე გადასვლის საუკეთესო მაგალითია ციცერონის მიერ წარმოთქმუ-

<sup>1</sup> სოლონი, ძ. წ. 640-560 წწ; ათენის არისტოკრატული წრის წარმომადგენელი, ფილო-სოფოსი, პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე.

<sup>2</sup> ძ. წ. 330 წელს მაკედონური პარტიის (ფილიპე II-ის მომხრე) წარმომადგენელი ესქინე სახალხო სასამართლოში დემოსთენესთან მარცხის შემდეგ განდევნეს „უნძულ როდოსზე, სადაც გარდაიცვალა კიდეც“.

ლი სიტყვა სექსტუს როციუს ამერიელის (უმცროსის) დასაცავად. ციცერონმა ბრალმდებელი მხარე ამხილა დანაშაულის ჩადენაში.

ამდენად, მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი პრინციპები — საჯაროობა და შეჯიბრებითობა — დემოკრატიული ათენის და რესპუბლიკური რომის სამართალწარმოების დიდი მონაპოვარია.

წერილის მიზანია პროცესში მოწინააღმდეგე მხარეების ბრალდებისა და დაცვის უფლებათა დემოკრატიული საწყისების, თვითმყოფადობის მინიშნება და წარმოჩენა.

შუა საუკუნეების სამართალწარმოებაში მრავლად გვხვდება დასახელებული პრინციპებიდან გადახვევა. ინკვიზიციამ გააქარწყლა თაობათა სამართლებრივი კულტურის მონაპოვარი.

ამ მცირე ისტორიული ექსკურსიის შემდეგ განვიხილოთ კონკრეტული საკითხი.

საქართველოს რესუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1992 წლის 29 აპრილის № 14 დადგენილება „უდანაშაულობის პრეზუმფციისა და ეჭვმიტანა-ლის, ბრალდებულის, განსასჯელის დაცვის უფლების შესახებ“ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მნიშვნელოვანი რეფორმაა. ეჭვმიტანილად დაკავებული პირი 24 საათის ვადაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს მის მიერ დასახელებული ადვოკატის მოწვევით. დაუსახელებლობის შემთხვევაში მოკვლევის, გამოძიების ორგანო თვით უზრუნველყოფს საქმეში ადვოკატის მონაწილეობას.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამართალწარმოებაში ამ სიახლეს დაუ-სახელებთ ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეს, როცა პიროვნება განუკითხა-ობისა და უსამართლობის მსხვერპლი გახდა.

1979 წლის 23 დეკემბერს დააპატიმრეს გარდაბნის რაიონის მესამე სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინერი გ. გოცირიძე სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით მითვისების ბრალდებით. დანაშაულის თანამონაწილედ დასახელებული იყო სამუშაოთა მწარმოებელი.

ბრალდების ტექსტი მიუთითებდა, რომ გ. გოცირიძემ სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენა ბოროტად — თანამონაწილესთან ერთად განრიგებში ყალბად დასახელებულ სამუშაოთა აღწერით მოლარეს ბანკიდან გამოატანინა დიდი ოდენობით თანხები და მიითვისა.

მრავალ ტომად აკინძულ საქმეში არსებული დოკუმენტების საფუძველზე საბრალდებო დასკვნა გოცირიძეს ამხელდა დანაშაულის ჩადენაში.

შინაგანაწესით მთავარ ინჟინერ გოცირიძეს ევალებოდა განრიგების შედგენის სისწორის შემოწმება. თანამონაწილედ დასახელებული პირი სამუშაოთა მწარმოებელი სხვა სამშენებლო უბნის მუშაკი აღმოჩნდა. გოცირიძეს მისი განრიგების სისწორის გადამოწმება არ ევალებოდა, რადგან სამსახურეობრივად არ იყო მასთან დაკავშირებული.

ფინანსთა სამინისტროს საბუღალტრო რევიზიის შუალედური აქტით დადგენილი იყო, რომ საიჯარო ხელშეკრულებები სამშენებლო სამმართველოში წარმოადგინა სამუშაოთა მწარმოებელმა გა-მა, ხოლო მეორე სამუშაოთა მწარმოებელმა ჯა-ქემ № 2 ფორმები შეავსო შესრულებულ სამუშაოთა დასახელებით, რის შემდეგ ბანკიდან ჩვეული წესით გამოიტანეს თანხები. ეს ყალბი № 2 ფორმები გამოძიებაში გაქრა, გამოძიებლის თქმით „სადღაც დაიკარგა“.

არც რაიონულმა სასამართლომ და არც უზენაესმა სასამართლომ მხილებულ დამტაცებლებზე არ იმსჯელა თუ რატომ დაიკარგა დანაშაულის მამხილებელი დოკუმენტები.

დავას არ იწვევდა ის ფაქტი, რომ ბანკიდან სხვადასხვა დროს სამგზის გამოტანილი იყო განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხები, რომლის გამოტანაში მონაწილეობა მიიღო განრიგის შემდგენელმა, ნორმადარმა, კადრების განყოფილებამ, ტექნიკურმა განყოფილებამ, ბუღალტერიამ, მმართველმა და მოლარემ.

არც წინასწარმა გამოძიებამ და არც სასამართლო ინსტანციებმა არ ამხილეს ზემოდანსახელებული პირები. რა იყო მათ ქმედებაში — დანაშაულებრივი დაუდევრობა თუ დამტაცებელი ჯგუფის წევრთა თანამონაწილეობა?

ბრალდების მტკიცების სიმძიმე გადატანილი იყო „ალიარებით“ ჩვენებაზე, რომლის შესახებ გოცირიძემ განაცხადა: დამაპატიმრეს 23 დეკემბერს, მომათვეს ნესტიან სარდაფში. ღამდამობით საკანში უცხო პირები მცემდნენ, მაიძულებდნენ მეღიარებინა დანაშაული. მეზუთე დღეს გავხდი ცუდად და მათი კარნახით დავეწრე „ალიარება“. იმავე დღეს გადამიყვანეს საპატიმროში.

გოცირიძის ჩვენება არ გადამოწმდა, მიუხედავად იმისა, რომ დაკავების ოქმს შეუიარაღებელი თვალითაც ემჩნეოდა — 23 რიცხვი გადაკეთებული იყო 29 რიცხვად. უზენაეს სასამართლოს 1992 წლის განჩინებით გამოძიებას დაევალა დაკავების ოქმის ექსპერტიზაზე გადამოწმება. ექსპერტიზამ სიყალბე დაადასტურა.

საქმეში არსებული მასალებით ნათელი იყო რომ გოცირიძეს თავის თანამდებობრივი მდგომარეობით არ შეეძლო ბანკიდან თანხების გამოტანა, ე. ი. ცხადი იყო, რომ მმართველს, ინსპექტორს, ნორმადარს, სამუშაოთა მწარმოებელსა და მოლარეს სულაც არ სჭირდებოდათ მთავარი ინჟინერი ბანკიდან ფულის გამოტანისა და მითვისებისათვის.

სასამართლომ გოცირიძეს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. უმაღლესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიამ განაჩენი დატოვა უცვლელად ზედამხედველობის საჩივარიც ასევე უყურადღებოდ დარჩა. ტყუილად დაშვრნენ ოჯახის წევრები მავანთა კაბინეტებში სამართლის ძებნით — გოცირიძემ 9 წელი დაჰყო პატიმრობაში.

1992 წლს 8 მაისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გააუქმა განაჩენი და საქმე თბილისის საქალაქო პროკურატურას გადაუგზავნა დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად.

უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის ერთ-ერთი მითითება ეხებოდა გრაფიკული ექსპერტიზის ჩატარების საჭიროებას, რათა გარკვეულიყო გოცირიძის დაკავების თარიღი და ოქმში ამ თარიღის აღნიშვნის სისწორე.

ექსპერტიზამ შემოწმების შედეგად დაადგინა: დაკავების ოქმში რიცხვი 23 გადაკეთებულია 29 რიცხვად. ეს სიყალბე გამოძიებას დასჭირდა გოცირიძის ხუთი დღე უკანონო პატიმრობაში ყოფნის დასამალავად. იმ ხუთი დღისა, რომლის შესახებ სასამართლო ინსტანციებსა და ზედამხედველობის ორგანოებში გაგზავნილ საჩივრებში მიუთითებდა — ხუთი დღე უკანონო პატიმრობაში ყოფნის დროს გამომძალეს „ალიარება“.

უზენაესი სასამართლოს მითითებებით გადამოწმებული გარემოებები გოცირიძის სრულ უდანაშაულობას ამტკიცებდა.


1992 წლის 30 ოქტომბერს თბილისის საქალაქო პროკურატურამ გ. გოცირიძის მიმართ საქმე წარმოებით შეწყვიტა, მაგრამ ვის და როგორ შეუძლია გოცირიძისა და მისი ოჯახის წევრების მორალური ზიანის ანაზღაურება?!

ასეთია უკანონო პატიმრობის სავალალო შედეგი. სწორედ ამიტომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის ზემოთ აღნიშნული დადგენილება ყველამ საფუძვლიანად უნდა გაიცნობიეროს, რათა აღარასოდეს გამეორდეს უკანონო პატიმრობა, ძალადობა და მისი მძიმე შედეგი.

სამწუხაროდ, საგამოძიებო ორგანოს ზოგიერთი მუშაკი ვერ გაერკვა სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებაში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების საჭიროებას. საჯარო გამოსვლებში გამოთქვამენ ვარაუდს, თითქოს ადვოკატის უფლებების ზრდა ხელს შეუშლის გამოძიებას „ჭეშმარიტების“ დადგენაში. ეს ადამიანები როგორც ჩანს, ვერ ამჩნევენ იმ დიდ რეფორმებს, რომლებიც რესპუბლიკაში სოციალური ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით ტარდება.

სისხლის სამართლის პროცესის აღნიშნული რეფორმა ადვოკატს მნიშვნელოვნად უზრდის მოქმედების ფარგლებს, პასუხისმგებლობასა და მოვალეობას — იყოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების ღირსეული ქომაგი.

სამართლის რეფორმის ბუნება გვაფიქრებინებს, რომ ბრალდებისა და დაცვის ინსტიტუტების თანასწორუნარიანი და თანასწორუფლებიანი სტატუსი აღორძინებას იწყებს.



აპოლონ ფალიაშვილი

## ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის საგართლებრივი იუსტიცია: ორგანიზაცია, სტრუქტურა, ფუნქციები\*

გადაუდებელ შემთხვევაში პირის დაპატიმრება ან მისი ბინის გაჩხრეკა ხდება სასამართლო ორდერის (ბრძანების) გარეშე. ასეთ შემთხვევას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პოლიციის მუშაკმა პირს წაასწრო დანაშაულის ჩადენის დროს ან მის ჩადენისთანავე, როდესაც მნახველები მიუთითებენ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე. ბინის ჩხრეკა ხდება ამავე საფუძველზე და იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის ჩამდენი პირი მიიმალა საცხოვრებელ სახლში ან სხვა სადგომში.

დაკავებულ პირს პოლიციის მუშაკი უშუალოდ წარუდგენს მოსამართლეს ან თუ მას არ ერაცხება მძიმე დანაშაულის ჩადენა, ჩამოართმევს ხელწერილს, რომ იგი მეორე დღესვე თვითონ გამოცხადდეს მოსამართლესთან.

დაპატიმრებულს, როგორც წესი, 48 საათის განმავლობაში ათავისუფლებენ თავანის შეტანის საფუძველზე სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებამდე. ამავე დროს თავანის ოდენობა უნდა იყოს ზომიერი და იგი მძიმე მატერიალურ პირობებში არ უნდა აყენებდეს ბრალდებულს. გათავისუფლებული პირი ემზადება სასამართლოში საქმის განხილვისათვის, იღებს ზომებს გამამართლებელ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის და კონსულტაციას იღებს დამცველისაგან.

პოლიციის მუშაკი, სანამ იგი წარუდგენს დაკავებულ პირს სასამართლოს დაპატიმრების ორდერს, იგი, როგორც წესი, საკითხს უთანხმებს პროკურორს. ფედერაციული სასამართლოები უფლებამოსილნი არიან დაპატიმრების ან ჩხრეკის ორდერი გასცენ ამერიკის მთელი ტერიტორიის ფარგლებში.

ეჭვიმატინილის ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს სასამართლო ორდერის გარეშეც გადაუდებელ შემთხვევაში და პირის თანხმობის საფუძველზეც.

პოლიციის დიდ განყოფილებებში საქმის გამოძიებისათვის შექმნილია საგამოძიებო განყოფილება ან ჯგუფი, რომელთაც აკისრიათ გამოძიების ფუნქციები. მას შემდეგ, როდესაც პოლიციის მუშაკმა მიიღო ორდერი დაპატიმრების (ჩხრეკის) შესახებ, გაატარა პირი რეგისტრაციაში, ჩამოართვა მას ახსნა-განმარტება და შეაგროვა საკმარისი მტკიცებულებები, საქმის გამოძიება ფაქტობრივად მთავრდება. თუ დანაშაულის ჩადენის ფაქტი იწვევს ეჭვს და ვერ იქნა მოპოვებული საკმარისი მამხილებელი მტკიცებულებები, პოლიცია ათავისუფლებს პირს. გამოძიების დამთავრების შემდეგ, როგორც წესი, ბრალდებულმა უნდა აღძვრას შუამდგომლობა, მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი არ წყდება დადებითად.

\* დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურნ. „სამართალი“, 1993, № 11-12.

გამოძიების პროცესში წამყვან როლს ასრულებს საატორნეო სამსახური (პროკურორი, ბრალდებელი). ისინი იძიებენ რთულ და მნიშვნელოვან სისხლის სამართლის საქმეებს და ამყარებენ ძვიდრო კონტაქტს პოლიციის ორგანოებთან. პროკურორს შეუძლია გამოიყენოს ან არ გამოიყენოს პოლიციის მიერ მოპოვებული მასალები ან იგი შეავსოს საკუთარი გამოძიების მასალებით. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყება განიხილება როგორც ბრალდებლის მონოპოლიური უფლება. პროკურორი ადგენს საბრალდებო აქტს (ინფორმაციას), რომელიც მტკიცდება სასამართლო ხელისუფლების — დიდი ჟიურის (მაგისტრატის) მიერ.

თუ ატორნეი (ბრალდებელი, პროკურორი) ჩათვლის, რომ საქმის გამოძიება უნდა გავრძელდეს და ბრალდებული მიცემულ იქნას სამართალში, იგი საქმის მასალებს წარუდგენს დიდ ჟიურის (მაგისტრატს), სადაც ხდება საქმის წინასწარი განხილვა და წყდება საკითხი ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ, მაგრამ ამ ფუნქციას ფაქტობრივად ახორციელებს საატორნეო სამსახური (ბრალდებელი). მაგისტრატები თითქმის ყოველთვის იზიარებენ ბრალდებულის მოსაზრებას, რადგან მათ არ გააჩნიათ სათანადო იურიდიული მომზადება და ვერ გადაწყვეტენ საკითხს მტკიცებულებათა საკმარისობის შესახებ.

საბრალდებო დასკვნის (აქტის) პროექტს ადგენს სახელმწიფო ბრალდებელი და მას ამტკიცებს დიდი ჟიური (მაგისტრატი) და ამ დოკუმენტის საბოლოო რედაქცია შეთანხმებულ უნდა იყოს ბრალდებულთან. ამ პროცედურის შემდეგ პირი ითვლება სამართალში მიცემულად.

საერთო წესის მიხედვით პირს ბრალდება უნდა წაეყენოს მისი დაპატიმრებიდან 30 დღის ვადაში და საქმის განხილვა სასამართლოში დაიწყოს 70 დღის შემდეგ ბრალდების წაყენების მომენტიდან.

ბრალდებულის ძირითადი უფლებები ფიქსირებულია აშშ კონსტიტუციაში ან გამომდინარეობს ამ ძირითადი კანონის მოთხოვნიდან. გამომძიებელი (სასამართლო) ვალდებულია დაკითხვამდე გააფრთხილოს ბრალდებული (განსასჯელი), რომ მას შეუძლია საერთოდ არ მისცეს ჩვენება, რომ რასაც იგი იტყვის ჩვენების მიცემის დროს, შეიძლება გამოყენებული იყოს მის წინააღმდეგ. არავის არ შეუძლია აიძულოს ბრალდებული, რომ მან საკუთარი თავის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება. ბრალდებულის თხოვნით იგი ყველა შემთხვევაში უნდა დაუბრისპირონ მოწმეებს, რომლებმაც მის საწინააღმდეგოდ მისცეს ჩვენება. ბრალდებულს უფლება აქვს იძულებითი წესით გამოაძახებინოს ის მოწმეები, რომლებიც იძლევიან ჩვენებას მის სასარგებლოდ. ბრალდებულს უნდა ეცნობოს იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც გახდა საფუძველი მისი დაპატიმრებისათვის ან ჩხრეკისათვის. ბრალდებულს დაკითხვამდე ასევე უნდა განემარტოს, რომ მას უფლება აქვს აიყვანოს დამცველი და თუ მას ამის მატერიალური საშუალება არა აქვს, უფასოდ დაენიშნება დამცველი. ბრალდებულს (განსასჯელს) უფლება აქვს მოითხოვოს ღია, ობიექტური, სამართლიანი სასამართლო და საქმის სწრაფად განხილვა.

იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული პასუხს არ გასცემს შეკითხვებზე და მოითხოვს დამცველის დაშვებას, დაკითხვა უნდა შეწყდეს დამცველის დაშვებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ჩვენება არ განიხილება როგორც მტკიცებულება. დამცველის მონაწილეობა საქმეში შეიძლება გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის ყველა შემთხვევაში: ეჭვმიტანილის პოლიციაში დაკითხვის, ამოცნობის, საქმის გამოძიების, სამართალში მიცემის, საქმის სასამართლოში განხილვის დროს. დამცველის მონაწილეობა დაშვებულია არა მარტო ფელონიის საქმეებზე (მძიმე დანაშაულთა საქმეებზე, როდესაც სასჯე-

ლის სახით შეიძლება გამოყენებულ იყოს თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით და ერთ წელზე მეტი ვადით), არამედ მისდამინორის საქმეებზე (მარტივი საქმეები, როდესაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე). ბრალის აღიარება უნდა მოხდეს დამცველის დასწრებით.

ბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი ღონისძიების განხორციელება, როგორცაა ელექტრონული მეთვალყურეობა ანუ სატელეფონო და სხვა სალაპარაკო საშუალებათა მოსმენა. უმრავლეს შტატში (გარდა 22 შტატისა) არსებული კანონმდებლობისა და აშშ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად დაშვებულია სატელეფონო საუბრების მოსმენა დანაშაულის გახსნასთან დაკავშირებით სასამართლოების მიერ გაცემული ორდერის (ბრძანების) საფუძველზე. ყველა შემთხვევაში გამოძიებლის შუამდგომლობა სატელეფონო საუბრების მოსმენის შესახებ დაწვრილებით უნდა იყოს დასაბუთებული და ასევე უნდა იყოს მოტივირებული სასამართლოს მიერ გაცემული ორდერი (ბრძანება) სატელეფონო საუბრების მოსმენის შესახებ. ორდერი გაიცემა მხოლოდ ერთი თვით და თუ შემდგომში საჭიროა გაგრძელდეს სატელეფონო საუბრას მოსმენა, ხელახლა უნდა გადაწყდეს საკითხი ორდერის გაცემის შესახებ.

სატელეფონო საუბრების მოსმენა გათანაბრებულია ჩხრეკასთან და მისთვის დაწესებულია ისეთივე პროცესუალური რეჟიმი, როგორც ბინის ჩხრეკის ჩატარებისათვის. სატელეფონო საუბრების მოსმენა გამოიყენება მხოლოდ ფელონის საქმეებზე, ორგანიზაციული დანაშაულისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა საქმეებზე. ცალკეულ გადაუდებელ შემთხვევაში სატელეფონო საუბრების მოსმენა შეიძლება მოხდეს ორდერის გაცემის გარეშეც, მაგრამ 48 საათის განმავლობაში სასამართლოს წინაშე უნდა დაიხვას საკითხი ორდერის გაცემის შესახებ. ასეთ პრაქტიკას ძირითადად ადგილი აქვს ისეთ დანაშაულზე, რომელიც ხელყოფს სახელმწიფო უშიშროებას, მაგრამ ეს საკითხი შეთანხმებული უნდა იყოს აშშ ან შტატების გენერალ-ატორნებისთან<sup>6</sup>.

**3. სასამართლო სისტემა და საქმის განხილვის ძირითადი საკითხები.** აშშ-ში არ არსებობს ერთიანი სასამართლო სისტემა. ზემდგომი სასამართლოები არაერთარ ადმინისტრაციულ კონტროლს არ ახორციელებენ ქვემდგომი სასამართლოების მიმართ. თითოეული შტატის ადმინისტრაცია განსაზღვრავს სასამართლო სისტემას და საქმის განხილვის წესს შტატის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შესაბამისად.

სასამართლო სისტემა ამერიკაში იყოფა სამ რგოლად: ფედერაციული სასამართლოები, შტატისა და ადგილობრივი სასამართლოები.

**ფედერაციული სასამართლო სისტემა.** ამ სისტემის სასამართლოებს მიეკუთვნება აშშ უზენაესი სასამართლო, სააპელაციო სასამართლოები, ოლქის (რაიონის) სასამართლოები და სპეციალური სასამართლოები.

ამერიკის უზენაესი სასამართლო წარმოადგენს სასამართლო სისტემის უმაღლეს რგოლს. მისი ცხრა წევრი ინიშნება სამუდამოდ (მანამ მათი ქცევა არის უმწიკლო) აშშ პრეზიდენტის მიერ სენატის თანხმობით, 9 მოსამართლიდან ერთ.

<sup>6</sup> См. Бастрыкин А. И., Борьба с организованной преступностью в США, «Правоведение», 1992, № 3, с. 78; Мишин А. А., Власихин В. А., Конституция США (политико-правовой комментарий), М., 1985, с. 218—222; Николаичик В. М., Уголовный процесс США, М., 1981, с. 113—116; Лубенский А. И., Предварительное расследование по законодательству капиталистических государств, М., 1977, с. 63—65.



ერთი ინიშნება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ. უზენაესი სასამართლო საქმეებს იხილავს პირველი ინსტანციის (გამონაკლის შემთხვევებში), სააპელაციო, მის მიერ საქმეების გამოთხოვის და დამოწმების (დასტურის) წესით.

აშშ კონსტიტუცია (მუხლი 3, განყოფილება 2) განსაზღვრავს უზენაესი სასამართლოს განსჯად საქმეებს პირველი ინსტანციის წესით, რომელსაც განეკუთვნება დანაშაულის ჩამდენი ელჩების, სრულუფლებიანი წარმომადგენლების, კონსულების მიერ; აგრეთვე საქმეებს, რომელზედაც ერთ-ერთ მოდავე მხარეს წარმოადგენს შტატები. სააპელაციო წესით აშშ უზენაესი სასამართლოს განსახილველად ექვემდებარება შტატების უზენაესი სასამართლოების მიერ განხილული საქმეები იმ შემთხვევაში, როდესაც შტატის კანონები ან ხელშეკრულებები ცნობილია ფედერაციული ნორმების კანონსაწინააღმდეგოდ; როდესაც სააპელაციო წესით გასაჩივრებულია ქვემდგომი ფედერაციული სასამართლოების გადაწყვეტილებანი; როდესაც შტატის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ეწინააღმდეგება ფედერაციულ კანონმდებლობას. გამოთხოვის წესით უზენაესი სასამართლო იხილავს საქმეებს თავისი ინიციატივით, როდესაც ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებებით დარღვეული და შელახულია ფედერაციული კონსტიტუციით დადგენილი უფლებები. დამოწმების (დასტურის) წესით აშშ უზენაესი სასამართლო იხილავს საქმეებს იმ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო სასამართლოები მას გადასცემენ საქმეებს იმ მიზნით, რომ დამოწმდეს (დადასტურდეს) უზენაესი სასამართლოს მიერ რომელიმე სამართლებრივი საკითხის სისწორე კონკრეტულ საქმეზე.

აშშ უზენაესი სასამართლო ახორციელებს აგრეთვე საკონსტიტუციო ზედამხედველობას და საქმეთა განხილვის შედეგად წყვეტს საკითხს, თუ რამდენად შეესაბამება ფედერაციულ კონსტიტუციას პარლამენტის მიერ მიღებული კანონები, ქვემდგომი სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას ენიჭება პრეცედენტის სტატუსი და მისი გადაწყვეტილება შეიძლება იყოს გამოყენებული სხვა საქმეთა გადაწყვეტის დროს. უზენაესი სასამართლოში საქმის განხილვასთან დაკავშირებით გარკვეული პრივილეგიური მდგომარეობა უკავია აშშ გენერალ-სოლიტორს (იუსტიციის მინისტრის მოადგილე), რომელიც იცავს ამერიკის მთავრობის ინტერესებს უზენაესი სასამართლოში. ამერიკის მთავრობას, როგორც წესი, აპელაციის შეტანა შეუძლია უზენაესი სასამართლოში გენერალ-სოლიტორის თანხმობით.

საკითხის გადაწყვეტა უზენაესი სასამართლოში ხდება ხმის უმრავლესობით. საკითხის გადაწყვეტის დროს ქვორუმს შეადგენს 9-დან 6 მოსამართლე. აშშ უზენაესი სასამართლო თავისი ფუნქციების განხორციელებას იწყებს ყოველი წლის ოქტომბრის თვის პირველ ორშაბათს და წყვეტს თავის საქმიანობას ივნისის თვის ბოლოსათვის. უზენაესი სასამართლო მდებარეობს ქ. ვაშინგტონში აშშ კონგრესის მოპირდაპირე მხარეს<sup>7</sup>.

ფედერაციული სასამართლოების შემდგომ რგოლს წარმოადგენს ფედერაციული სააპელაციო სასამართლოები. აშშ ამ სასამართლოთა რიცხვი იყო 11, ამჟამად არის 13. ამერიკის მთელი ტერიტორია დაყოფილია ფედერაციულ ოლქებად. ამ სასამართლოების მოსამართლეებს ნიშნავს პრეზიდენტი მუდმივად სე-

<sup>7</sup> См. Джинджер Э. Ф., Верховный Суд США и права человека в США, 1991, № 9, с. 28—31; Карлен Д., Американские суды: система и персонал, М., М., 1981; Егоров С., Верховный Суд США. «Вестник Верховного Суда СССР», 1972, с. 29—42; Мишин А. А., Власихин В. А., Конституция США (политико-правовой комментарий), М., 1985, с. 129—131.

ნატის თანხმობის საფუძველზე. ასაკობრივი ცენზის მაქსიმუმი არის 70 წელი. სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა რიცხვი დამოკიდებულია ამ სასამართლო ოლქების მოსახლეობის რიცხვზე და დანაშაულთა ჩადენის რაოდენობაზე. სააპელაციო სასამართლოების მთავარ ამოცანას წარმოადგენს ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებულ საქმეთა განხილვა სააპელაციო წესით. ამ სასამართლოთა გადაწყვეტილება, როგორც წესი, არის საბოლოო და გასაჩივრებას არ ექვემდებარება (გამონაკლისს შეადგენს შემთხვევები, როდესაც ამ სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივრდება აშშ უზენაეს სასამართლოში).

ფედერაციულ სასამართლოებს განეკუთვნება აგრეთვე საოლქო სასამართლოები (ზოგ შემთხვევაში ამ სასამართლოებს ეწოდება რაიონის სასამართლო). ამ სასამართლოთა მოსამართლეებს ნიშნავს პრეზიდენტი სენატის თანხმობის საფუძველზე. ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში არის 95 საოლქო ფედერაციული (რაიონის) სასამართლო, ყოველ შტატში არის ერთი ასეთი სასამართლო მაინც, დიდ შტატებში კი 3-4 სასამართლო. ეს სასამართლოები იხილავენ საქმეთა დიდ უმრავლესობას, რომლებიც ეხებიან აშშ ფედერაციული კონსტიტუციის, ფედერაციული კანონების და ხელშეკრულებების დარღვევას და სხვა ფედერაციული იურისდიქციის საქმეებს. ამ სასამართლოებში განიხილება როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმეები. როგორც წესი, საქმეები იხილება ერთპიროვნულად მოსამართლის მიერ. ოლქის (რაიონის) სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საპელაციო სასამართლოში.

ფედერაციული სასამართლოების სტატუსით სარგებლობს აგრეთვე სხვა სახის სპეციალიზირებული სასამართლოები, რომლებიც განიხილავენ საქმეებს განსაკუთრებული იურისდიქციის საფუძველზე. ამ სასამართლოებს განეკუთვნება: საპრეტენზიო სასამართლო (პალატა), რომელიც იხილავს მოქალაქეთა ქონებრივი სახის პრეტენზიებს კონგრესისა და მთავრობის მიმართ. საბაჟო სასამართლოები, რომლებიც იხილავენ საბაჟო სფეროში ჩადენილ დანაშაულის საქმეებს. საგადასახადო სასამართლოები, რომლებიც იხილავენ ფედერაციული კანონმდებლობით დაწესებულ გადასახადების სფეროში ჩადენილ დანაშაულს. სამხედრო სასამართლოები კი იხილავენ სამხედრო მსახურთა მიერ ჩადენილ დანაშაულს. სამხედრო სასამართლოს ზემდგომ ორგანოს წარმოადგენს სამხედრო-სააპელაციო სასამართლო, რომელიც არის უმაღლესი ინსტანცია და მოქმედებს თავდაცვის სამინისტროში.

**შტატების სასამართლო სისტემა.** ამ სისტემას განეკუთვნება შტატების უზენაესი სასამართლოები, სააპელაციო სასამართლოები, პირველი ინსტანციის სასამართლოები და ქვემდგომი სასამართლოები.

შტატების უზენაესი სასამართლოები (ზოგ შტატში მას ჰქვია სააპელაციო სასამართლო) წარმოადგენენ სასამართლო სისტემის უმაღლეს რგოლს. ამ სასამართლოს მოსამართლეები ინიშნებიან გუბერნატორის მიერ, ირჩევიან სხვადასხვა ვადით სხვადასხვა შტატებში ან ინიშნებიან მუდმივად. მოსამართლეთა რაოდენობა არის მცირე 3-დან 9 მოსამართლე; შტატის უზენაესი სასამართლოები იხილავენ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს, როგორც მეორე ინსტანციის სასამართლოები, აგრეთვე ცალკეულ კატეგორიის საქმეებს — პირველი ინსტანციის წესით. მათ უფლება აქვთ აგრეთვე შეამოწმონ თუ რამდენად შეესაბამება კანონები, ხელშეკრულებები შტატის კონსტიტუციას და შეიმუშაონ სამართალწარმოების წესები.

ცალკეულ შტატებში მოქმედებს აგრეთვე შტატის სააპელაციო სასამართ-

ლოები სხვადასხვა სახელწოდებით (საოლქო სასამართლო, რაიონის სასამართლო). სააპელაციო სასამართლოები შექმნილია ყველა შტატში. ზოგიერთ დიდ შტატში იქმნება რამდენიმე სააპელაციო სასამართლო. ეს სასამართლოები ზოგჯერ (იშვით შემთხვევაში) იხილავენ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს პირველი ინსტანციის წესით, მაგრამ მათი ძირითადი დანიშნულებაა სააპელაციო წესით საქმეების განხილვა ქვემდგომი სასამართლოების მიერ გამოტანილ განაჩენებზე და გადაწყვეტილებებზე.

შემდგომ საფეხურს წარმოადგენს ადგილობრივი სასამართლოები, რომლებიც განეკუთვნებიან სასამართლო სისტემის ძირითად რგოლს და იხილავენ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების დიდ უმრავლესობას. ეს სასამართლოები მოქმედებენ გარკვეულ ოლქში (ქალაქში) საგრაფოებში. ზოგჯერ მათი იურისდიქცია ვრცელდება რამდენიმე საგრაფოზე. ეს სასამართლოები გამოდიან, როგორც წესი, პირველი ინსტანციის სასამართლოებად; ზოგ შემთხვევაში (ზოგიერთ შტატში) ისინი იხილავენ საქმეებს სააპელაციო წესით ქვემდგომი სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენებზე და გადაწყვეტილებებზე. ეს სასამართლოები, როგორც წესი, იხიმნებიან და ფინანსდებიან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ.

მცირემნიშვნელოვან საქმეთა განხილვას აწარმოებენ ადგილობრივი სასამართლოები (მომრიგებელი მოსამართლე, მუნიციპალიტეტის სასამართლო, პოლიციის სასამართლო). ეს სასამართლოები იხილავენ მისდამინორის საქმეებს (თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე ან ჯარიმა ათას დოლარამდე და სამოქალაქო სამართლის საქმეებს, როდესაც სარჩელის თანხა არ აღემატება ათას დოლარს). პოლიციის სასამართლო იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს, ხოლო მომრიგებელი მოსამართლე, როგორც წესი — სამოქალაქო სამართლის საქმეებს. ამ სასამართლოებში საქმეები იხილება მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად<sup>8</sup>.

**საქმის სასამართლოში განხილვის ძირითადი საკითხები.** ამერიკის შეერთებულ შტატებში საქმის სასამართლოში განხილვის ორი ფორმა არსებობს: ჯამური (გამარტივებული) წარმოება, როდესაც საქმეს იხილავს მოსამართლე ერთპიროვნულად და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში საქმის განხილვა (კოლეგიური წესი).

**საქმის წარმოება მაგისტრატების სასამართლოში.** აშშ მაგისტრატები, როგორც წესი, ირჩევა. ფედერაციული მაგისტრატები კი ინიშნება 8 წლით საოლქო ფედერაციული სასამართლოს მიერ, მაგრამ მაგისტრატი არ უნდა იყოს ნათესაურ კავშირში საოლქო ფედერაციული სასამართლოს წევრებთან, რაც იძლევა მისი ობიექტურობისა და დამოუკიდებლობის გარანტიას.

მაგისტრატების სასამართლოს განსახილველად ექვემდებარება მარტივი სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეები, თუ ამის თანახმა არის ბრალდებული და მისი დამცველი. თუ დამცველი წამოაყენებს სასამართლოში დასაბუთებულ მოსაზრებას, საქმე განსახილველად შეიძლება გადაეცეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს.

საქმის უშუალო განხილვამდე (მტკიცებულებათა გამოკვლევამდე) მაგისტრატი ისმენს პოლიციის მიერ შედგენილ ოქმს (ინფორმაციას), რომელშიც ჩამოყალიბებულია ბრალდების დასაბუთება, ამოწმებს ბრალდების საფუძვლიანო-

<sup>8</sup> См. Карлен Д., Американские суды: система и персонал, М., 1972; Гученко К. Ф., Уголовная юстиция США, М., 1979, с. 24—44; Филиппов С. В., Судебная система США, М., 1980; Судебные системы западных государств, М., 1991, с. 60—89.

ბას, ბრალდების მასალების სისრულეს, ყოველმხრივობას და ობიექტურობას. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, საქმის განხილვა ფაქტობრივად არ იწყება, მოწმდება მხოლოდ ბრალის აღიარების ნებაყოფლობითი ხასიათი და მოსამართლეს გამოაქვს განაჩენი. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე მოისმენს ბრალდების მხარის ჩვენებებს (პოლიციელი, დაზარალებული, ბრალდების მოწმეები). შემდგომ განსასჯელის ჩვენებას, დაცვის მხარის მოწმეთა ჩვენებებს, დამცველის მოსაზრებას. მოსამართლეს შეუძლია გამოუძახოს და დაკითხოს ახალი მოწმეები როგორც თავისი ინიციატივით, ისე მხარეთა თხოვნის საფუძველზე. მოსამართლე იკვლევს აგრეთვე საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს. საქმის არსებითად განხილვის შედეგად მოსამართლეს გამოაქვს განაჩენი.

**საქმის წარმოება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში.** აშშ კონსტიტუციის V შესწორება ითვალისწინებს საქმის წინასწარ განხილვას და ბრალდებულის სამართალში მიცემას დიდი ჟიურის მიერ. დიდი ჟიური ანუ ნაფიც მსაჯულთა გაფართოებული კოლეგია 16-23 პირის შემადგენლობით, როგორც კოლეგიური ორგანო, წყვეტს ბრალდებულის სამართალში მიცემის საკითხს. ზოლო მცირე ჟიური ანუ ნაფიცი მსაჯულები 12 პირის შემადგენლობით მონაწილეობენ საქმის სასამართლოში განხილვის დროს და წყვეტენ ბრალეულობის ან არაბრალეულობის საკითხს (ცალკეულ შტატებში ნაფიც მსაჯულთა რიცხვი შეიძლება იყოს ნაკლები. ფლორიდას შტატში, მაგალითად, დაწესებულია 6 ნაფიცი მსაჯულის მონაწილეობა საქმის განხილვაში). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ შტატებში გაუქმებულია დიდი ჟიურის ინსტიტუტი და ამ ფუნქციას ახორციელებს საოლქო საატორნეო ან რაიონის საატორნეო სამსახური. ამჟამად კი დგას საკითხი იმის შესახებ, რომ საერთოდ გაუქმდეს დიდი ჟიურის ინსტიტუტი.

დიდი ჟიურის წესით ბრალდებულის სამართალში მიცემა ხდება ფელონიის საქმეებზე (ერთ წელზე მეტი თავისუფლების აღკვეთა ან დახვრეტა), მაგრამ ბრალდებულს და მის დამცველს უფლება აქვთ უარი განაცხადონ ამ წესით საქმის განხილვაზე.

დიდი ჟიური იკრიბება ატორნიის მოთხოვნის ან ბრალდებულისა და მისი დამცველის შუამდგომლობის საფუძველზე. დიდი ჟიურის სხდომები არის დახურული, არ დგება სხდომის ოქმი, მოწმეებს არა აქვთ უფლება საქმის მოსმენის დროს კონსულტაციები მიიღონ დამცველისაგან.

სასამართლოს კლერკი (მოსამართლის თანაშემწე) ან ბრალმდებელი აქვეყნებს საბრალდებო აქტის პროექტს, რის შემდეგ ბრალმდებელი იძლევა განმარტებას ბრალდების დამტკიცების საკითხებზე, ახდენს მტკიცებულებათა ანალიზს. ამ დროს შეიძლება გამოიძახონ მოწმეები მათი დაკითხვის მიზნით. დიდი ჟიურის წინაშე ჩვენებათა მიცემა ხდება ფიცის ქვეშ და ცრუ ჩვენების მიცემის შემთხვევაში შეიძლება დაისვათ საკითხი პასუხისმგებლობის შესახებ. დიდი ჟიურის ამოცანაა გადაწყვიტოს საკითხი ბრალდებულის პასუხისმგებლობაში მიცემის კანონიერების, მტკიცებულებათა საკმარისობისა და გამოძიების ობიექტურობის შესახებ.

დიდი ჟიურის სხდომებზე წამყვანი როლი ეკუთვნის ბრალმდებელს, რომელიც უდგენს დიდ ჟიურის მის მიერ შედგენილ საბრალდებო აქტის პროექტს და უმტკიცებს მას წაყენებული ბრალდების საფუძველიანობას. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში დიდი ჟიური ამტკიცებს საბრალდებო აქტს, რომლის საბოლოო ტექსტს უთანხმებს ბრალმდებელს. დიდი ჟიური იღებს გადაწყვეტილებას ხმის უბრალო უმრავლესობით და მისი გადაწყვეტილების შე-

დეგებს აფიქსირებს საბრალდებო აქტში. საბრალდებო აქტის დამტკიცებაში ნავს ბრალდებულის სამართალში მიცემას, რის შემდეგ უკვე იწყება საქმის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში განხილვისათვის მომზადება.

ნაფიც მსაჯულად შეიძლება იყოს აშშ მოქალაქე, რომელიც მონაწილეობს არჩევნებში და არ არის საქმის შედეგებით დაინტერესებული პირი. მათი არჩევა არ ხდება, არამედ დეგბა სიები მოსამართლის (მოსამართლის თანამშემწის – კლერკის) უშუალო მონაწილეობის საფუძველზე. ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა საქმის განხილვაში გათვალისწინებულია კონსტიტუციის VI შესწორებით.

თანამედროვე პირობებში მთელი სერიოზულობით დგას საკითხი, რომ შემცირდეს ნაფიც მსაჯულთა რაოდენობა ან საერთოდ გაუქმდეს იგი და მის ნაცვლად გაიზარდოს პროფესიულ მოსამართლეთა რიცხვი რთულ და მნიშვნელოვან საქმეთა განხილვისათვის. საქმეები, რომელსაც იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ამჟამად არ აღემატება 5-6 პროცენტს.

ნაფიცი მსაჯულების შერჩევის წესი გამოიხატება იმაში, რომ მათ ეგზავნებათ გამოკითხვის ფურცელი და ამ ფურცელში დასმულ საკითხებზე უნდა გაეცეს პასუხები. ნაფიც მსაჯულებად არ უნდა იყვნენ მოწვეულნი სამართალდამცველი ორგანოების მუშაკები; ისეთი პროფესიის მქონე პირები, რომლებსაც არ შეუძლიათ გარკვეული დროით მიატოვონ თავიანთი სამსახური (რკინიგზის, საზღვაო, საავიაციო დარგის მუშაკები, ექიმი – ქირურგები, მცირეწლოვან ბავშვთა დედები და ა. შ.).

სასამართლოში გამოიძახებიან მსაჯულთა გაცილებით მეტი რაოდენობა (30-35), რომელთა შორის უნდა იყოს შერჩეული 12. მსაჯულებს უფლება აქვთ განაცხადონ თვითაცილება, მაგრამ ეს ხდება იშვიათად, რადგან მსაჯულები-სათვის საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღება ითვლება საპატიო მოვალეობად.

მსაჯულთა კანდიდატებს შეკითხვას აძლევს ბრალმდებელი, დამცველი, მოსამართლე მათი ობიექტურობის საკითხის გარკვევის მიზნით. კერძოდ, როგორია მათი ნათესაური კავშირები, მეგობრობა ან მტრობა საქმის განხილვაში მონაწილე პირებთან (მოსამართლე, ბრალმდებელი, განსასჯელი, დამცველი, დაზარალებული და ა. შ.); მათ მიერ განსახილველი საქმის ცოდნა და მათი წინასწარი მოსაზრება საქმის ირგვლივ; მათი სამსახურის ადგილი და თანამდებობა; მათი შეხედულება თავისუფლებაზე, თავისუფლების აღკვეთაზე, სასჯელის უმაღლეს ზომაზე – დახვეწაზე და ა. შ. მსაჯულისადმი განცხადებული აცილება, როგორც წესი, უნდა დასაბუთდეს, მაგრამ ბრალდების და დაცვის მხარეს უფლება აქვთ ერთ მსაჯულს განუცხადონ აცილება ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. მსაჯულთა აცილების საკითხს საბოლოოდ წყვეტს მოსამართლე.

მსაჯულები დებენ ფიცს და იკავებენ სასამართლო სხდომის დარბაზში მათთვის განკუთვნილ ადგილს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქმის განხილვის პროცესში ნაფიცი მსაჯულები არიან ქალზე პასიურნი, ისინი ფაქტობრივად გამოდიან მაყურებლის როლში და არც კი აძლევენ შეკითხვებს ბრალდებისა და დაცვის მხარეებს.

სასამართლოში საქმის განხილვის დროს მტკიცედ არის დაცული შეჯიბრებითობის პრინციპი და თვით მოსამართლე ლეზულობს თავის თავზე ამ პრინციპის რეალურ განხორციელებას.

ბრალდების ტვირთი სასამართლოში აწევს ბრალმდებელს, ამიტომ პირველად მას ეძლევა საშუალება წარუდგინოს სასამართლოს ბრალდების მტკიცებულებები, დაკითხოს ბრალდების მოწმეები იმ თანამიმდევრობით, როგორც ამას ჩათვლის ბრალმდებელი. ამავე დროს ბრალმდებელი ვალდებულია გაამახვილოს

ყურადღება იმ მტკიცებულებებზეც, რომელიც მიმართულია განსასჯელის სასარგებლოდ. ბრალმდებელს უფლება აქვს მოსამართლის თანხმობით გამოიძახოს სასამართლოში საქმის განხილვის დროს ახალი მოწმეები, მოახდინოს ნივთიერი მტკიცებულებათა დათვალიერება, მოითხოვოს ექსპერტიზის დასკვნის გამოქვეყნება და ა. შ.

დაცვის მხარეს (განსასჯელს და მის დამცველს) ეძლევა სიტყვა ბრალმდებელის გამოსვლის შემდეგ. დაცვის მხარე ვალდებულია გაამაზვილოს ყურადღება ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებებზე და მტკიცებულებებზე, რომლებიც მიუთითებს განსასჯელის უდანაშაულობაზე ან ამსუბუქებს მის ბრალს. ამავე მიზნით დამცველი ან განსასჯელი მოითხოვს მოწმეთა დაკითხვას და ყველა იმ მტკიცებულებათა დათვალიერებასა და გამოქვეყნებას (ნივთიერი მტკიცებულებები, დოკუმენტები, ექსპერტის დასკვნა, მოწმეთა ჩვენება), რომლებიც მიუთითებენ განსასჯელის სასარგებლოდ.

მოწმეთა დაკითხვის, მტკიცებულებათა გამოთხოვის, მათი გამოქვეყნების უფლებით სარგებლობს მოსამართლე, რომელიც ხელმძღვანელობს და წარმართავს სასამართლო პროცესს, მაგრამ ამ უფლებით იგი სარგებლობს იშვიათ შემთხვევაში. მოსამართლის ძირითადი მოვალეობაა წარმართოს პროცესი, უზრუნველყოს შეჯიბრებითობის პრინციპით დაცვა, დაამყაროს სასამართლო დარბაზში წესრიგი და დისციპლინა.

ბრალდებისა და დაცვის მხარეთა გამოსვლის შემდეგ მათ უფლება ეძლევათ შეკითხვები მისცენ ერთმანეთს და გაარკვიონ ის საკითხები, რომლებიც არაერთგვარად იყო გაშუქებული ბრალმდებლისა და დაცვის მხარის მიერ; გამოთქვან თავიანთი მოსაზრება საქმის ირგვლივ. ამავე დროს ორივე მხარე ინარჩუნებს რეპლიკის უფლებას.

როდესაც მოსამართლე ჩათვლის, რომ სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს გარკვეულია საქმის ფაქტობრივი მდგომარეობა, გამოკვლეულია ყველა მტკიცებულება, იგი წარმოთქვამს სადამრიგებლო (საინსტრუქციო) სიტყვას ნაფიცი მსაჯულებისათვის. განუმარტავს ნაფიც მსაჯულებს უფლებებს, მოუწოდებს ობიექტურად და სრულყოფილად შეაფასონ მტკიცებულებები და გამოთქვან თავიანთი მოსაზრება განსასჯელას უდანაშაულობისა თუ დამნაშავეობის შესახებ (გამოიტანონ ამის შესახებ ვერდიქტი).

აშშ მიღებულია, რომ თუ საკათხი ეხება სასჯელის უმაღლესი ზომის დახვრეტის გამოყენებას, ვერდიქტი უნდა იყოს მიღებული ერთხმად. სხვა შემთხვევაში, როგორც წესი, ნაფიცი მსაჯულების მიერ ვერდიქტის მიღება ხდება კვალიფიციური უმრავლესობით ან ხმის უბრალო უმრავლესობით.

ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტი ცხადდება სასამართლო სხდომის დარბაზში, რის შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს (როგორც წესი, ორი კვირის ვადაში) განაჩენი სასჯელის დანიშვნით ან ათავისუფლებს მსჯავრდებულს გამამართლებელი ვერდიქტის გამოტანის შემთხვევაში. თუ მოსამართლე ჩათვლის, რომ მსაჯულთა ვერდიქტი არის არასწორი ან არაობიექტური, მას შეუძლია მოითხოვოს საქმის ხელახალი განხილვა ახალ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

განსაკუთრებულ აღნიშვნას მოითხოვს განსასჯელის მიერ ბრალის აღიარების საკითხი. აშშ ბრალის აღიარების შემთხვევაში მიმდინარეობს საქმის გამარტივებული განხილვა და ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის გამოტანა საჭირო არაა. ბრალის აღიარება განიხილება, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება. სასამართლოს ვალდებულებას ასეთ შემთხვევაში წარმოადგენს ის, რომ

გაარკვეოს, რამდენად ნებაყოფლობითი იყო ბრალის აღიარება, ხოშ არ ჰქონდა ამ შემთხვევაში ადგილი იძულებას.

საქმეების განხილვა ბრალის აღიარებით იმდენად გავრცელებულია ამერიკაში, რომ საქმეთა დიდი უმრავლესობა (80-90%) იხილება ბრალის აღიარებით. ამ მიზნით ხდება ბრალმდებელისა და დამცველის წინასწარი შეხვედრები, მათი პოზიციების გარკვევა და შეთანხმების მიღწევა ბრალის აღიარების საკითხზე.

ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა ითვალისწინებს განაჩენის გასაჩივრების უფლებას დაინტერესებულ მხარეთა მიერ. საქმის განხილვის სააპელაციო წესი შეიცავს აგრეთვე საკასაციო წესით საქმის განხილვის ელემენტებსაც. სააპელაციო წესით საქმის განხილვა ძირითადად ხდება მსჯავრდებულის ბრალეულობის საკითხის გარკვევის მიზნით. სააპელაციო წესით საქმის განხილვის შედეგად შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს სასამართლოს განაჩენი, ძალაში დარჩეს ან გამოიტანონ ახალი განაჩენი საქმის არსებითი განხილვის საფუძველზე<sup>9</sup>.



<sup>9</sup> См. Николайчик В. М., Уголовный процесс США, М., 1981; Власихин В., Служба обвинения в США: Закон и политика, М., 1981, с. 137—140; Уайнреб Л. Л., Отказ в правосудии. Уголовный процесс в США, М., 1985, с. 92—160; Ковалев В., Сделки в уголовном процессе США, «Социалистическая законность», 1985, № 8, с. 74—75; Поморски С., Американские суды и следствие по уголовным делам: 4-ая поправка конституции США, «Советское государство и право», 1990, № 10, с. 108—111; Гуценко К. Ф., Суд присяжных: панацея или иллюзия? «Вестник Верховного суда СССР», 1991, № 3, с. 31—34.

## გაეროს ლტოლვილთა დახმარების უმაღლესი კომისარიატის სემინარი

1946 წელს გენერალური ასამბლეის პირველმა სესიამ მიიღო გადაწყვეტილება რითაც საფუძველი ჩაეყარა გაეროს საქმიანობას ლტოლვილთა დასაცავად. იმავე წელს შეიქმნა ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაცია. მისი ძირითადი მიზანი იყო საკონცენტრაციო ბანაკებში მყოფი ლტოლვილების დაბრუნება სამშობლოში. ეს იყო ძირითადად გამსვლელი ორგანიზაცია. მალე ცხადი გახდა, რომ გამსვლელი ორგანიზაცია ლტოლვილთა საქმეს ვერ მოუვლიდა. ამიტომაც გაერომ გადაწყვიტა გაეუქმებინა ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაცია და შეექმნა ახალი ორგანიზაცია, რომელიც ლტოლვილთა პრობლემებით იქნებოდა დაკავებული.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ოფისი შეიქმნა 1951 წლის 1 იანვარს გენერალური ასამბლეის 1949 წლის 3 დეკემბრის 319 (IV) და 1950 წლის 14 დეკემბრის 428 (V) გადაწყვეტილების საფუძველზე.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სტატუტში ნათლადაა განმარტებული ამ ორგანიზაციის როლი და ვალდებულებები. 1 პარაგრაფში, სადაც განხილულია კომისარიატის ვალდებულებები კვიტხულობთ:

„ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა, რომელიც მოქმედებს გენერალური ასამბლეის ხელმძღვანელობით, გაეროს ეგიდით უნდა განახორციელოს ამ ლტოლვილთა დაცვა საერთაშორისო მაშტაბით, მან აგრეთვე უნდა ეძიოს პერმანენტული გადაწყვეტილებები ლტოლვილთა პრობლემის გადასაჭრელად მთავრობებთან და ამ მთავრობებთან შეთანხმების შემდეგ, კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით, რათა უზრუნველყოს ლტოლვილთა ნებაყოფლობითი რეპატრაცია, ან მათი ასიმილაცია ახალ ეროვნულ საზოგადოებებში.

გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს ორი ძირითადი ფუნქცია აქვს: ლტოლვილთა დაცვა და გრძელვადიანი გადაწყვეტილებების მიღება მათი პრობლემების გადასაჭრელად. აგრეთვე კომისარიატი ახორციელებს მატერიალურ დახმარებას, რომელიც ოფიციალურად არ შედის მის მანდატში.

უმაღლესი კომისარიატის საქმიანობა არაპოლიტიკურ ხასიათს ატარებს. ის არის ჰუმანიტარული, სოციალური ორგანიზაცია და მიმართულია ლტოლვილთა ჯგუფების, კატეგორიების დასახმარებლად.

საქართველოში შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაციის გამო 1993 წლის 25 ივლისს გაეროს ლტოლვილთა დახმარების უმაღლესმა კომისარიატმა თბილისში გახსნა წარმომადგენლობა. წარმომადგენლობა ახორციელებს ლტოლვილთა დაცვას და მათ მატერიალურ უზრუნველყოფას. ამა წლის 15 დეკემბერს კომისარიატმა ჩაატარა პირველი სასწავლო სემინარი თბილისში, რომელიც ეხებოდა ლტოლვილების და იძულებით გადაადგილებული პირების პრობლემას.



ეს სემინარი მიზნად ისახავდა თეორიული ცოდნის გაზიარებით დახმარებებს და სამთავრობო სტრუქტურებს, რათა ეფექტიანად გადაეწყვიტათ ეს მტკივნეული საკითხი. სემინარი რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა. სემინარის გახსნის საზეიმო ცერემონიალის მონაწილეებთან ერთად ესწრებოდნენ სემინარიის სტუმრებიც. გაეროს მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში თეოდორ სტარჩევიჩმა მისასალმებელი სიტყვებით მიმართა სემინარის მონაწილეებს და სტუმრებს, ხოლო სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ოფიციალურად გახსნა სემინარი. სემინარის საზეიმო გახსნას ესწრებოდნენ ვიცე-პრემიერი ირაკლი მენაღარიშვილი, მინისტრები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, უცხოეთის სახელმწიფოთა ელჩები, ჟურნალისტები. სემინარის მეორე ნაწილი სამუშაო ხასიათს ატარებდა. ის მიზნად ისახავდა გაეცნო სემინარის მონაწილეებისათვის გაეროს ლტოლვილთა დაცვის უმაღლესი კომისარიატის მანდატი, ლტოლვილთა დაცვის საერთაშორისო კანონმდებლობა და მისი გამოყენების საყოველთაოდ აღიარებული წესები. ამ საკითხებთან დაკავშირებით მოხსენებით გამოვიდნენ გაეროს ლტოლვილთა დაცვის უმაღლესი კომისარიატის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ბატონი თასლიმურ რაჰმანი და ლტოლვილთა დაცვის ასისტენტი ირენ კნობენი. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარის ვალერი ვაშაკიძის მოხსენებამ, რომელმაც ისაუბრა საქართველოს რესპუბლიკის იმ კანონებზე, რომლებიც ლტოლვილებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს შეეხება.

სემინარის მონაწილეთაგან შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, რომლებმაც განიხილეს კონკრეტული შემთხვევები.

სემინარის ბოლო ნაწილი მისი საზეიმო დახურვას დაეთმო. სემინარის მუშაობის შედეგებზე მოკლე მიმოხილვა გააკეთა გაეროს ლტოლვილთა დაცვის უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელმა საქართველოში ბატონმა თასლიმურ რაჰმანმა, რომელმაც კმაყოფილებით შეაჯამა სემინარის შედეგები. სემინარი საზეიმოდ დახურა საქართველოს ვიცე-პრემიერმა ირაკლი მენაღარიშვილმა, რომელმაც სემინარის მონაწილეებს საპატიო სერტიფიკატები გადასცა. სემინარის დახურვის შემდეგ გაიმართა დარბაზობა.

## შეაღწიო სარისხი იურიდიულ კონსტიტუციას



მიმდინარე წლის 5 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე სამოქალაქო სამართლის კათედრის დოცენტმა, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ავთანდილ კობახიძემ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „კონფისკაციის ცნება და სახეები“.

კონფისკაცია რთული, დარგთა შორისი სამართლებრივი ინსტიტუტია და ნაკლებად არის დამუშავებული იურიდიულ მეცნიერებაში. მიუხედავად იმისა, რომ ქონების კონფისკაცია საკმაოდ ფართოდ გამოიყენება სის-

ხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში, ეს საკითხი კომპლექსური კვლევის საგანი არ გამხდარა. თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე კონფისკაციის ისეთი მომიჯნავე ინსტიტუტები, როგორცაა რეკვიზიცია, უსაფუძვლო გამდიდრება და ჯარიმა.

ავტორი, რომელსაც გააჩნია მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება, წლების მანძილზე მუშაობდა სისხლის სამართალში ქონებრივი სანქციების გამოყენების პრობლემებზე, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევის საკითხებზე.

სამართლებრივი ლიტერატურის დრმა ანალიზისა და სასამართლო პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე ავტორმა მოგვცა კონფისკაციის ზოგადი ცნების განმარტება, სისხლის სამართალში კონფისკაციის გამოყენების სრულყოფის მიზნით წამოაყენა მრავალი წინადადება, დაასაბუთა აგრეთვე სამოქალაქო სამართლიდან კონფისკაციის საერთოდ ამოღება, ასევე სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებიდან რეკვიზიციის ისეთი სახის გაუქმების საკითხი, როგორცაა ავტომანქანის სასყიდლით ჩამორთმევა.

დისერტაციაში ბევრი საინტერესო მოსაზრებაა დასაბუთებული სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საპროცესო სამართლის კოდექსების დანართების სრულყოფასთან დაკავშირებით, ასევე კონფისკაციის აღსრულების სამართლებრივი მოწესრიგების აუცილებლობის შესახებ.

სწავლულმა ექსპერტებმა პროფ. გ. ტყეშელიაძემ და პროფ. რ. შენგელიამ, ოფიციალურმა ოპონენტებმა პროფ. ა. ფალიაშვილმა, პროფ. ვ. ლორიამ, იური-

დიულ მეცნიერებათა დოქტორმა ბ. ზოიძემ დადებითი შეფასება მისცეს დისერტაციას.

დისერტანტმა დამაჯერებელი პასუხი გასცა სწავლული ექსპერტებისა და ოფიციალური ოპონენტების შენიშვნებს, საბჭოს წევრებისა და სხვა სწავლული იურისტების შეკითხვებს.

სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს 22 წევრიდან კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღო 17-მა, რომელთაც ერთხმად დაუჭირეს მხარი ავთანდილ კობახიძისათვის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას.

აღსანიშნავია, რომ ავთანდილ კობახიძის სადისერტაციო ნაშრომი ძირითადად გამოქვეყნდა ჩვენს ჟურნალში. იგი წლების მანძილზე აქვეყნებდა სტატიებს სასამართლო პრაქტიკაში წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით.

1988 წელს მას მიენჭია საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული იურისტის წოდება.



**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის დოცენტმა ზაურ ჯინჯოლაყამ იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს სხდომაზე 1993 წლის 12 ნოემბერს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „საქართველოს ხელისუფლების ორგანოები სახელმწიფო მექანიზმის ერთიან სისტემაში“.**

თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოებრიობის განვითარება საქართველოში ხასიათდება დიდი სირთულეებით, ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიებით, დემოკრატიის საწყისების გაფართოებით, მმართველობის დრომოჭმულ და მავნე ფორმებთან და მეთოდებთან ბრძოლით და ამის გამო დრამატიზმით, წინააღმდეგობებით. ამ ვითარებაში ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების, ორგანიზაციისა და მუშაობის საკითხების მეცნიერულ დამუშავებას უაღრესად დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ჩვენი ქვეყნის

სახელმწიფო მშენებლობის წარმატებები ბევრადაა დამოკიდებული პოლიტიკური სისტემის გარდაქმნის მეცნიერულად დასაბუთებული, სწორი დებულებების შემუშავებაზე. სწორედ ეს მიზანია დასახული სადოქტორო დისერტაციაში, რის გამოც იგი უაღრესად აქტუალური და თანამედროვეა.


უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში პირველად ზაურ ჯინჯოლაგას დისერტაციაში არის მეცნიერულად შესწავლილი და ობიექტურად გაშუქებული საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების განვითარების თავისებურება; პირველად ითქვა იმ სიმახინჯეების შესახებ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა პერიოდის საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარებაში.

სახელმწიფო მშენებლობის პრობლემათა შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია ხელისუფლების ორგანიზაცია, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სტრუქტურის განსაზღვრა, მისი შექმნის წესი და მუშაობის თავისებურება. სადოქტორო დისერტაციაში თანმიმდევრულადაა განხილული საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ორგანიზაციისა და საქმიანობის თავისებურებები განვითარების ყველა ეტაპზე. განსაკუთრებული გულისყურით და სათანადო სიღრმითაა გამოკვლეული თანამედროვე საქართველოს პარლამენტის სამართლებრივი მდგომარეობა და წამოყენებულია წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის მიზნით, რომლებიც უთუოდ არის გასათვალისწინებელი საქართველოში მომავალი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში.

**ჟურნალის რედაქცია გულწრფელად გილოცავთ ამ წარმატებას და გისურვებთ შემდგომ ნაყოფიერ სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობას.**

## ალიოშა ჭიჭინაძე

ადვოკატურა ყველა ქვეყანაში ერის მოზ-  
როვნე ნაწილს წარმოადგენს ასეა ჩვენთანაც.  
ქართველი ერის ისტორიაში ღირსეული ად-  
გილი აქვთ დამკვიდრებული სახელმძღვანელო  
ადვოკატებს. უთუოდ მისასალმებელია ჩვენი  
ტელევიზიის კარგი ინიციატივა – სპეცია-  
ლური გადაცემები მიეძღვნა გამოჩენილ ქარ-  
თველ ადვოკატებს. ფრიად სასურველია რომ  
ეს ციკლი კვლავაც გაგრძელდეს. ამჯერად კი  
მკითხველს უნდა ვესაუბროთ ალიოშა ჭი-  
ჭინაძეზე, რითაც კიდევ ერთხელ ღირსეულ  
პატივს მივაგებთ მის ნათელ ხსოვნას.



ხშირად გვესმის „ყველამ თავისი საქმე  
უნდა აკეთოს“, სრული ჭეშმარიტებაა. ად-  
ვოკატურაში მოწოდებით უნდა მოხვიდე და  
არა შემთხვევით, რადგან ამ საქმეს განსაკუთ-  
რებული ტალანტი სჭირდება. ეს არის დასაბუთებისა და მჭევრმეტყველების  
ხელოვნება.

ჩვენ მოვესწარით დიდი ადვოკატების ბრწყინვალეებს. ესენი იყვნენ ის  
ქურუმები რომელთანაც საუბარი, კამათი, კახუსების გარჩევა, მსჯელობა მაღალ  
მატერიებზე ის აკადემია იყო, რომლის მეშვეობითაც ვსწავლობდით პაექრობისა  
და სიბრძნის მეტყველების სიღრმეებს. მაგრამ ყველაზე უმთავრესი მაინც ის  
იყო, რომ გონებანატიფთა ეს საკრებულო წარმოადგენდა დიდ სკოლას. მათი  
ზრდილობა, მაღალი კულტურა, ურთიერთპატივისცემა, იუმორი, მანერები და  
ჩაცმულობაც კი სულიერი არისტოკრატიზმის ჭეშმარიტი გამოხატულება იყო.  
მათ შორის ბრწყინავდა ბატონი ალიოშა ჭიჭინაძეც. ჩვენთვის პირდაპირ დიდი  
ბედნიერება იყო ინტელიგენციის ასეთ თაობასთან ურთიერთობა.

უხუცესი ადვოკატების ერთ-ერთი შეკრების დროს, რომლის ინიციატივაც  
ბატონ ალიოშას ეკუთვნოდა, ხსოვნაში დაგვრჩა ერთი ასეთი სიბრძნე:

ერთმა ბრძენმა აკადემია გახსნა და განაცხადა: მე ყველაფრის დამტკიცე-  
ბას ვასწავლი და როდესაც კურსს დაამთავრებთ, გარკვეული თანხა უნდა ვა-  
დაიხადოთო.

ერთმა მოხერხებულმა და ალბათ ყველაზე უფრო ნიჭიერმა მოსწავლემა,  
როდესაც კურსი დაამთავრა და სახლადურის გადახდის დრო დადგა, თავის მას-  
წავლებელს განუცხადა: „თუ კი მე შენ დაგიმტკიცე, რომ შენი არაფერი არა  
მმართებს, ხომ დაგიმტკიცე და რად უნდა მოგცეო. ხოლო თუ ვერ დაგიმტკიცე  
რომ შენი არაფერი არა მმართებს, მაშინ შენ ჩემთვის ყველაფერის დამტკიცება  
არ ვისწავლებია, პირობაც არ შეგისრულებია და რად უნდა მოგცეო“.

მასწავლებელმა ამაზე უპასუხა: „თუ კი შენ მე ვერ დამიმტკიცე, რომ ჩემი  
არაფერი არა გმართებს, ხომ ვერ დამიმტკიცე და უნდა მომცეო. მაგრამ, თუ

დამიმტკიცე, რომ ჩემი არაფერი არა გმართებს, მაშინ მე შენთვის ყველაფრის დამტკიცება მისწავლება. პირობაც შემისრულება და უნდა მომცეო“.

სად არის ჭეშმარიტება? მოყვანილ შემთხვევაში, თითოეულის მსჯელობას საფუძველს საკუთარი ინტერესი წარმოადგენს. ორივეს დებულებები არგუმენტირებულია, ლოგიკურია. ერთი გარემოება მეორისგან მომდინარეობს და ურთიერთგანპირობებულია, მაგრამ ის, რაც ლოგიკურია, მუდამ ჭეშმარიტი არ არის, რადგან ჭეშმარიტება მხოლოდ ერთია. ჭეშმარიტება კი არსებობს იმდენად, რამდენადაც ადამიანი არსებობს, რამეთუ ადამიანი აძლევს მას აზრსა და კანზომილებას. ადამიანთა სამართალი კი პირობითია. ის, ვინც გუშინ ბანდიტად იყო გამოცხადებული, დღეს ეროვნული გმირია, ხოლო ის, ვინც ღირსების ხარისხში იყო აყვანილი, დღეს ერის მოღალატე და ჯალათია. ასეთი კოლიზიები ისტორიაში პერმანენტულად მეორდება და ეს არც ახალია და არც ძველი. ფრანგები ამბობენ: „ყოველივე ახალი დიდი ხნის წინათ დავიწყებული ამბავია, ყოველივე ძველი დიდი ხნის წინათ იყო ახალი“.

ჭეშმარიტება მუდამ სადაო იყო, მხოლოდ ძალა იყო უდაო, რადგან ადვილად იგრძნობა. ამიტომ იყო, რომ ადამიანებმა ვერ მოახერხეს, რათა სამართლიანი გაეხდათ ძლიერი, სამაგიეროდ ძლიერი გამოაცხადეს სამართლიანად. ვინც ძლიერია, ვისაც ძალა აქვს, მართალიც ის არის. აქედანაა ძველი რომაელების ნათქვამი: „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ“. მაგრამ, თუ გამარჯვებულს ძალა გამოეცალა, მაშინ შესაძლოა აღარც იყოს მართალი...

ბატონ ალიოშა ჭიჭინაძეს ჰქონდა აზრის მკაფიოდ და რაც ყველაზე მთავარია, დამაჯერებლად ჩამოყალიბების უნარი, წარმოთქმული სიტყვის ტონალობა, პაუზა და ინტონაცია. იგი შესანიშნავი იყო როგორც მოქალაქე, მეგობარი, სუფრაზე მომღზენი.

ბატონი ალიოშას თაობამ გვასწავლა „კარგი სასამართლოს გარეშე არ შეიძლება იყოს კარგი ადვოკატურა“ და — პირიქით. ხოლო თუ ადვოკატი თავისა სოციალური ფუნქციის შესრულების შედეგად კანონიერ და სამართლიან შედეგს ვერ აღწევს, ან თვით ადვოკატი არ ვარგა ან სასამართლო, ან ის ხელი-სუფლება, რომელიც სასამართლოს თავის სტრუქტურად გადააქცევს...

ყოველივე ამას დღეს იშვიათად თუ მოისმენ, ადვოკატთა გარდასული თაობა კი დღენიადაც ამას ღაღადებდა. მაგრამ რამდენადაც ისინი იყვნენ ჩვენს წიაღში და ნიადაგზე, არსებობს ხსოვნა ტრადიციისა და რადგან ეს ასეა, იგი აღდგება ღირებულებებთან ერთად. და თუ საქართველოს ადვოკატურის ისტორია დაიწერება, სხვა ქურუმებთან ერთად გამოჩნდება ჩვენი ძვირფასი ალიოშა ჭიჭინაძის გამორჩეული სახიერება.

ღიახ, ახლო წარსულში ჩვენს გვერდით ბევრი ღირსეული და გამოჩენილი ადამიანი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, რომელთა ხსოვნას დავიწყების ბურუსი არ უნდა მივაკაროთ... მათი გახსენება საჭიროდ და აუცილებლად მიგვანჩნია შთამომავლობისათვის, მომავალი თაობებისათვის, რადგან ისინი ყოველმხრივ სამაგალითონი იყვნენ. მათ შორის იყო ჩვენი ალიოშა ჭიჭინაძეც.

ვერისუბანში ახლაც კარგად ახსოვთ მაღალი, წარმოსადგეი, დარბაისელი ქართველი ინტელიგენტი დახვეწილი მანერებით, თვალმისაცემი თავაზიანობითა და ძარღვიანი ქართული მეტყველებით. შეუძლებელი იყო ერთხელ შეხვედროდით და დავიწყებოდათ მისი კოლორიტული პიროვნება თავისი განუმეორებელი პეწითა და გამჭვირვალე იუმორით.

ქუთაისში ცნობილი პედაგოგის მიხეილ ჭიჭინაძისა და მისი კეთილშობილი, ზრდილი და განათლებული მეუღლის ანა მაჭავარიანის ოჯახში აღზრდილმა ვაჟმა სიყრმიდანვე შეისისხლხორცა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული, შრომისმოყვარეობა და ცოდნისადმი სწრაფვა. ამ ოჯახის სტუმრები ყოფილან



დიდი აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, დავით კლდიაშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე და სხვანი.

ცნობილია, რომ ადვოკატს პროფესიული მოვალეობის გარდა, მოქალაქეობრივი შეგნებაც მუდამ ფიზიკურად უნდა ჰქონდეს, რათა არ დაისაჯოს უდანაშაულო ადამიანი და თუ ადვოკატმა დაინახა სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს, რომ მართლმსაჯულების სასწორი უკანონოდ იხრება მართალი ადამიანის საზიანოდ, მაშინ იგი ვალდებულია ნათელი მოჭვინოს საქმის ნამდვილ ვითარებას და ამით დაეხმაროს მართლმსაჯულებას სწორი და უტყუარი გზის არჩევაში.

ბატონი ალიოშა განსაკუთრებით დახელოვნდა სამეურნეო დანაშაულობათა საქმეების განხილვაში. აქ იგი ამჟღავნებდა ღრმა ცოდნას, იძლეოდა მჭევრმეტყველებისა და დამაჯერებლობის სანიმუშო მაგალითს.

იგი ყველას მიმართ კეთილგანწყობილებით გამოირჩეოდა, დაუმაძღვრებლად და დაუზარებლად უზიარებდა ცოდნასა და გამოცდილებას ყველას, ვისაც ეს სჭირდებოდა.

პროცესზე ყოველთვის თავშეკავებული, ენაძუნწი იყო. მას მიაჩნდა, რომ პროცესში მონაწილეობისას რაც შეიძლება ნაკლები შეკითხვები უნდა მიეცა, რაც იმ დროს, ჩვენთვის, ახალგაზრდებისათვის გაუგებარი იყო. ამის თაობაზე ერთხელ დინჯად თქვა: „ადვოკატის ჭეშმარიტი ღირსება და საზრიანი გონება იმაში გამოიხატება, რომ რაც შეიძლება ნაკლები შეკითხვები მისცე, მაგრამ მაქსიმალურად ამოწურო დაცვის პოზიციიდან გამომდინარე შენთვის საინტერესო და სასარგებლო ჩვენებები. სწორედ ამაში გამოიხატება ადვოკატის პროფესიული ღირსება. გრძელი და მომქანცველი კითხვები მეტწილად საქმეს ვნებს“. ეს დარიგება შემდეგ დიდად გამოგვაღვა პრაქტიკაში.

დაუვიწყარი იყო ალიოშა და მარო ჭიჭინაძეების მყუდრო ბინაში გატარებული საღამოები... ვერისუბნის ერთ პატარა ქუჩაზე სასტუმრო ოთახში, ძველი მრგვალი მაგიდის გარშემო, საოცრად ლამაზი ვებერთელა ოქროსფერი ჭადის ქვეშ იკრიბებოდნენ განათლებული, ნიჭიერი ადამიანები და იწყებოდა გაუთავებელი სჯაბაასი საჭირობოროტო საკითხებზე, სამშობლოს უკეთეს მომავალზე, ლიტერატურასა და ხელოვნებაზე... აქ ხშირად ნახავდით მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას, ცნობილ თერაპევტს ლევან ანჯაფარიძეს, მსახიობებს შალვა დამბაშიძესა და ემანუილ აფხაიძეს, კომპოზიტორ არამ ზაჩატურიანს, მუსიკოს ბორის ლენსკის, ლიტერატორებს სიმონ სხირტლამესა და ვლადიმერ გიორგობიანს, ადვოკატებს ბიძინა ბარათაშვილს, ალექსანდრე ხოჭოლავას, მიხეილ ალხაზაშვილს, ვალერიან ფხვალაძეს, ელიზბარ ჩხიკვაძეს, ცუცა თოფურიასა და კლავდია გვეტაძეს, მსახიობსა და ცნობილ სტომატოლოგს გიორგი გაბელაშვილს და მრავალ სხვას.

30 წელი გავიდა ალიოშა ჭიჭინაძის გარდაცვალებიდან. მისი ქოცნება — ენახა სათაყვანებელი სამშობლო კომუნისტური რეჟიმისაგან თავისუფალი. ჭეშმარიტი დემოკრატიის გზაზე დამდგარი, მოწინავე ცივილიზებული ქვეყნების თანამეგობრობაში გაერთიანებული — ფრთებს ისხამს. დასანანი, რომ იგი ვერ მოესწრო ამ დღეს.

**ზენაბ ზიორგოზიანი**  
**ლადო ბარათაშვილი**  
**ვანტანა კერესელიძე**

# ბიბლიოგრაფია

## შურნალ „სამართალი“ 1993 წელს გამოქვეყნებული მასალების საკითხავი

### ოფიციალური მასალები, სიხალენი კანონმდებლობაში, დოკუმენტები

ახალი დრო, ახალი ამოცანები — № 1—2, გვ. 3.

**ზურაბ უვანია** — საქართველოს სოციალური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების საკითხისათვის (თეზისები) — № 1—2, გვ. 33.

დანიშვნები — № 1—2, გვ. 59.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხედრო მდგომარეობის შესახებ № 1—2, გვ. 66.

საქართველოს იურისტთა კავშირის მიმართვა — № 3—4, გვ. 3; № 5—6, გვ. 3.

**ელუარდ შვეარდნაძე** — ახალი ეტაპი საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში, № 3—4, გვ. 4.

**ზურაბ ჭინჭოლაძე** — საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სამართლებრივი მდგომარეობა ახალ კონსტიტუციაში, № 3—4, გვ. 10.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი მოქალაქეობის შესახებ, № 3—4, გვ. 15.

**ლადო კანტურია** — ადამიანის ძირითადი უფლებები და საქართველოს მომავალი კონსტიტუცია — № 5—6, გვ. 4.

**კახაბერ წერეთელი** — ძირითად უფლებამოვალეობათა განზომილებანი, № 5—6, გვ. 11.

სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის წინაშე მდგარი პოლიტიკური პრობლემები და მათი მოგვარების გზები — № 5—6, გვ. 19.

**სამუელ პ. ჰანტიგტონი** — დემოკრატიის მესამე ტალღა, № 5—6, გვ. 69, № 7—8, გვ. 70.

**ალბერტ პავსაძე** — მკაცრი გაკვეთილი, № 7—8, გვ. 3.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი პოლიციის შესახებ, № 7—8, გვ. 6.

**არჩილ ღორია** — კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ და მისი თავისებურებანი № 7—8, გვ. 26.

**გია მეფარიშვილი** — რუბიკონი უნდა გადაილახოს, № 7—8, გვ. 38.

საქართველოს იურისტთა კავშირის გამგეობის გაფართოებული სხდომა, № 9—10, გვ. 3.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი ემიგრაციის შესახებ; № 9—10, გვ. 5.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი იმიგრაციის შესახებ, № 9—10, გვ. 15.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წესდება № 9—10, გვ. 21.

საქართველოს იურისტთა კავშირის წესდება № 11—12, გვ. 3.

**გრიგოლ ერემოვი** — საქართველოს პარლამენტში მიღებული სახელმწიფო სამართლებრივი ხასიათის საკანონმდებლო აქტები, № 11—12, გვ. 11.

**ოთარ მელქაძე** — კონტროლის თემა საქართველოს კონსტიტუციონალიზმში, № 11—12, გვ. 20.

**გიორგი გოგხაძე** — მოქალაქეობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, № 11—12, გვ. 29.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს მოქალაქეობის საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლის და საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლის წესების შესახებ, № 11—12, გვ. 36.

### სისხლის სამართალი, პროცესი, სახელმწიფო სამართალი, თეორია, კანონის კომენტარი, პრაქტიკა, სასამართლო რეფორმა

**თევდორე ნინიძე** — მართლწესრიგი, კანონიერება და პროკურატურის ამოცანები, № 1—2, გვ. 6.

**ქეთევინ ლილუაშვილი** — სსსამართლო რეფორმის კონცეფცია, № 1—2, გვ. 20.

**ზურაბ დგებუაძე** — შევიწროვების პრინციპი და სსსამართლო რეფორმა, № 1—2, გვ. 29.

**ირაკლი გომიაშვილი** — დანაშაულობა და იმპერიული ავტორიტარიზმი, № 1—2, გვ. 40.

**დავით დავითაძე** — კონტრაბანდის როგორც საზოგადოებრივად საშიში დანაშაულის თავისებურებანი, № 1—2, გვ. 45.

**ანზორ გაბიანი** — ლეგალიზებულია თუ არა ამერიკის შეერთებულ შტატებში ნარკოტიკებით ვაჭრობა? № 1—2, გვ. 51.

**ლიანა მელიქიშვილი** — ქალთა დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის ფსიქოლოგიური პრობლემები, № 1—2, გვ. 54.

მართლმსაჯულების უმადლესი საბჭოსა და მოსამართლეთა კანდიდატების მომზადების მიზნით იუსტიციის სახელმწიფო სასწავლო ცენტრის შექმნის შესახებ, № 3—4, გვ. 27.

საქართველოს რესპუბლიკაში სსსამართლო ხელისუფლების სტატუსისა და მოწყობის შესახებ, № 3—4, გვ. 29.

**აპოლონ ფალიაშვილი** — სსსამართლო რე-



ფორმისა და საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხები, № 3—4, გვ. 40; № 5—6, გვ. 38.

**პაატა ცნობილადე** — სამართლის ნორმება და წესრიგის დამყარება საზოგადოებაში, № 3—4, გვ. 49.

**ირმა ხარშილადე** — საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სამართლებრივი მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი, № 5—6, გვ. 26.

**ვალერი გიგილაშვილი** — მოქალაქეობის ცნება და საერთაშორისო სამართალი, № 5—6, გვ. 32.

სასამართლო რეფორმა და კონსტიტუციის ახალი რედაქცია, № 5—6, გვ. 35.

საარბიტრაჟო პრაქტიკა, № 5—6, გვ. 78.

**ლალი ფაფიაშვილი** — დანაშაულის ცნების პრობლემა სისხლის სამართლის თეორიასა და კანონმდებლობაში, № 7—8, გვ. 53.

**ტატიანა დელა მარა** — პროკურატურა „ახალ“ რუსეთში, № 7—8, გვ. 63.

**დვით დავითაძე** — კონტრაბანდის საგანი, № 9—10, გვ. 41.

**გოჩა მამულაშვილი** — ერთიანი დანაშაული და კანონთა კონკურენცია, № 9—10, გვ. 48.

**ზურაბ დგებუაძე** — გამოძიების ორგანიზაცია და სასამართლო რეფორმა, № 9—10, გვ. 55.

**სოსო მუმლაძე** — მიზეზობრივი კავშირის პრობლემა ინგლისურ და ამერიკულ სამართალში, № 9—10, გვ. 71.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, № 9—10, გვ. 77.

**თენგიზ მარჯანიშვილი** — კერძო ბრალდების საქმეთა სამართალწარმოების ახლებური გააზრება, № 11—12, გვ. 47.

**ირინა აქუბარდია** — ექვმიტანილის დაცვის უფლება, № 11—12, გვ. 58.

**ანზორ მახარაძე** — მოწმის იმუნიტეტი, № 11—12, გვ. 60.

**გია ზახტაძე, ალექსანდრე დვალაძე** — ქსოვილის წინაღობაზე ტყვიის მოხვედრის კუთხის განსაზღვრის პროცესის მათემატიკური მოდელირება, № 11—12, გვ. 63.

**ბიძინა სავანელი** — არსისა და ჭეარარსის მთლიანობა პოზიტიურ სამართალში, № 11—12, გვ. 66.

**აპოლონ ფალიაშვილი** — ამერიკის შეერთებული შტატების სისხლისსამართლებრივი იუსტიცია: ორგანიზაცია, სტრუქტურა, ფუნქციება, № 11—12, გვ. 72.

**სამოქალაქო სამართალი, სახელმწიფო სამართალი, ქართული სამართლის ისტორია, სამეურნეო სამართალი**

**ლალი თაღიაშვილი** — ბინების პრივატიზაციის სამართლებრივი ასპექტები, № 3—4, გვ. 53.

**ნაზი არონია** — სასჯელთა სახეები ძველ ქა-

რთულ სამართალში, № 5—6, გვ. 5—7.

**ჯამბულ ფუტყარია** — სოლომონ დოდაშვილი და ქართული ჩვეულებრივი სამართალი, № 5—6, გვ. 63.

**ლევან ჯომარჯიძე** — მშენებლობის დარგში ახალი კანონმდებლობის შემუშავებისათვის, № 7—8, გვ. 33.

**ლალი თაღიაშვილი** — ბინების პრივატიზაციის ხელშეკრულების ცნების საკითხისათვის, № 7—8, გვ. 42.

**ლამარა ჩორგოლაშვილი** — ახლებურად გადაწვიტოთ დელიქტური ვალდებულებები, № 7—8, გვ. 47.

**გიორგი ნადარეიშვილი** — „უჭუარობით დამტკიცება“, № 7—8, გვ. 77.

**აკაკი ლაბარტაყვა** — საადგილმამულო კანონის პროექტის შესახებ, № 9—10, გვ. 15.

**ლადო კანტურია** — მიწის გასხვისებასთან დაკავშირებულ გარიგებათა თავისებურებანი, № 9—10, გვ. 33.

**ვოლგენგ ვინკლერი** — სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრება გერმანიაში, № 9—10, გვ. 59.

**არჩილ ღუღუშაური** — ლიზინგი და მისი შესაძლებლობანი, № 11—12, გვ. 53.

**გიორგი ნადარეიშვილი** — საპატიმროსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილის ზოგიერთი უძველესი რეალია მე-17 საუკუნის საქართველოში, № 11—12, გვ. 68.

**პუბლიცისტიკა, თვალსაზრისი, ინტერვიუ ნარკვევი, კოლუმნი, აპაროლოგი, ინფორმაცია, ბიბლიოგრაფია**

**აკაკი ბაქრაძე** — ალბათ, კანონი გვექნება. № 3—4, გვ. 23.

**ვანტანგ კაკაბიძე** — ხელოვნება თუ მეცნიერება? № 3—4, გვ. 62.

**სუბხან ჩანდრა ბირლა** — გლობალური განსხვავებანი ბავშვთა ჰუმანურ და სოციალურ განვითარებაში, № 3—4, გვ. 67.

**ზაალ მესხენისერი** — სიმართლეს შექიდებული კაცის ამბავი, № 3—4, გვ. 72.

**აეთანდილ კახიაშვილი** — პრეზუმფცია: უდანაშაულობის თუ არაბრალეულობის? № 5—6, გვ. 47.

**გრიგოლ დევედარიანი** — იმ მუშა-მოსამსახურეთა სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, რომლებთანაც ვაღიანი შრომის ხელშეკრულება გაფორმდა შრომის კანონთა კოდექსის მე-19 მუხლის საფუძველზე, № 5—6, გვ. 78.

ინტერვიუ ნოდარ ნებერიძესთან, № 7—8, გვ. 59.

**გურამ ნაქევაძე** — დავიცვით იურიდიული აზროვნების წესი, № 11—12, გვ. 42.

ინფორმაცია № 1—2, გვ. 70.

ნეკროლოგი — № 1—2, გვ. 77; № 3—4, გვ. 74; № 9—10, გვ. 30.

ბიბლიოგრაფია — № 1—2, გვ. 78.

